# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 24 ოქტომბერი 1998 №193 (728) ფასი 50 თეთრი


# მერაბ ჟორდანია პრეზიდენტია!

## გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მეოთხე ყრილობაზე მერაბ ჟორდანია ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს

*ექსკლუზიური ინტერვიუ ფედერაციის ახალ პრეზიდენტთან და საყრილობო რეპორტაჟი*

*იხილეთ მეორე, მესამე და მეოთხე გვერდებზე*




ბადრი კეთილაძის ფოტო

# კენგურუს ბედი სამშობლოში

## ვიქტორ სანეევი: საქართველო იყო და არის ჩემი სამშობლო

**— საქართველოში მოგხედონ, ბევრი ჰყავთ შესანიშნავი სპორტსმენი? — ასეთი პასუხით გამოისტუმრა პრიმო ნებიოლომ გასაჭირში მყოფი სანეევი**

ამ შვიდიოდე წლის წინათ, 1991 წლის დეკემბერში, ვიქტორ სანეევმა, როგორც თავად ამბობს, ერთი ჩემოდნით ხელში მეუღლე იანასთან და ვაჟიშვილ სანდროსთან ერთად თავი ავსტრალიაში ამოყო. საქართველოში იმჟამინდელი მდგომარეობის კვალობაზე სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ოჯახითურთ ავსტრალიაში გადახვეწას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. საქართველოში ელვისებური სისწრაფით იძაბებოდა ურთიერთობა აფხაზეთთან. მაშინდელ მდგომარეობას რომ იხსენებს, ვიქტორი დინჯად ამბობს: „აშკარად ვგრძნობდი ომის გარდუვალობას ქართველებსა და აფხაზებს შორის. უფსკრულისკენ მივექანებოდით დაუფარავად გვიბიძგებდნენ სისხლისღვრისკენ. ჭკუა და გონება კი არავის გვეყო".

ვიქტორ სანეევი სოხუმში დაბადებული და გაზრდილი რუსია, მეუღლე კი აფხაზი ჰყავს, ჰოდა, ადგა და გაეცალა საქართველოსო, ამბობდნენ მაშინ...

მერე ისიც ითქვა, სანეევი ავსტრალიაში ღმერთივით ცხოვრობს, მილიონერი გახდაო. ზოგი კი ამტკიცებდა, რის მილიონერი, პურის ფულს ვერ შოულობსო...

სხვათა შორის, თბილისიდან რომ მიემგზავრებოდა, ვიქტორ სანეევი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ.

და აი, ახლა უკვე სიდნეიში, XXVII ოლიმპიური თამაშების მასპინძელ ქალაქში ჩასვლისას, აეროპორტში მხვდება სეოკ-ის ოლიმპიური ატაშე, ავსტრალიაში მუდმივად მცხოვრების სტატუსმიღებული, მაგრამ საქართველოს მოქალაქე, ლეგენდარული ვიქტორ სანეევი.

გარეგნულად, ერთი შეხედვით, შესანიშნავად გამოიყურება: არც ერთი გრამი ზედმეტი წონა, ზუსტად ისეთი მეჩვენება, სპორტული ფორმის მწვერვალზე რომ იყო. თუმცა თმა შეთხელებია და ჭაღარაც მოსძალებია, სახე კი ოდნავ დანაოჭებია, იმასაც შენიშნავთ, რომ სიარული შესამჩნევად უჭირს.

არ გაჭრა არავითარმა არგუმენტმა — არც ავადმყოფობამ, არც დაღლილობამ, არც იმან, რომ თითქმის ოცდაათსაათიანი ფრენის შემდეგ, უბრალოდ, უხერხულია, კაცს პირდაპირ ოჯახში ესტუმრო.

აქვე ვცხოვრობ, რამდენიმე წუთში იქ ვიქნებით, გელოდებიან და ნუ მახვეწნინებთო, მაინც თავისი გაიტანა. მართლაც რამდენიმე წუთში მივედით.

— ეს ქალაქის განაპირა რაიონი და უბრალო ხალხის, მუშათა უბანია — მიხსნის და კარგად შენახულ, მაგრამ საკმაოდ „ასაკოვან" „ტოიოტას" სახლის წინ აჩერებს.

— ესეც ჩემი ვილა — ღიმილით ამბობს და მითითებს დაბალბელეტაჟიან, ერთმანეთზე გადაბმული სახლებიდან ერთ-ერთზე. ამ დროს სახლის კარიც იღება და ძველი, კარგი ნაცნობივით იანა და სანდრო ქართულად მესალმებიან. აქვეა თბილისიდან ახლახან ჩამოსული იანას დაც — ელენე. ჩვენებური სადილით გამიმასპინძლდნენ, ავსტრალიური ღვინოც გამასინჯეს და ლუდიც, სასტუმროში წამოსვლამდე თავიანთი „ვილაც" დამათვალიერებინეს: ორი საწოლი ოთახი, მისაღები და სამზარეულო, გარაჟი და ერთი ციდა ეზო.

— ეს სახლი ახლახან შევიძინეთ, რა თქმა უნდა,ბანკის სესხით, ალბათ, სამი ათეული წელი მაინც უნდა ვიხადოთ, სხვა გზა არ გვქონდა — მიხსნის იანა.

ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტში რამდენიმესაათიანი შეხვედრისა და ოლიმპიური ობიექტების მონახულების შემდეგ თავისუფალი დრო კიდევ დაგვრჩა. ის დრო „პარკროიალ ოტელში" საუბარს დავუთმეთ.

იხილეთ მე-8-მე-9 გვერდები



ემზარ ზურაბიშვილის ფოტო

ვიქტორ სანეევი, მისი მეუღლე იანა და ვაჟი სანდრო

## გერმანია

IX ტური

**ჰამბურგი 1:1 ვერდერი**

0 იებოა (58), 1:1 მაქსიმოვი (86)

**ფრაიბურგი 2:2 დორტმუნდი**

0 ბაია (19), 1:1 შაპუიზა (65), 1:2 ნიეგუსი (62), 2:2 ბაია (65)

### მეორე ბუნდესლიგა

XI ტური

**ობერჰაუზენი 2:2 ულმი**

1 ზდრილიჩი (16), 1:1, 2:1 პრიოპერი (47, 73), 2:2 გორა (76)

**კოტბუსი 2:2 მაინცი**

0 რატი (8), 1:1 კრამნი (19), 2:1 ჰოსმანგი (90), 2:2 ჰერსბერგერი (90)

**კიკერსი 2:2 არმინია**

1 ვინკლერი (10ს.კ.), 1:1 მალკოვი (67), 2:1 საილერი (69), 2:2 ბალუშნინსკი (75)

## ინგლისი

პირველი დივიზიონი

XVI ტური

**ბრისტოლი 2:1 ბოლტონი**

1 გუნლაუსონი (6), 1:1 აკინბიუ (28), 2:1 ბელი (45პ)

## ავსტრია

XVI ტური

**გრაცერი 0:2 ლინცერი**

## ჰოლანდია

X ტური

**როდა 5:3 სიტარდი**

0:1 ჰამინგი (29), 1:1 პიტერსი (40), 2:1 ნაიგაარდი (52), 3:1 ვრედე (66პ), 3:2 ვან ბომელი (76პ), 4:2 ვან ჰუდტი (78), 4:3 ვან ბომელი (84პ), 5:3 ვან ჰუდტი (87)

**ნაიმეგენი 2:2 ალკმაარი**

1:0 დე გაიერი (33), 1:1 ფერტუტი (40), 2:1 დე გაიერი (56), 2:2 ლანგერაკი (64)

## ბელგია

XVI ტური

**ლოკერენი 2:3 ანდერლეხტი**

## პოლონეთი

XIII ტური

**რუხი 2:1 ვიძევი**

## თურქეთი

XVI ტური

**ტრაბზონი 2:0 ადანა**

ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის განცხადებით 10 ოქტომბრისთვის დაგეგმილი, მაგრამ არშემდგარი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი იუგოსლაველებთან გაიმართება 18 ნოემბერს.

მატჩის ადგილს, პირობითად მასპინძელი იუგოსლაველები მომავალ პარასკევს დაასახელებენ.

## საქართველოს ჩემპიონატი — 5 ტური

22 ოქტომბერი. ხუთშაბათი

**შევარდენი 84:104 სტუ**

**თსუ 91:99 ვითა**

23 ოქტომბერი. პარასკევი

**დინამო 83:101 აზოტი**

**მაკაბი 100:102 ვითა**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 5 | 5 | 0 | 480:398 | 10 |
| აზოტი | 4 | 4 | 0 | 372:307 | 8 |
| თსუ | 5 | 3 | 2 | 449:415 | 8 |
| დინამო | 4 | 2 | 2 | 333:339 | 6 |
| შევარდენი | 4 | 2 | 2 | 245:259 | 6 |
| კოლხა | 5 | 1 | 4 | 393:466 | 6 |
| ვითა | 4 | 3 | 1 | 280:272 | 6 |
| მაკაბი | 5 | 0 | 5 | 398:445 | 5 |
| სდასუ | 4 | 0 | 4 | 309:358 | 4 |

ვითას დაკლებული აქვს 1 ქულა

იხილეთ მეათე გვერდი

EXCLUSIVE

# მერაბ ჟორდანია: ბევრი რამ შეიცვლება

...50 პროცენტს პლუს ერთი ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა. საჭიროა მეორე ტური — ამბობს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ მახარაძე. უეცრად ალექსანდრე ჩივაძის სწრაფი ნაბიჯი, მერაბ, მოდი, მოგილოცო, ხალხო, მიულოცეთ მერაბს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობაო — წამოიძახა ჩივაძემ. ტაშის ქუხილი, მერაბ ჟორდანია მიმლოცველებს ვერ აუდის, საშა ჩივაძეს ეხახის და ტრიბუნასთან ერთად დგანან. დროის, ემოციის შესაბამისად ერთურთს რამდენიმე ტკბილი სიტყვა უძღვნეს, საშა კაცია, ისმის დარბაზიდან. ჩივაძე იქაურობას მოკრძალებით განერიდა, ჩრდილში მოექცა.

— არა, ყველაფერი სპონტანურად მოხდა. უფლება არ მქონდა, მერაბ ჟორდანიას შევწინაალმდეგებოდი. ადამიანობა, კაცობა ამას მოითხოვდა. როცა შენს კონკურენტს ამხელა უპირატესობა აქვს, ვალდებული ხარ, გზა დაუთმო — გულახდილად უთხრა ჩივაძემ „სარბიელს“.

ამასობაში საპასუხო ჟესტი — მერაბ ჟორდანია ხმამაღლა ამბობს — ყველას რესტორან „ბერიკონში“ გეპატიჟებით, საღამო იქ გავაგრძელოთო. მერე ტელეფონების წკრიალი, აა, გმადლობთ, გმადლობთ — პასუხობდა ჟორდანია ტელეფონით მიმლოცველთ.

ყრილობის მონაწილეთა და სტუმართა ნახევარზე მეტი „ბერიკონში“ შეიკრიბა. სუფრას მიუსხდნენ. თამადამ მიკროფონი მერაბ ჟორდანიას სიმამრს კახი ასათიანს მიაწოდა: მერაბ, იცოდე, ჩემზე მეტად შენი ოპოზიციონერი არავინ იქნება. შენ ჩემი სისხლი და ხორცი ხარ, მაგრამ საქართველო უპირველეს ყოვლისაო, ხომ გაგიგია? ჰოდა, როგორც კი დავინახავ, საქმეს ვერ აკეთებ, პირველი მე ავიმაღლებ ხმას შენს წინააღმდეგ — სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, გაგიმარჯოსო, დააყოლა და ახალი პრეზიდენტის სადღეგრძელო შესვა. მერე სამადლობელის ჯერი დადგა: ამ დილას საქართველოს პატრიარქთან ვიყავი, როგორც ღმერთი გადაწყვეტსო, მითხრა უწმინდესმა. ღმერთი გვფარავდეს, ღმერთი ჩვენთანაა, ქართული ფეხბურთი ძველ დიდებას დაიბრუნებს, დიდი მადლობა — პრეზიდენტმა მადლიერების ნიშნად მარჯვენაც აღმართა.

ბევრი სურვილი, მომავლის იმედი, სიმღერა და ცეკვა-თამაში. საფეხბურთო სამყაროს ზეიმი — მერაბ ჟორდანია ფედერაციის ახალი პრეზიდენტია და „სარბიელს“, უკვე ქართული ფეხბურთის თავკაცის რანგში, გუშინვე გვითხრა:

— გამარჯვების იმედი მართლაც მქონდა. ხუთშაბათს რედაქციაში რომ გესტუმრეთ, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო, ხმათა უმრავლესობა ჩემსკენ გახლდათ. საკითხავი ისღა დამრჩენოდა, დანაპირებს როგორ შეასრულებდნენ. მადლობა ყველას, სიტყვა — სიტყვაა, პირობა არ გატეხეს. დავით ტურაშვილის სიტყვები მახსენდება — საღმა აზრმა გაიმარჯვა.

**— სახელოვანი კონკურენტები გყავდათ. ასეთი უპირატესობით გამარჯვებასაც ელოდით?**

— წინასწარი გათვლით ამდენ ხმას არ ველოდი, თუმცა... როგორ გითხრათ, ჩემი გამარჯვების მერე ძალიან ბევრმა ერთიდაიგივე გამიმეორა, გამარჯვება ყრილობის მიმდინარეობასას გაინაღდე, ხალხი შენსკენ მაშინ გადმოვიდა, როცა სიტყვა წარმოთქვიო. ნელ-ნელა მეც ამ აზრამდე მივდივარ.

**— ასეთი ობიექტური ყრილობა სანატრელი გვქონდა...**

— მართლაც, დემოკრატიის ყველა პრინციპის დაცვით წარიმართა არჩევნები. ეს ჩვენი სახელმწიფოს გამარჯვებაა, ქართული ფეხბურთისა. იმედია, სხვებიც მოგვბაძავენ. სიტყვა არავის მოუბრუნდება თქვას, ყრილობა არაობიექტურად ჩატარდაო, დემოკრატიულობის პიკი იყო. ეს ჟურნალისტების დამსახურებაცაა, საამისოდ თქვენ ბევრი გააკეთეთ.



ვინ იქნება ახალი პრეზიდენტის თანაგუნდელი?

**— უკვე პრეზიდენტი ბრძანდებით. ორშაბათიდან ახალ სამუშაოზე გამოცხადდებით. პირველად რას გააკეთებთ?**

— საკეთებელს, აბა, რა დალევს. მიჭირს ახლა კონკრეტულად რამე ვთქვა. უპირველესად რეფორმებით დავიწყებ, ჩემპიონატის ჩატარების სტრუქტურის შეცვლას შევეცდები.

**— ახალ კადრებზეც იფიქრებთ?**

— რა თქმა უნდა. ფეხბურთის ფედერაციაში ბევრი ცვლილება იქნება. კადრებიც შეიცვლება.

**— თქვენი ნამუშევრის ნაყოფს როდისთვის ველოდოთ?**

— არ მინდა ლიტონი სიტყვები გამომივიდეს. ჯერჯერობით პასუხისგან თავს შევიკავებ, თორემ პროგნოზს დაემსგავსება. ერთის პირობას კი მოგცემთ — საქმე აუცილებლად გაკეთდება, თანაც უახლოეს მომავალში. ყველაფერი კარგად იქნება. ფეხბურთი ფეხზე დადგება, მერე კი, როცა წინგადადგმული ნაბიჯი თვალსაჩინო იქნება, ხალხის დახმარებაც დამჭირდება.

**— აქამდე ჟურნალისტებს ფედერაციის პრეზიდენტთან ურთიერთობა პრობლემად გვქონდა ქცეული. ახლა როგორ იქნება?**

— როგორც აქამდე. ძალიან გთხოვთ, თუ სათქმელი გექნებათ, პირში მითხარით, ზურგს უკან ნუ გაგვაკრიტიკებთ. მუდამ თქვენს სამსახურში ვარ. სათქმელი მოურიდებლად მითხარით. ამიერიდან ფეხბურთის ფედერაციას ოდენ ბიულეტენი ექნება და არა გაზეთი. მხოლოდ ცოცხალი ინფორმაცია დაიბეჭდება, რასაც საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციებიდან მივიღებთ.

**— თქვენმა უცხოელმა პარტნიორებმა თუ შეიტყვეს, რომ ჟორდანია უკვე პრეზიდენტია? ეგებ გეგმებზეც ესაუბრეთ.**

— ლაპარაკით კი ვილაპარაკეთ, მაგრამ მნიშვნელოვანი არაფერი გვითქვამს. სჯობს საღ გონებაზე ვისაუბროთ. ახლა ემოციებით ვარ დაღლილი. მილოცვები კი, იცოცხლეთ, მრავალი ქვეყნიდან მივიღე.

**— ერთი აუცილებელი კითხვაც. „დინამოს“ პრეზიდენტის ფედერაციის პრეზიდენტობა უცვლელი ჩემპიონის მარად ჩემპიონობასაც ხომ არ ნიშნავს?**

— რას ამბობთ. „დინამოს“ პრეზიდენტობის დროსაც კი იმას ვცდილობდი, როგორმე ყველა გუნდი თანაბარ პირობებში ყოფილიყო. ახლაც ასე იქნება. „დინამოს“ ფედერაციისგან არანაირი შეღავათი არ ექნება.

**— „დინამოს“ პრეზიდენტი ვინ იქნება?**

— ჯერ არაა გადაწყვეტილი. ისე კი, ბოლო დროს კლუბს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდი, „დინამოს“ საქმეებს რომან შოთაძე წარმართავდა...

ისევ ტელეფონის ზარი. მერაბ ჟორდანია ინგლისურად ალაპარაკდა. მისი მეტად შეწუხება უკვე უხერხული იყო.

ღმერთი როგორც გადაწყვეტსო, უთქვამს უწმინდესს მერაბ ჟორდანიასთვის...

ორშაბათიდან ქართულ ფეხბურთში ახალი დროება იწყება.

**კობა ინასარიძე**

# ფედერაციას წითელი ბარათი უჩვენეს

## ქართული ფეხბურთის საჭე ახალ კაცს ჩააბარდა

გუშინდელი დღე — 1998 წლის 23 ოქტომბერი ქართული ფეხბურთის ისტორიის კუთვნილება გახდა. გუშინ ბოლო მოეღო ჩვენს ფეხბურთზე წინა ფედერაციის ლამის ცხრაწლიან ბატონობას. ფედერაციის IV ყრილობამ პრეზიდენტად ახალი კაცი — მერაბ ჟორდანია აირჩია. ეს საღამოს, ასე, ათის ნახევრისთვის მოხდა. მანამდე კი, მთელი 8 საათის განმავლობაში საქართველოს რკინიგზელთა კლუბის შენობა მოჭარბებული ვნებებისგან ორთქმავალივით თუხთუხებდა.

ყველაფერი ნაშუადღევს დაიწყო. პირველის წუთებზე ალმაშენებლის გამზირზე ისედაც შენელებული მოძრაობა ლამის მთლად შეწყდა.

აქ იყვნენ ძველი ფედერაციის მუშაკები, ყრილობის დელეგატები, პრეზიდენტობის კანდიდატები, მათი მხარდამჭერები, მოწვეული სტუმრები, ჟურნალისტები, გულშემატკივრები. მოკლედ ერი და ბერი. ლამის მესამედი საფეხბურთო სამყარო.

ყრილობის გახსნა 15 წუთით დაგვიანდა. ფედერაციის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე ჩივაძე მოთმინებით ელოდა სიჩუმეს. მერე კი შესავალი სიტყვა წაიკითხა, არ დაუმალავს, რომ დღეს ჩვენს ფეხბურთში კრიზისია. ამას უნდა ვუშველოთო.

ყრილობამ ალექსანდრე ჩივაძის თხოვნით პატივი მიაგო ბოლო ოთხი წლის მანძილზე ქართულ ფეხბურთს გამოკლებულ ყველა საფეხბურთო მოღვაწეს.

სხდომის თავმჯდომარეობა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ნოდარ ანდრიაძეს დაევალა.

ანდრიაძის პირველი სიტყვა და თხოვნა ეს იყო, მობილური ტელეფონები გამორთეთო. ყრილობის პირველ ნაწილში დელეგატებმა თხოვნა შეუსრულეს, შესვენების შემდეგ კი ატყდა ერთი წკრიალ-ზრიალი.

პირველად სამანდატო, სარედაქციო და ხმის დამთვლელი კომისიების შემადგენლობანი განისაზღვრა.

უკვე ორის ნახევრისთვის დღის წესრიგი და რეგლამენტიც დამტკიცდა.

თუმცა, თუკი აქამდე დეგელატებმა ყველა საკითხი ერთხმად მიიღეს, რეგლამენტის შეთავაზებული ვარიანტი სადაო გახდა.

სხდომის თავმჯდომარის თქმით, ფედერაციის გენერალური მდივანი დავით კვინიკაძე საანგარიშო მოხსენებისთვის ერთ საათამდე დროის გამოყოფას ითხოვდა. გენსეკს ერთი საფეხბურთო ტაიმი აკმარეს, დანარჩენ გამომსვლელებს 5-5, პრეზიდენტობის კანდიდატებს კი ათ-ათი წუთი გამოუყვეს. რეგლამენტი მეტ-ნაკლებად, ცხადია, ყველამ დაარღვია. დავით კვინიკაძეს სულაც მოხსენების შემცირება მოუხდა. 15 წუთი უსმინეს საექსპერტო კომიტეტის თავმჯდომარე თემურ კვახაძეს. თუმცა მანამდე დავით კვინიკაძის გამოსვლა იყო.

დავით კვინიკაძემ, მეგონა, იმდენ პატივს მცემდით, დროს, პირიქით, დამიმატებდით, თქვენ კი ჩამომაკელით, მაგრამ რაკი ვალდებული ვარ, ანგარიში ერთ ტაიმში ჩავატიო, რა გაეწყობაო.

გენსეკმა საანგარიშო პერიოდში გამართულ ეროვნულ ჩემპიონატებზე და თასის გათამაშებებზე, ქართული კლუბების და ნაკრები გუნდების საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლაზე ილაპარაკა. ამას მიგრაციაზე, მსაჯობის შეცდომებზე და საფეხბურთო ვანდალიზმთან ბრძოლაზე საუბარიც მოაყოლა.

კვინიკაძემ არანაკლები დრო დაუთმო სპორტის დეპარტამენტის 1997 წლის გადაწყვეტილებასმოყოლილ ბატალიებს. მისი თქმით, დეპარტამენტის კოლეგიის გადაწყვეტილების განხორციელება ქართული ფეხბურთის საერთაშორისო სამყაროდან გარიყვას ნიშნავდა. აღნიშნა, რომ ისეთი ობსტრუქცია, როგორიც წინა ყრილობაზე იყო და სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოთა გამუდმებული კომისიები ფედერაციის თანამშრომელთა მუშაობის ხარისხზე მოქმედებდა.

კვინიკაძემ გამოსვლა ამით დაასრულა — ფედერაციას შეუძლია ყველა გუნდს ეთამაშოს, ოღონდ ფეირ პლეის პრინციპი უნდა იყოს დაცული. თუ აქამდე აქეთ გვიტევდნენ, აწი ვაჩვენებთ, რომ მძლავრი შეტევის ორგანიზება ჩვენც შეგვიძლიაო.

გენსეკის სიტყვას საექსპერტო კომიტეტის თავმჯდომარისა მოჰყვა. ბატონმა თემურ კვახაძემ იმდენი ციფრები ისე უსისტემოდ დაახვავა, კაცი ვერ გაიგებდა, ფედერაციის საფინანსო პოლიტიკა დარღვევებს მოიცავდა თუ ყველაფერი წესრიგში იყო. ეს კია, ოთხ წელიწადში ფედერაციის შემოსავალმა 6 691 766 ლარი (აქედან 1 147 087 ლარი ნატურით) შეადგინა, ხარჯი კი 1 763 246 ლარი იყოო. დანარჩენ თანხას რა ბედი ეწია, ეს კი არ თქმულა.

ამის შემდეგ სიტყვა ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის წარმომადგენელმა მიხეილ ჯოჯუამ აიღო და ყურადღება ვეტერანთა პრობლემებზე გაამახვილა. ბატონმა მიხეილმა სტუდქალაქის სტადიონის ტერიტორიაზე საცხოვრებელ კორპუსთა მშენებლობით აღშფოთება გამოხატა და დელეგატებს მოუწოდა, მხარი ვეტერანთა ფავორიტ ილია დათუნაშვილისთვისაც დაეჭირათ და ვეტერანთა შემწე მერაბ ჟორდანიასთვისაც. ეს გახლდათ პირველი აგიტაცია, რომელმაც ყრილობაზე გაიჟღერა და ამის შემდეგ ყველა, მცირე გამონაკლისთა გარდა, საკუთარი ფალავნის პროპაგანდას განაგრძობდა.

ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისი, ჩვენი, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტის, ელგუჯა ბერიშვილის გამოსვლა გახლდათ.

— მეგონა, გამომსვლელთა რიგი დაგებოდა. ოთხ წელიწადში ბევრი სათქმელი დაგროვებულა და საოცარია, მთქმელი რომ არავინაა.

რაკი ალექსანდრე ჩივაძე ამბობს, რომ დღეს ქართული ფეხბურთი კრიზისშია, ეს აღიარებაა. მაგრამ ის არ აღიარებს, რომ სიტუაციის გამოსასწორებლად საჭიროა ახალი ხალხი. ეს ჩვენ უნდა გავაკეთოთ, ამას არ გააკეთებს ფედერაცია, რომლის სიტყვა და საქმე ხშირად სცილდებოდა ერთმანეთს. ამ ხნის მანძილზე ჩვენ სისტემატიური შეხვედრები და მიმოწერა გვქონდა ფედერაციის ხელმძღვანელობასთან, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

ამას ნიშნისმოგებით და ანგარიშსწორებით კი არა, გულისტკივილით ვამბობ. პრესის აზრი ძირითადად ერთმნიშვნელოვანია, ფედერაცია უნდა შეიცვალოს. აუცილებლადაა გადასახედი ფედერაციის გაზეთ „ქართული ფეხბურთის“ გამოშვების საკითხიც, რომლის მიზანიც პერიოდულობიდან გამომდინარე ინფორმაციის მიწოდება კი არა, საფეხბურთო ელიტის წევრთა გადაკიდება, მტრის ხატის შექმნა და მისი ანგარიშსწორება გახლდათ.

ჩვენს, ჟურნალისტებს შორისაც აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ მაინც, ჩვენ ყველანი ერთად მხარს დავუჭერთ მას, ვინც ქართულ ფეხბურთს გაამთლიანებს და შეარიგებს. ამ ფედერაციის ყველაზე დიდი დანაშაული საფეხბურთო მოღვაწეთა დანაწევრება და დაპირისპირებაა. ახალმა პრეზიდენტმა და ფედერაციამ ისინი უნდა შეარიგოს.

ელგუჯა ბერიშვილი ლაპარაკს მორჩა თუ არა, სამანდატო კომისიამ ჩააკერა სიტყვა.

სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ამირან აბესაძის მოხსენებით დელეგატთა 272 მანდატი შემდეგი პრინციპით განაწილდა: ალმასკომი — 18, ადგილობრივი და რეგიონალური ფედერაციები — 54, პირველი და მეორე ჯგუფის გუნდები შესაბამისად — 32 და 56, ნაკრები გუნდები — 5, საფეხბურთო სკოლები — 75, სხვადასხვა ორგანიზაციები — 32.

იუსტიციის სამინისტრომ უფლებამოსილება 245 დელეგატს შეუნარჩუნა. რეგისტრაცია კი აქედან მხოლოდ 238-ს გაუვლია, ქვორუმი — 163 კაცი, ცხადია, შედგა, აქედან გამომდინარე, ყრილობაც.

დაახლოები 4-5 საათის განმავლობაში 15-ზე მეტმა დელეგატმა ითხოვა სიტყვა.

მუშტაიდელ გულშემატკივართა კლუბის პრეზიდენტი ვაჟა კიკნაძე, სოხუმის „ცხუმის“ პრეზიდენტი გია გვაზავა, „ავაზას“ საფეხბურთო სკოლის დირექტორი მიხეილ მესხი, ილია დათუნაშვილის მხარდამჭერი თემურ მირიანაშვილი, საქართველოს პარლამენტის სპორტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე მანუჩარ მაჩაიძე, პროკურორი ზურაბ ცინცაძე, წარსულში საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ანატოლი მილჩენკო, თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა, დავით ყიფიანი, ლანჩხუთის „გურიას“ მწვრთნელი ჯონი ჯანელიძე, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი და საგარეჯოელი დელეგატი გია ნაცვლიშვილი.

ყველაზე დიდი გამოხმაურება პროკურორ ზურაბ ცინცაძის მოხსენებას მოჰყვა: ბატონმა ზურაბმა ცალკე ფედერაციის და ცალკე „დინამოს“ ფინანსურ დარღვევებზე ილაპარაკა, რამაც მურთაზ ხურცილავას და კახი ასათიანის აღშფოთება გამოიწვია.

— ეს კაცი სპეციალურად მოვიდა. თუ სერიოზული დარღვევებია, ამდენ ხანს ვერ იჭერენ, მაინცდამაინც არჩევნების დღემდე რომ მოიტანეს?!

თავს რომ ვიტყუებთ, ფეხბურთი კრიზისშიაო, სადა გვაქვს ფეხბურთი?!

ნაკრებს რომ ვეჩხუბებით და ვამბობთ, სისხლის გამოშვება სჭირდებაო, ამათ, ამ ფედერაციას გამოვუშვათ სისხლი, 8 წელიწადია, რომ ბოგინობს. მე კიდევ 4 წელი ამათ ვადას ვერ გავუგრძელებო — აღელვებულმა თქვა მურთაზ ხურცილავამ.

ბატონმა კახი ასათიანმა ფედერაციის ფინანსური დარღვევები უფრო გაშიფრა. სატელევიზიო კონტრაქტებში უვიცობით თუ შეგნებულად, ჩვენმა ფეხბურთმა მინიმუმ 4 მილიონი გერმანული მარკა დაკარგა. ფედერაციას საფინანსო ბირჟაზე მილიონი დოლარი უტრიალებია, მოგება კი მხოლოდ 31 ათასი დოლარი აქვთო ნაჩვენები. „დინამოს“ კი პრეზიდენტის ბრძანებულების ერთადერთ, ისიც უსაფუძვლო, პუნქტზე ედავებიანო.

საბოლოოდ, ფედერაციის ალმასკომის მუშაობის შეფასებაზე მიდგა საქმე. დიდი დათვლის შემდეგ დადგინა, 57-მა დელეგატმა დადებითად შეაფასა ალმასკომის ნაღვაწი, 97 — უარყოფითად, სხვებმა კი ლია კენჭისყრის გამო თავი შეიკავეს.

ფედერაციის მოწინააღმდეგეთა ხმები, ცხადია, სამზე გაიყოფოდა, ასე რომ, უპირატესობა, როგორც ჩანდა, ამ დროისთვის ჩივაძის მხარეს იყო.

მაგრამ დარბაზში წითელი ბარათების ანუ მოწინააღმდეგეთა რაოდენობამ ზოგიერთ დელეგატს საბაბი მისცა, ყრილობის რეზოლუციისთვის ფედერაციის ანდერძი ეწოდებინა.

არჩევნებამდე კენჭი ფედერაციის წესდებაში შეტანილ ცვლილებებს ეყარა, შემდეგ კი წილისყრის შედეგების გაყალბების თუნდაც მინიმალური შანსის თავიდან ასაცილებლად გადაწყდა, დელეგატებს ბიულეტენში სასურველი კანდიდატი შემოეხაზათ, სხვებისთვის კი ხაზი გადაესვათ.

კანდიდატთა გამოსვლები ლაკონური გახლდათ. გოგლიძის, დათუნაშვილის, ჟორდანიას გამოსვლებს, ცხადია, ჩივაძისა მოჰყვა. ბატონი საშა ალმასკომის მუშაობის უარყოფითად შეფასებით ნირწამხდარი იყო და კენჭისყრაში მონაწილეობა მხოლოდ მომხრეებთან შეთანხმებით გადაწყვიტა.

კენჭისყრა საათნახევარს გაგრძელდა და მონაწილეობა 235-მა დელეგატმა მიიღო. არც ერთი ბიულეტენი გაბათილებულა. კანდიდატთა ნდობით აღჭურვილ პირებმა თავ-თავიანთი ბიულეტენები წარდაიწყეს და მერაბ ჟორდანიას ხმებმა ასს რომ გადააჭარბა, მერაბ რატიანმა ხელები მაღლა აღმართა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, გამარჯვება ჟორდანიას გუნდმა ოდნავ ადრე იზეიმა.

საბოლოოდ ხმები ასე განაწილდა: გოგლიძე — 23, დათუნაშვილი — 44, ჩივაძე — 56 და ჟორდანია — 112. ეს მეორე ტურს მოასწავებდა, მაგრამ ამხელა ჩამორჩენის შემხედვარე ალექსანდრე ჩივაძემ კანდიდატურა მოხსნა და პრეზიდენტობა მერაბ ჟორდანიას მიულოცა.

ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა მილოცვა ჯერ დანარჩენი კანდიდატებისგან მიიღო, მერე კი სცენაზე ყველა მსურველი ავიდა და მერაბ ჟორდანიას პერსონალურად მიულოცა.

საკმაო დარღვევების მიუხედავად, ყრილობა წინანდელებთან შედარებით ბევრად ობიექტურად ჩატარდა და ქართული საფეხბურთო სამყაროს ელიტამ თავისუფალი არჩევანი გააკეთა.

ახლა ჯერი მერაბ ჟორდანიაზეა, მან ესოდენ რთულ სიტუაციაში დიდი ნდობა უნდა გაართლოს.

**ვახტანგ ბზიძე**

# მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!

### მეფე მოკვდა?!

არა, არავინ მომკვდარა. ეს სიტყვები, უბრალოდ, ხატოვნებისთვის ვიხმარეთ. არც მეფე მომკვდარა, არც ვეზირი. აი, ქართულ ფეხბურთში კი დიდი ძვრა მოხდა.

1998 წლის 23 ოქტომბერს ახალი კაცი მოვიდა სფფ-ს სათავეში. კაცი, რომელიც ულაპარაკოდ შეცვლის ყველაფერს, კადრებიდან დაწყებული. ხოლო ის, როგორ წაადგება ქართულ ფეხბურთს მისი მოღვაწეობა, ამას დრო გვიჩვენებს.

გუშინდელი დღიდან ოთხი წლის ვადით სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია შეიქნა. დიდი პატივია, ტვირთი და სიხარულიც „დინამოს" ახალგაზრდა პრეზიდენტისთვის ქართული ფეხბურთის მესაჭეობა და, ალბათ, გუშინდელი დღეც უმალ ბედნიერ დღედ უნდა ჩაიწეროს ჟორდანიას ცხოვრებაში.

და მაინც 1998 წლის 23 ოქტომბერი მერაბ ჟორდანიაზე მეტად ალექსანდრე ჩივაძის დღე იყო. დიახ, გუშინ ჩივაძემ გააკეთა ის, რისი გაკეთებაც მარტო ჩივაძეს შეეძლო. და ამიტომაც 1998 წლის 23 ოქტომბრიდან ჩივაძე ქართულ ფეხბურთში დარჩება... საშა ჩივაძედ.

და ეს ძალიან ბევრს ნიშნავს (უკვე).

ბევრს ნიშნავს ნებისმიერ თანამდებობაზე, რადგან ხალხმა იცის და იცნობს ალექსანდრე ჩივაძეს — ფეხბურთელს, კაპიტანს, უბრალოდ, კარგ კაცს და არა იერარქიისთვის, სკამისთვის მებრძოლ ჩინოსანს, რომელსაც თანამდებობა გაუხდია ოცნების მიზნად.

ერთხელაც დაამტკიცა ალექსანდრე ჩივაძემ, რომ „არა პურითა ხოლო..."

მანამდე კი... მანამდე ათასგვარ სიბინძურეზე ლაპარაკობდა ხალხი. ლაფში ამოისვარა ყველა და ყველაფერი. ქართული ფეხბურთი ამოისვარა ლაფში. რა გასაკვირია, ჩივაძეც ამოსვრილიყო.

მოღალატე გიწოდესო — ფაქტის წინ დაგაყენეს ვითომ, კაპიტან! და მერე თქვენი ალალად, გულისტკივილით ნათქვამიც გაისმა დარბაზში — რა უნდა გაეკეთებინა საშა ჩივაძეს ისეთი, ვინმეს მოღალატე რომ ეწოდებინაო.

ეს სულ პატარა კაცებმა შეგკადრეს, კაპიტან! ეს არ იყო ღალატი. ეს იმას ჰგავდა, ესპანურ ამბავს, აი, შოტლანდიასთან რომ წაგიცდათ ფეხი...

არ არის სფფ-ს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება იოლი საქმე და თქვენც ფეხი წაგიცდათ, ალბათ, სადღაც. წაგიცდათ და ჩაგავლეს კიდეც პატარა კაცებმა, თქვენი უმალ სახელი, პატიოსნება, გაუსვრელობა და სიალალე რომ სჭირდებოდათ თავიანთი სიბინძურის დასამალად.

მერე კი, იმ ფეხის დაცდომის მერე, წადით თქვენებურად, იბრძოლეთ და გოლი გაიტანეთ. შეცდომა გამოისყიდეთ მერე, შეცდომა და არა ღალატი, კაპიტან!

არც ახლა, ჩინოსნობისას გიღალატნიათ ფეხბურთისთვის, გეშლებოდათ კი... გეშლებოდათ და ამად იყო, წითელი ბარათი გიჩვენათ დარბაზმა.

— ჰოდა, თქვენ გადაწყვიტეთ, კენჭი ვიყაროო თუ არა, უფლება არა მაქვს, ამ „წითლის" მერეც პრეზიდენტობაზე ვიფიქროო — ესეც კაცური ნათქვამი იყო, კაპიტან!

ეს იყო კაცური და არა ის, რომ მეორე ტურში ჟორდანიას აღარ ებრძოლეთ.

შეიძლება საქართველომ დაკარგა ჩივაძე — სფფ-ს პრეზიდენტი, მაგრამ ჩივაძე დაიბრუნა — ის ძველი საშა ჩივაძე, რომელსაც ალალად უკრავდა ტაშს ერთ დროს.

და ახლაც რომ ალალად დაუკრეს ტაში.

სიმართლე ვუთხრათ ერთმანეთსო — ესეც ჩივაძემ თქვა ყრილობის მიმდინარეობისას და ჩვენც მართლად ვიტყვით — ასეთ დროს, იმ დროს, როცა კაცი უარს ამბობს სფფ-ს პრეზიდენტობაზე, ყველაზე ნაკლებადაა საჭირო კლანებსა და დადგმულ სცენარებზე ლაპარაკი.

ასეთ დროს, უბრალოდ, არ არის მიღებული „შეკვრა-შემოკვრაზე" ისაუბრო, რადგან ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ნამუს საზომი მართალ ნაბიჯს დგამს, ნაბიჯს, რომელსაც აღარავინ ელოდა მისგან. არ ელოდა, მაგრამ გადადგა. გვიან გადადგა, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო — ესეც ხომ ქართულია.

და როცა კაცის ასეთ ნაბიჯს უცქერ, ნაგვიანებს, მაგრამ მართალს, არ გინდა, მაინცდამაინც ცუდზე, კლანებზე, ლაფზე იფიქრო კაცმა.

ამადაც არ მომკვდარა მეფე. არა გვყავს ჩივაძე-პრეზიდენტი, მაგრამ შეგვრჩა ჩივაძე — უბრალოდ, საშა ჩივაძე. მართალი, ალალი, როგორსაც იცნობს მას ხალხი, როგორსაც ვიცნობდით ჩვენ.

ამიტომ ჩივაძე ქართულ ფეხბურთში დარჩება... ჩივაძედ. ეს კი ცოტას არ ნიშნავს.

ეს ძალიან ბევრს ნიშნავს (უკვე).

1998 წლის 23 ოქტომბერი მაინც ალექსანდრე ჩივაძის დღედ დარჩება.

### აჰა, ცისკრის ვარსკვლავიც...

ჩამავალ მზეს ამომავალი ვარსკვლავი მირჩევნიაო, ცისკრის ვარსკვლავი...

როგორ გგონიათ, ვის ეკუთვნის ეს ლამაზი სიტყვები? ეს უმცროსმა მიხეილ მესხმა თქვა. ლამაზადაც თქვა. თავისი ფეხბურთივით ლამაზი ნათქვამი გამოუვიდა უმცროს მესხს. მერაბ ჟორდანიას უკეთესობას გაუსვა ხაზი ამ ნათქვამით პატარა მიშამ. დარბაზმაც, დელეგატებმაც ჟორდანია არჩიეს სხვებს.

იყო მილოცვები: იყო სიხარული, ალაგ-ალაგ დაბნეული სახეებიც იყო. მაგრამ ერთიანობაც იყო ალაგ-ალაგ — ჩივაძე და ჟორდანია, გოგლიძე და ჟორდანია, დათუნაშვილი და ჟორდანია...

ვითომ ამოდის? ნათდება ვითომ?

იქცევა კი ჟორდანია ქართული ფეხბურთის ვარსკვლავად?

ძნელია ახლა პროგნოზი. ის კი არა, ერთი წლის მერეც ძნელი იქნება რაიმე იწინასწარმეტყველო კაცმა. იმიტომ, რომ ჟორდანია ახალი ცოცხია და ერთი წლის მერეც ახალი ცოცხი იქნება.

ჟორდანიას ვარსკვლავობა ოთხი წლის მერე გამოჩნდება, იმის მიხედვით, თუ რა ფერის ბარათს უჩვენებენ დელეგატები სფფ-ს ახალ პრეზიდენტს — მწვანეს თუ წითელს.

ერთი დიდი ქართველის არ იყოს, იცით კი რა დროა ეს ოთხი წელიწადი?

დიდი, დიდი დროა ეს ოთხი წელიწადი, ბევრის მთქმელი და ბევრის დამტევიც.

სხვაა „დინამოს" პრეზიდენტობა და სულ სხვა სფფ-ს მესაჭეობა.

ის, რაც „დინამოს" პრეზიდენტს ჰყოფნიდა, არ ეყოფა სფფ-ს პრეზიდენტს.



ეს წუთია ალექსანდრე ჩივაძემ თავისი კანდიდატურა მოხსნა და მერაბ ჟორდანიას გამარჯვების მისალოცად უხმო

ქართული ფეხბურთის მდგომარეობიდან გამომდინარე კი მზეებზე და ვარსკვლავებზე საუბარი ზედმეტია.

დღეს ქართული ფეხბურთის გადარჩენაზეა ლაპარაკი.

და ვინც ამას იკისრებს — ის იქნება ცისკრის ვარსკვლავიც. აქამდე სულ ერთი იყო, ვინ გადაარჩენდა ჩვენს ფეხბურთს — ჟორდანია, ჩივაძე, გოგლიძე თუ დათუნაშვილი. ახლა ერთია პრეზიდენტი, იგი მერაბ ჟორდანიაა და სხვებზე მეტი შანსი გააჩნია, წინ გაუძღვეს ქართულ ფეხბურთს, ისევე, როგორც ტვირთი აღევს სხვებზე მეტი.

ჩვენი მხრიდან კი ამას ვიტყვით — კრიტიკას არ მოვაკლებთ ახალ პრეზიდენტს, ოღონდ ჯანსაღ კრიტიკას.

რადგან პრეზიდენტები მიდიან და პრესა რჩება.

პრესა კი სწორედ კრიტიკისთვისაა მოწოდებული.

მაშ, ასე, ბატონო პრეზიდენტო, საქმე თქვენი, სიტყვა ჩვენი.

ღმერთმა ქნას, თქვენი საქმე და ჩვენი სიტყვა ერთი იყოს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# დავით ყიფიანი: ეს ბანდა უნდა დაიშალოს

## რა უნდა ყრილობაზე პროკურატურას და კაგებეს?!

*სხდომის პირველ ნაწილში საყრილობო ვნებათაღელვამ კულმინაციას მიაღწია. უშუალოდ კენჭისყრამდე გამოცხადებული შესვენება იქ მყოფთათვის ემოციებისგან დასაცლელად საუკეთესო საშუალება გამოდგა. დავით ყიფიანთან სახელდახელო ინტერვიუც სწორედ შესვენების დროს შედგა*

— არ არის დღეს საქართველოში ფეხბურთი. დღეს თქვენ ილუზიებით ცხოვრობთ და გგონიათ, რომ რაღაც არის. არ დაიჯეროთ. პირდაპირ გეუბნებით, ჩვენ, ის ხალხი, ვისაც რაღაც გაგვიკეთებია ფეხბურთის საკეთილდღეოდ, ვისაც ელემენტარულად გვესმის და ვიცით, რა არის ფეხბურთი. რაც დღეს ჩვენთან ხდება, ეს არ არის არც ფეხბურთელების და არც მწვრთნელების ბრალი, თევზი თავიდან ყარს და ეს ყველამ უნდა შევიგნოთ.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— არის გამოსავალი და თანაც მარტივი — ფედერაციაში თავმოყრილი ეს ბანდა უნდა დაიშალოს, სხვა გზა არ არის. სასიკეთოდ გადადგმული პირველი ნაბიჯიც, ეს იქნება. დარწმუნებული ვარ, ამის შემდეგ ეტაპობრივად ყველაფერი დარეგულირდება და სწორ კალაპოტში ჩადგება.



ვაჰ, დრონი, დრონი... ნოდარ ანდრიაძე და დავით კვინიკაძე

თქვენ რა გგონიათ, ახლა რომ აირჩევენ, მას შემდეგ ფეხი რომ დაუცდეს და დღევანდელი ფედერაციის შეცდომები გაიმეოროს, გვერდით დავუდგები? პირიქით, პირველი ვიყვირებ ხმამაღლა და უარესს ვუზამ... რუსებს აქვთ ერთი კარგი გამოთქმა, „ცუდი უნდა შეიცვალოს". მორჩა, დამთავრდა. რვა წელია, ხალხს ატყუებენ, ათასი სისულელეებით უჭედავენ ტვინს. ყველაფერი მოშლილია, რაც აქამდე გვქონდა, ისიც წყალშია გადაყრილი. ირგვლივ კორუფციაა. დღეს საქართველოში ფეხბურთელი არ იზრდება. დაბადებულიც არ არის და უკვე გაყიდულია. მწვრთნელებმა საერთოდ კონსპექტის დაწერაც არ იციან, მსაჯობაზე აღარაფერს ვამბობ. რა ფეხბურთზეა აქ ლაპარაკი. ვიმეორებ, ეს ბანდა უნდა დაიშალოს, გამოსავალიც ეს არის.

**— ბრძანეთ, რომ რვა წელია, ყველაფერი ინგრევა და ხალხს ატყუებენ, ესე იგი ოთხი წლის წინაც, წინა ყრილობამდეც, ანალოგიური სიტუაცია იყო. უკმაყოფილებას მაშინაც ბევრი გამოთქვამდა, ფედერაციის შემადგენლობა კი უცვლელი დარჩა...**

— ჩვენ გვჯეროდა... ვიმედოვნებდით, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ წავიდოდა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, დაღმასვლა ისევ გაგრძელდა და ყოველივემ კატასტროფულ მდგომარეობამდე მიგვიყვანა... დღევანდელ ყრილობას დავუბრუნდები, ხომ ხედავთ, რაც ხდება. მე ვთვლი, რომ დღევანდელი ყრილობა ერთი წლით ადრე რომ ჩატარებულიყო, სავალალო შედეგებს თავიდან ავიცილებდით. ეს ერთი წელი ფაქტობრივად დაკარგულია. ხომ ხედავთ რუსეთში რა ხდება, ადგა კოლოსკოვი და თქვა, ორი წელი კიდევ უნდა ვიპრეზიდენტოო. მათი დაღმასვლაც გარდუვალია. ამის ტენდენციები უკვე აშკარად შეიმჩნევა. ჩვენი ყრილობა კი პირდაპირ საშინელებაა. კვინიკაძის საანგარიშო სიტყვის მოსმენა ძალიან მაინტერესებდა. ამ მოხსენებაში მას ხუთი შეცდომაც დავუჭირე. ამ დროს კი დარბაზში ზოგი ამბობს, რეგლამენტი შევუკვეცოთო, ზოგი იცინის, ეს იმის ბრალია, ნახევარი ხროვა რომ არის შეყრილი. ან ეს დელეგატები ვინ არიან, გადახედეთ, უმეტესობა ფეხბურთის აზრზე არ არის. ან ალმასკომში ვინ ზის... პროკურატურა და „კაგებე" მოიყვანეს ფეხბურთზე და ყრილობაზე, აბა, ნორმალურები არიან?... მე მასწავლიან ეგენი პროკურატურას და აღებ-მიცემას.

**— ყრილობის ამგვარი სცენარით განვითარების კმაყოფილი თუ ხართ?**

— რას ლაპარაკობთ, წინა ყრილობასთან შედარებაც არ შეიძლება. მაშინ დარბაზში რომ შევედი, დიდი დრო არ დამჭირდა იმის მისახვედრად, რომ ყველაფერი წაგებული იყო და მაშინვე გარეთ გამოვედი. მაგრამ მთავარია დღევანდელმა სხდომამ შედეგი გამოიღოს. დღევანდელი ფედერაცია უნდა შეიცვალოს, ორი აზრი არ არსებობს. მე ერთ ფაქტს მოვყვები, თუ რა ხდებოდა ფედერაციაში. ალმასკომის სხდომაზე დამიბარეს. თავის ჭკუით, უნდა მომხსნან ნაკრების მთავარი მწვრთნელობიდან. მელოდებიან, რომ თავის მართლებას დავიწყებ და იქით „დავახურებ თავზე", მაგრამ მე მივედი, დავჯექი და ჩუმად ვარ, ხმას არ ვიღებ. დაიბნენ, ჩემგან გარკვეულ რეაქციას ელოდნენ, მე კი გაჩუმებული ვარ... მოკლედ, სცენარი ჩაეშალათ. უნდა გენახათ — ატყდა რეკვა ცხონებულ ახალკაცთან, რა ვქნათ, არაფერს ამბობს, როგორ მოვიქცეთ, ამ დროს კი ყველაფერი წინასწარ დაგეგმილია, მთავარი მწვრთნელიც დანიშნული ჰყავთ და გადაწყვეტილებაც შვეიცარიაში გაგზავნილი აქვთ... ამის შემდეგ აცხადებენ, რომ ალმასკომი უზენაესი ორგანოა, ბოლოს ავდექი და პირდაპირ განვაცხადე, მასხარები ხართ-მეთქი და ეს მართლაც ასეა.

**ბაათა ქვანტალიანი**

# ემოციები და აზრები

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე *ჯანო ბაგრატიონი* ყრილობაზე სიტყვით არ გამოსულა. თუმცა ჩვენთან საუბარში ბატონმა ჯანომ თავისი პოზიცია და მოსაზრება სადღეისო პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე მკაფიოდ გამოხატა.

— დღეს უდავოდ ბევრი პრობლემაა ქართულ ფეხბურთში, ამიტომაც არის დღევანდელი ყრილობა ასეთი ემოციური, მაგრამ, სამწუხაროდ, ყრილობის დელეგატები ძირითად პრინციპებს არ იცავენ და ძირითადად პრეზიდენტობის კანდიდატთა ღირსებებზე ლაპარაკობენ, ეს კი, ალბათ დამეთანხმებით, აცდენილია საყრილობო კალაპოტს. მე პირადად უფრო ის მაინტერესებს, გავიგო, რა ხდება ქართულ ფეხბურთში, რა უჭირს მას და რა რესურსები არსებობს მისი ჭაობიდან ამოსაყვანად. რა თქმა უნდა, ძალზე რთულია დღევანდელი მდგომარეობის გამოსწორება, ამას ბევრი დრო დასჭირდება. მაგრამ ამოსავალ წერტილად ფედერაციის დღევანდელი შემადგენლობის შეცვლა და გადახალისება მიმაჩნია, შემდეგ საჭიროა ერთად დასხდომა და ყველაფრის გაანალიზება. საჭიროა სახელმწიფო სტრუქტურებისა და ფედერაციის საქმიანობის შეჯერება-კოორდინაცია. მიმაჩნია, რომ ფედერაციას ნორმალური ურთიერთობა რომ ჰქონოდა სპორტის მმართველ ორგანოსთან, დღეს ასეთი მდგომარეობა არ იქნებოდა. ვთვლი, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს ფეხბურთის ფედერაციის სახელმწიფო სტრუქტურასთან და სპორტის მმართველ ორგანოსთან შერწყმა, წინააღმდეგ შემთხვევაში სავალალო შედეგებს ვერ ავიცილებთ. ქართულ ფეხბურთს ზემოდან უნდა გაეწიოს მიზნობრივი და მიზანმიმართული დახმარება.

**— ფეხბურთის ფედერაცია უპირველეს ყოვლისა მის საქმეებში ჩაურევლობას მოითხოვდა, თქვენ კი თვლით, რომ საქმეში სახელმწიფო სტრუქტურების ჩარევა ვითარებას გამოასწორებს.**

— დიახ, მე ასე ვფიქრობ. პრინციპში, ეს ჩარევა კი არა, დახმარებაა და ასე მგონია, რომ სხვა გამოსავალი არც არის. კი ბატონო, ფეხბურთის ფედერაციას აქვს საიმისო ბერკეტი, რომ მოიზიდოს რაღაც სახსრები, შეიძლება იქ გრანტის სახით გარკვეულ თანხას იღებენ, შეიძლება სათამაშო ფორმებისა და ბურთების პრობლემაც გადაწყვეტილია, მაგრამ ეს ყოველივე ზღვაში წვეთია. ჩვენი კლუბები შავ დღეში არიან, ყველას ძალიან უჭირს. თუ სახელმწიფომ დასახმარებლად სერიოზული თანხები არ გამოჰყო, საფეხბურთო მეურნეობის ფეხზე დაყენება ძალიან გაგვიჭირდება.

**— ეს ყოველივე უშუალოდ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, ამ მხრივ კი დალხინებულად სულაც არ გვაქვს საქმე. შეძლებს კი ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტი, გასწვდეს ქართულ ფეხბურთს?**

— რა თქმა უნდა, ქვეყანას უჭირს, სპორტის გასავითარებლად გამოყოფილი თანხები თვით დეპარტამენტსაც არა აქვს, მილიონობით ვალი გვაქვს, მაგრამ როდესაც დგება ბიუჯეტი, ნაწილდება თანხები სპორტის სახეობებზე, აქ უთუოდ უნდა იყოს გათვალისწინებული მეტნაკლებობის პრინციპი, ვთქვათ, თუ ხელბურთელებს ეკუთვნით 300 000, მაშინ ფეხბურთმა უნდა მიიღოს ნახევარი მილიონი. ეს ხომ დიდი საქმეა, როდესაც ფედერაცია ამ თანხას მიიღებს და მას მიზნობრივად გამოიყენებს. ამით ყინულიც დაიძვრება. ეს სულაც არ არის ფედერაციის საქმიანობაში ჩარევა, ეს იქნება დახმარება და ფეხბურთის საკეთილდღეოდ გადადგმული დროული ნაბიჯი. მოკლედ, სანამ ფედერაცია მომძლავრდება და ფეხზე დადგება, სახელმწიფოს მხრიდან დახმარება აუცილებლად მიმაჩნია.

შესვენებაზე რამდენიმე დელეგატს ვთხოვეთ თავიანთი მოსაზრებები გამოეთქვათ ყრილობის მიმდინარეობის შესახებ. პირველი მათგანი პარლამენტარი *მანუჩარ მაჩაიძე* გახლდათ.

— აზრი, როგორც ნახეთ, გაყოფილია. ყველა კანდიდატს ჰყავს თავისი მომხრეები, მაგრამ ფეხბურთის განვითარებისთვის, ვფიქრობ, საჭიროა, სათავეში ახალი გუნდი მოვიდეს. ამით მე ძველი ხელმძღვანელების ერუდიციასა და პროფესიონალიზმს ეჭვქვეშ არ ვაყენებ. კანდიდატებს რაც შეეხებათ ილია დათუნაშვილის გარდა ყველა სხვა კანდიდატი ასე თუ ისე დაკავშირებული იყო ქართულ ფეხბურთთან და ამიტომ მათ ნაკლები მორალური უფლება აქვთ, ამ პოსტზე პრეტენზია განაცხადონ. რა მოხდება, წინასწარ არ ვიცი, მაგრამ ილია დათუნაშვილის სათავეში მოსვლის შემთხვევაში ქართულ ფეხბურთში, ვფიქრობ, დადებითი ძვრები დაიწყება. თუ რომელიმე სხვამ გაიმარჯვა, არა მგონია, ქართულმა ფეხბურთმა იმ დატკეპნილი გზიდან გადაუხვიოს, რასაც ოც წელზე მეტია ადგას.

იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელს რაც შეეხება, მართალი გითხრათ, მისი ყრილობაზე მოსვლა ჩემთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ მე ჩემს გამოსვლაში აღვნიშნე და მოვალეც ვიყავი, რადგან სპორტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე ვარ პარლამენტში, ფედერაციის სამეურნეო-საფინანსო მუშაობაში რომ დარღვევები იყო ამის დამალვა არ შემიძლია.

**— ბატონო მანუჩარ, ილია დათუნაშვილმა განაცხადა, რომ მას მოქალაქეთა კავშირი უმგრებს ზურგს. ხომ არ ფიქრობთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეთა კავშირი არჩევნებში ვერ გაიმარჯვებს, დათუნაშვილიც დატოვებს ამ პოსტს?**

— როგორც ჩემთვის ცნობილია, ბატონ ილიას მოქალაქეთა კავშირის ყველა წევრი არ უჭერს მხარს და სხვათა შორის, მმართველი პარტიის ოპოზიციის წარმომადგენლებიც ემხრობიან. გარდა ამისა, ილია დათუნაშვილი მოქალაქეთა კავშირის აქტიური წევრი და დიდი პოლიტიკოსი არ არის, ამიტომ მმართველი პარტია ამ შემთხვევაში წამყვან როლს არ თამაშობს.

„მერანის" მთავარმა მწვრთნელმა *სერგო გაბელაია* მიუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლის გამოჩენას არანაირი შეფასება არ მისცა. თუმც ყრილობის მუშაობის შესახებ თავისი მოსაზრება გამოთქვა.

— ვფიქრობ, ყრილობა უფრო მომზადებულად უნდა ჩატარდეს. მომზადებაში წესრიგს ვგულისხმობ. შანსები, მგონი, ყველას თანაბარი აქვს და პრეზიდენტის ვინაობა, ალბათ, მეორე რაუნდში გაირკვევა.

ყრილობაზე ემოციური გამოსვლის შემდეგ *მურთაზ ხურცილავა* შესვენებაზე შედარებით დაწყნარებული იყო და არც ჩვენთან საუბარზე განუცხადებია უარი:

— მაპატიოს საზოგადოებრიობამ ასეთი ემოციური გამოსვლისთვის, მაგრამ ძალიან მიყვარს ფეხბურთი და როცა საქმე ქართულ ფეხბურთს ეხება, ცოტა გამოვდივარ წყობიდან. ის კი, რაც დღეს მოხდა, იუსტიციის სამინისტროს თუ პროკურატურის წარმომდგენელს ვგულისხმობ, იაფფასიანი ფანდი იყო. ეს საგანგებოდ გაკეთდა. ვინმეს რომ დარღვევა აღმოეჩინა, განა ამდენ ხანს გაგვაჩერებდნენ ადგილებზე? ვიმეორებ, „დინამოში" არავითარი დარღვევა არ არის და ტყუილად ცდილობენ, სახელი გაგვიტეხონ.

ყრილობის შესახებ თავისი აზრი გამოთქვა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ბატონმა *ემზარ ზენაიშვილმა*:

— ჩემი აზრით, ეს არჩევნები, განსხვავებით წინა სამისაგან, რომლებსაც ასევე ვესწრებოდი, უფრო დემოკრატიულად ტარდება. რაც შეეხება პრეზიდენტობის კანდიდატებს, ღრმად მწამს, რომ დელეგატები ღირსეულს აირჩევენ. ახალ პრეზიდენტს კი დიდი ჯაფა დაადგება ქართული ფეხბურთის კრიზისიდან გამოყვანისთვის, თუმცა მას ყველა მხარში უნდა ამოუდგეს, მარტო ის ვერაფერს გახდება. ერთ-ერთი მთავარი როლი კი მასმედიას აკისრია. ერთიც მინდა დავამატო, ვინც არ უნდა გახდეს ფედერაციის პრეზიდენტი, მდგომარეობას უეცრად ვერ შეცვლის. არარეალურია ის, რომ ნაკრებს მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დაძლევას და ფინალურ სტადიაზე თამაშს ვთხოვთ. ამას დიდი დრო სჭირდება, ხუთი-ათი წელი მაინც. ჯერ ქვეყანა ეკონომიურად უნდა გაძლიერდეს, ჩემპიონატის დონე ამაღლდეს და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ვიფიქროთ მოწინავეთა შორის მოხვედრაზე. საქართველოს შესწევს იმის უნარი, იყოს ნორმალური საფეხბურთო ქვეყანა.

ორიოდე სიტყვა თსუ-ს მთავარმა და ახალგაზრდული ნაკრების მეორე მწვრთნელმა *ოთარ გაბელიამაც* თქვა:

„მგონი, ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის, ვფიქრობ, არჩევნები დემოკრატიული პრინციპით ტარდება. როგორც ცივილიზებულ ქვეყანას შეეფერება, ჯერ დებატები გაიმართა, არჩევის დროს კი რაიმე ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. ასე რომ, რასაც მე ვხედავ, ყველაფერი ნორმალურადაა. ახალ პრეზიდენტს დიდი სამუშაო დახვდება. ჩვენ რომ ტალანტები გვყავს, ისეთით ბევრი ვერ დაიკვეხნის, მაგრამ მათ სწორი მიდგომა სჭირდებათ. პირობებიც უნდა შევუქმნათ, როგორ შეიძლება, ფეხბურთელს ბუცები არ ჰქონდეს. უნდა მოწესრიგდეს ბაზები, სტადიონები, ფეხბურთელი მხოლოდ თამაშზე უნდა ფიქრობდეს. გარდა ამისა, აუცილებელია მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებაც, ამისთვის ისინი უცხოეთში უნდა გაიგზავნონ სემინარებზე. ერთ-ერთ სემინარზე თავადაც გახლდით და ვიცი, რაოდენ სასარგებლოა ეს ცოდნის გაღრმავებისთვის და გამოცდილების შესაძენად. ახალმა პრეზიდენტმაც უნდა იფიქროს იმაზე, ყველანაირი პირობა უნდა შექმნას ფეხბურთის განვითარებისათვის.

ოთარ გაბელიას მსგავსად „გურიას" თავკაც *ჯონი ჯანელიძესაც* იმ დროს გავესაუბრეთ, როცა თავისი რჩეულისთვის ხმა უკვე მიცემული ჰქონდა, თუმცა მისი ვინაობის გამხელისაგან თა- ვი შეიკავა:

— დღევანდელი ყრილობა შეიძლ- ბოდა უფრო დახვეწილი ყოფილიყო. იყ საკითხები, რომელთაც უფრო კონკრ- ტული პასუხები უნდა გასცემოდა. ს ერთოდ, ფედერაციის ასეთი კრიტი- გაუმართლებლად მიმაჩნია, რადგა დღეს, როცა სამუშაო, ფაქტობრივა არ არის, ამდენი ახალგაზრდაა ფეხბ- რთში დასაქმებული. იყო დრო, საქა- თველოში არაფერი მოქმედებდა, ფე- ბურთი კი, ავად თუ კარგად, მაინც იყ ახალ პრეზიდენტს კი ვუსურვებ თავი- სი მიზნების განხორციელებას, თუმც რადიკალური ცვლილებების გატარე შეუძლებლად მიმაჩნია. ახლა ისეთი პრ- ზიდენტი გვჭირდება, რომელიც თავის გამჭრიახობითა და გამოცდილებით მდ- გომარეობას გამოასწორებს, ინვესტ- ციების მოსაზიდად უცხოელ პარტნიო- რებთან დაამყარებს ურთიერთობა ჩვენც ყველანი მხარში დავუდგებით დ ვფიქრობ, ერთად რაღაცას მივაღწევთ

შესვენებაზე, მეორე რაუნდის დაწ- ყებამდე, ყრილობის მუშაობისა და მი- სი მსვლელობის შესახებ აზრის გამო- თქმა „მერანის" პრეზიდენტს, პარლა- მენტარ *ნუგზარ ნავაძეს* ვთხოვეთ:

—თუ წინა ყრილობის პერიპეტიებ გავიხსენებთ, დღევანდელი ყრილო უფრო საქმიან ვითარებაში და ცივ- ლიზებული ფორმით ტარდება, მაგრ ერთი რამ კი შევნიშნე — დელეგატ გამოსვლა უფრო კონსტრუქციულ ჰგავს და მაინცდამაინც მიზანმიმართ- ლი არ ჩანს, ყველა ცდილობს, საკუთა- რი თავი წარმოაჩინოს და ამგვარა გაიყვანოს ფონს თავისი რჩეული. ას- თი დაინტერესება, ჩემი აზრით, ცალ- ხრივია და უფრო პირადულისკენ ი რება, არ არის იმ საერთო სატკივრ გამომხატველი, რასაც ქართული ფე- ბურთის გარადჩენა ჰქვია. ერთი შ იძლება ითქვას, ჯერჯერობით ფეხბ- რთის ფედერაციის ოფიციალურმა ხ ლმძღვანელობამ პრაქტიკულად დააფ ქსირა, რომ ქართული ფეხბურთი კრ- ზისულ მდგომარეობაშია და ყოფნა-ა ყოფნის საფრთხის წინაშეა. დღევანდ ლი ოთხივე კანდიდატიდან არც ერთ არ არის ისეთი, სამეგობრო გვერდ არ ჰყავდეს და რომ იტყვიან, ხავს ფეხი არ ედგას. ალბათ, სწორედ ამ განაპირობა, რომ ყრილობის მუშაობ პრინციპებს ყრილობის მსვლელობამ გ რკვეულწილად გვერდი აუარა. ყრილ ბის მუშაობის პრინციპებში იმას ვგ ლისხმობ, თუ რა უნდა გაკეთდეს ხ ლისთვის, რა არის ქართული ფეხბ რთის სამომავლო პრიორიტეტი, რა უნდა ვიმსჯელოთ და რა უნდა გაა თოს მომავალმა პრეზიდენტმა და მ მავალმა ფეხბურთის ფედერაციის ა მასკომმა. ასე რომ ყოფილიყო, ალბა უფრო უკეთესიც იქნებოდა. დარწმუ ბული ვარ, ქართულ ფეხბურთში მ სალოდნელი ცვლილებები აუცილებლ მოხდება.

ხაზგასმით აღვნიშნავ, ჩემთვის სუ ერთი ნამდვილად არ არის, ვინ იქნე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მაგრამ არც მის გვარს აქვს დიდი მ შვნელობა.

მთავარია, მომავალი პრეზიდენტ იყოს კაცი, რომელიც მხოლოდ ფეხბ რთით იცხოვრებს, სხვა შემთხვევა კი კვლავ დავრჩებით ისეთ მდგომარ ობაში, როგორშიც ამ რვა წლის წ ვიყავით. თუ ასე გაგრძელდა და რე ლურად არაფერი შეიცვალა, ვფიქრ ქართულ ფეხბურთში ჩემს დარჩენ აზრი არა აქვს.

რაც შეეხება იმას, თუ ვინ მიმაჩნ ფავორიტად, სანამ ჩემს აზრს ხალ გაიგებს, მანამდე პრეზიდენტი უკვე ა ჩეული გვეყოლება. ჯერჯერობით და თუნაშვილისა და ჟორდანიას კანდიდ ტურებია გამოკვეთილი და მეც, ალბა ამათ შორის მომიწევს არჩევანის გა თება. თუმცა რამდენიმე თვის წინ ჩე პოზიცია გარკვეული მქონდა და ჩე რჩეულს სრულ მხარდაჭერასაც ვპი დებოდი. თუ აზრი შემეცვალა და დღ სდღეობით მას არ ვუჭერ მხარს, ამ მიზეზი იმ კანდიდატმა თავის თავ უნდა ეძებოს და არა ჩვენდამი მის დ მოკიდებულებაში. გადაწყვეტილება უ მივიღე და ჩემს არჩევანსაც სწორ კენჭისყრისას გავაკეთებ.

ბაატა კვანტალია
გიორგი ვაშაძე
ბაატა თოთა
ვანო ოქროპირი





ახალარჩეული პრეზიდენტი ჟურნალისტთა ალყაში

საქართველოს ჩემპიონატი 11 ტური ანონსი

# თბილისობა მცხეთის ქალაქში

*საიუბილეო ჩემპიონატის მეთერთმეტე ტური შემოდგომის ტრადიციულ დღესასწაულს — თბილისქალაქობას დაემთხვა. მცხეთაში კი მეტად საინტერესო თბილისური დერბი გველის. ჯერჯერობით დაუმარცხებელი „ლოკომოტივი" და „დინამო" შეეცდებიან, პირველი დამარცხება აგემონ ერთურთს. ტურის სხვა დანარჩენ შეხვედრებშიც, უეჭველია, უშელავათო ბრძოლების მოწმენი გავხდებით, რადგან თითოეულ ქულას გუნდებისთვის ოქროს ფასი აქვს — აუტსაიდერთა და ლიდერებს შორის ხომ ქულათა მინიმალური სხვაობაა.*

მცხეთა
24 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
3 000

**ლოკომოტივი — დინამო**

მსაჯები: ა. შილაკაძე;
მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე;
გ. მგალაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: მ. კობიაშვილი

თბილისქალაქობის დღესასწაულზე მცხეთაში მართლაც საინტერესო ორთაბრძოლის მოწმენი უნდა გავხდეთ. დაუმარცხებელი გუნდების თბილისური დერბი, იმედია, პატარა საფეხბურთო ზეიმს გვაჩუქებს.



„ლოკომოტივი" — „დინამო". ორი გამოცდილი მწვრთნელის თემურ მახარაძისა და მურთაზ ხურცილავას დუელი. ვნახოთ ვისი აჯობებს?

წინა ტურში „ლოკომოტივმა" წყალტუბოში გამარჯვებით კვლავ დაადასტურა, რომ რკინიგზელებს წლევანდელ ჩემპიონატში შორსმიმავალი მიზნები დაუსახავთ და ძალაც შესწევთ ამისათვის. ერთი ყველასგან განსხვავებული მაჩვენებელი აქვთ თემურ მახარაძის შეგირდებს — მათ სტუმრად ყველაზე მეტი შეხვედრა ჩაატარეს, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ჯერჯერობით დაუმარცხებლად მიდიან გათამაშებაში.

აი, საქართველოს მარადმა ჩემპიონმა კი ქუთაისელთა პირველი მარცხის შემდეგ მოახერხა ცხრილში ჩვეული საფეხურის დაბრუნება და ახლა შეეცდება, ლიდერის პოზიცია კიდევ უფრო განიმტკიცოს. დღემდე დინამოელებს სერიოზული მოწინააღმდეგე არ ჰყოლიათ „ბათუმის" გარდა და სწორედ ზღვისპირელებმა მოახერხეს ჩემპიონისთვის ქულა აერთვათ.

შარშანდელ სეზონში „ლოკომოტივმა" შინაურ მატჩში ნულოვანი ფრე გაუხერხა „დინამოს", ეროვნულ სტადიონზე კი 0:4 დამარცხდა.

მეათე ჩემპიონატში რკინიგზელებმა საგრძნობლად გააძლიერეს შემადგენლობა გორელი ფეხბურთელების ხარჯზე და არა გვგონია, საქართველოს ჩემპიონმა შეძლოს, მეტოქეს ადვილად გაუსწორდეს.

ამ შეხვედრაში ორი გამოცდილი მწვრთნელის — თემურ მახარაძისა და მურთაზ ხურცილავას გამჭრიახობაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. მახარაძემ ქართულ ფეხბურთში კარგი ტაქტიკოსის სახელი დაიგდო და ამჯერადაც შეეცდება, სწორედ მართებულად არჩეული სათამაშო დისციპლინის წყალობით მიაღწიოს შთამბეჭდავ შედეგს. ხურცილავამ კი უნდა დაამტკიცოს, რომ მისი გუნდისთვის უხერხული მეტოქეები არ არსებობენ. თუმცა, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ამ მატჩში „დინამო" ჩვეულად ვერ გაისეირნებს.

უდიდესი მნიშვნელობა ექნება შეხვედრის მსაჯების მოქმედებას. შილაკაძის ობიექტურობას ძალუძს, რომ მართლაც ღირსეული თამაში ვიხილოთ „არმაზზე", რომელიც, ალბათ, ორივე გუნდის გულშემატკივრებით იქნება გადაჭედილი.

ვნახოთ, რომელი მოახერხებს, ჩემპიონატში პირველი მარცხი აწვნიოს მოწინააღმდეგეს. თუმცა არაა გამორიცხული, ფრეს მოწმენი გავხდეთ.

სამტრედია
24 ოქტომბერი
16 საათი
ეროსი მანჯგალაძე
15 000

**იბერია — მერანი**

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი);
ვ. ჩოჩიშვილი, ა. მეშკოვი;
ზ. ლაცაბიძე (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ჯ. ანთიძე

ამ მატჩზე წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია. ორივე გუნდს გააჩნია თავისი ავკარგი, რის გამოყენებასაც ფეხბურთელები მაქსიმალურად შეეცდებიან. თუ სამტრედიელების ძლიერი მხარე ნახევარდაცვა და თავდასხმაა, დაცვის სათანადო დონემდე ასამაღლებლად ბადრი ქორიძეს დიდი მუშაობა მოუწევს. „მერანის" მთავარი სატკივარი მეგოლის არყოფნაა. ამ პრობლემამ „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩშიც იჩინა თავი, როცა ნახევარაცვის ძალისხმევით საგოლე მომენტები უხვად შეიქმნა მეტოქის კართან, მაგრამ...

ასე რომ, დღეს საინტერესო ბრძოლას უნდა ველოდეთ, რომლის ბედიც შეიძლება ერთმა გოლმა გადაწყვიტოს. გამარჯვების მნიშვნელობაზე კი უკვე აღარაფერს ვამბობთ. სამტრედიელებს გულში ევროსაგზურის მოპოვება ამოუჭრიათ, ამიტომ მათთვის ყოველი ქულა ძვირფასია, ისევე, როგორც სტუმართათვის, რომელთაც დღევანდელი შემადგენლობით რეალურად შეუძლიათ ხუთეულში მოხვედრა და ამას არც მალავენ.

ზუგდიდი
24 ოქტომბერი
16 საათი
ცენტრალური
7 500

**ოდიში — თსუ**

მსაჯები: თ. მაჭარაძე (ხონი);
გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე;
მ. ჯულაყიძე (ყველა სამტრედია)
სფფ-ს დელეგატი: მ. იაშვილი

ამას წინათ უნივერსიტეტელთა თავკაცმა ოთარ გაბელიამ დაიჩივლა, ბედი არ გვწყალობს, „მერანთან" და „კოლხეთთან" მოგების ნაცვლად დავმარცხდით, დროა, „ოდიშთან" ნავსი გავტეხოთ და გავიმარჯვოთო. ვინ იცის, იქნებ მართლაც შეძლონ სტუდენტებმა ოდიშართა დამარცხება. მით უმეტეს, „ოდიში" წლევანდელ სეზონში საშინაო შეხვედრებში მაინცდამაინც დამაჯერებლად ვერ გამოიყურება. თანაც ზუგდიდელებს ძალების კონცენტრაციაც მართებთ, ოთხდღიან მონაკვეთში მათ ორი მატჩის ჩატარება მოუწევთ — ფედერაციამ ხომ მესამე ტურისგადადებული თამაში „ოდიშსა" და „ტორპედოს" შორის 28 ოქტომბერს დანიშნა. ისე, ამ გუნდების ურთიერთშეხვედრების თუ გადავავლებთ თვალს, უპირატესობა აშკარად ზუგდიდელთა მხარესაა, მათ გასულ სეზონში კი ორჯერ შეძლეს სტუდენტთა დამარცხება. ადვილი შესაძლებელია, ისეც მოხდეს, „ოდიშმა" გატეხოს ნავსი — იგი გასულ ცხრა შეხვედრაში ჯერაც არ დაზავებულა მეტოქესთან.

მცხეთა
25 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
3 000

**ვიტ ჯორჯია — გორდა**

მსაჯები: მ. მალალურაძე;
ს. შალამბერიძე, ა. ქარქაშაძე;
ე. სილაგავა (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: თ. ფანიაშვილი

შარშანდელი სეზონი მახსენდება — მაშინ რუსთაველები ან იგებდნენ, ანაც, უფრო ხშირად, აგებდნენ. პირველად გუნდმა მეორე წრეში „მერანთან" ჩატარებული საშინაო მატჩი დაასრულა ფრედ. წლეულს კი განვლილ ცხრა შეხვედრაში „გორდა" უკვე ხუთჯერ დაუზავდა მეტოქეს. თუმცა „კოლხეთთან" და „ბათუმთან" მეტალურგებს შინ ბედმა ზურგი აქციათ, თორემ უთუოდ დაამწუხრებდნენ სტუმრებს. მაგრამ მთავარი ხომ შედეგია, სატურნირო ცხრილში კი ნათლად ჩანს, რომ რუსთაველებს სულაც არ ულხინთ, გუნდი ბოლოდან მესამე ადგილზეა და დღემდე ყველაზე ნაკლები — ოდენ ერთი გამარჯვება აქვს მოპოვებული. რაც შეეხება მათ მეტოქეს, „ვიტ ჯორჯიამ" ზედიზედ წაგებული ოთხი შეხვედრით გამოწვეული კრიზისი კი დაძლია, მაგრამ წინა ტურში „მერანთან" მატჩი მომხდარი ინციდენტი მის წინსვლაზე სულაც არ ასხავს წყალს. ჭანკოტაძე უდავოდ დიდი ძალაა გუნდისთვის და ადვილი შესაძლებელია, მისი დისკვალიფიკაცია ძვირადაც დაუჯდეს.

ფოთი
24 ოქტომბერი
16 საათი
ფაზისი
10 000

**კოლხეთი — არსენალი**

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი);
ა. ორდენიძე (ონი), ლ. რაზმაძე (გორი);
ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)
სფფ-ს დელეგატი: კ. ყრუაშვილი

ფოთში გასამართ დღევანდელ მატჩში ფავორიტად მასპინძლები ითვლებიან. ფოთელებმა წარუმატებელი სტარტის შემდეგ საგრძნობლად მოუმატეს თამაშს და ცხრილშიც ნელ-ნელა წინ მიიწევენ. ასე თუ გააგრძელეს, მალე ჩვეულ ადგილსაც დაიბრუნებენ და იქნებ მადაც ჭამაში მოუვიდეთ. მათი მთავარი გოლეადორი ჰამლეტ წივწივაძე უეჭველად ეცდება გოლის გატანას, საამისო სტიმულიც გააჩნია — წინა ტურში თსუ-სთან დუბლის შესრულების შემდეგ ბომბარდირთა სიას ჩაუდგა სათავეში და სხვაობის გაზრდას შეეცდება.

იოლად „არსენალიც" რომ არ დათმობს შეხვედრას, ესეც ფაქტია. კორღალიძის შეგირდებმა წინა ტურში „გურიას" 5:1 გადაუარეს და „კოლხეთთან" ყველაფერს გააკეთებენ, ხასიათი რომ არ წაიხდინონ.

ლანჩხუთი
28 ოქტომბერი
16 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
22 000

**გურია — დილა**

მსაჯები: ს. კახიანი(თბილისი);
დ. თოდუა, ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი);
შ. ბერიძე (ასპინძა)
სფფ-ს დელეგატი: ნ. კაკულია

ამ შეხვედრას ორივე გუნდი განსხვავებულ ხასიათზე შეხვდება. მშიერ-მწყურვალი და კლუბიდან გასაქცევად გამზადებული გურულები წინა ტურში დედაქალაქურ „არსენალთან" შერცხვნენ და იგივეს, ალბათ, ვერც „დილასთან" გადაურჩებიან, რომელმაც მეათე ტურში აწ უკვე ყოფილი ლიდერი „ტორპედო" 3:0 დაამარცხა და მეორე ადგილზე აინაცვლა.

შარშანდელ შედეგებს თუ გადავხედავთ, სრული თანაფარდობაა, ორივე მატჩში მასპინძლებმა იმარჯვეს — გორში „დილამ" 2:1 დაამარცხა მეტოქე, ლანჩხუთში კი პირიქით, „გურიამ" 3:2 მოიგო. ამ ლოგიკით, ახლა გურულებმა უნდა აიღონ სამი ქულა, თუმცა ახალგაზრდა გორელების შემართებას თუ გავითვალისწინებთ, ეს ნაკლებად მოსალოდნელია.

ლანჩხუთელთა თხოვნის გათვალისწინებით ეს შეხვედრა 28 ოქტომბრისთვის გადაიტანეს

ქუთაისი
24 ოქტომბერი
16 საათი
გივი კილაძე
23 800

**ტორპედო — სამგურალი**

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი);
გ. ცირდავა (გულრიფში), კ. მესხი (ზუგდიდი);
ა. სამხარაძე (სოხუმი)
სფფ-ს დელეგატი: ნ. კობერიძე

წინა ტურში გორში განცდილი ფიასკოს შემდეგ ტორპედოელები დღევანდელ მატჩში გულშემატკივართა თვალში რეაბილიტაციას შეეცდებიან. მართალია, ბევრი ამ გუნდების თამაშის შედეგს წინასწარ დაგეგმილად მიიჩნევს, მაგრამ მათ დღევანდელ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, წესით და რიგით, უშელავათო ბრძოლის მოწმენი უნდა გავხდეთ. ქუთაისელები ადგილის დაბრუნებას მოინდომებენ. გაიმარჯვებს თუ არა „ტორპედო", ეს მნიშვნელოვანწილად მის ფეხბურთელთა გუნება-განწყობილებაზეა დამოკიდებული. ფეხბურთელთა განწყობა კი ახალ სპონსორზე ჰკიდია, რომლის გამოჩენასაც რა ხანია, ელიან ქუთათურები.

„სამგურალს" კი 12 სექტემბრის შემდეგ ქულაც არ მოუპოვებია და ამ ოთხმატჩიანი უიღბლო სერიის შეწყვეტას შეეცდება.

ბათუმი
25 ოქტომბერი
16 საათი
დინამო
18 000

**ბათუმი — სიონი**

მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი);
ა. შალამბერიძე, კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი);
ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)
სფფ-ს დელეგატი: ვ. მელაშვილი

ქვეყნის თასისა და სუპერთასის მფლობელს წლეულს ვერ იცნობთ. ბათუმელებმა თამაში აშკარად გააუარესეს. ზედიზედ ორი ფრეს შემდეგ, რომელიც არც თუ ძლიერ კლუბებთან გაახერხეს, ზღვისპირელები საკუთარ ქომაგთა გულის მოგებას შეეცდებიან. ბოლო ორი წლის განმავლობაში ორივე გუნდი საკუთარ მოედანზე აღწევდა გამარჯვებას. ამ სტატისტიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხვალინდელ მატჩში წარმატებას მასპინძლებმა უნდა მიაღწიონ, თუმცა დარწმუნებით ამის თქმა ძნელია. მიზეზი ბოლო დროს გაძლიერებული ბოლნისური კლუბია. წინა ტურამდე „სიონს" ექვს შეხვედრაში ვერ მოეგო, მე-10 ტურში კი ბოლნისელებმა „ოდიში" დაამარცხეს და ახლა ბათუმს გუნებაგამოკეთებულნი ეწვევიან. ისინი უეჭველად შეეცდებიან წინა კვირას დაწყებული წარმატებული სერიის გაგრძელებას, რაც უშელავათო ბრძოლას გვიპრდება.

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | # | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 დინამო (1) | 2 | 8 | 7 | 1 | 0 | 35:7 | +28 | 22 | 5 | 4 | 1 | 0 | 26:6 | +20 | 13 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:1 | +8 | 9 |
| 2 დილა (9) | 3 | 10 | 6 | 2 | 2 | 14:7 | +7 | 20 | 5 | 4 | 0 | 1 | 9:3 | +6 | 12 | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | +1 | 8 |
| 3 ტორპედო (4) | 1 | 9 | 6 | 2 | 1 | 23:10 | +13 | 20 | 4 | 3 | 1 | 0 | 15:4 | +11 | 10 | 5 | 3 | 1 | 1 | 8:6 | +2 | 10 |
| 4 ლოკომოტივი (6) | 4 | 10 | 5 | 5 | 0 | 15:5 | +10 | 20 | 4 | 2 | 2 | 0 | 5:1 | +4 | 8 | 6 | 3 | 3 | 0 | 10:4 | +6 | 12 |
| 5 კოლხეთი (3) | 6 | 9 | 5 | 2 | 2 | 20:11 | +9 | 17 | 5 | 4 | 1 | 0 | 14:2 | +12 | 13 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:9 | -3 | 4 |
| 6 იბერია (დ) | 5 | 10 | 5 | 0 | 5 | 22:25 | -3 | 15 | 4 | 3 | 0 | 1 | 12:6 | +6 | 9 | 6 | 2 | 0 | 4 | 10:19 | -9 | 6 |
| 7 ბათუმი (2) | 7 | 10 | 3 | 5 | 2 | 17:10 | +7 | 14 | 5 | 2 | 2 | 1 | 11:3 | +8 | 8 | 5 | 1 | 3 | 1 | 6:7 | -1 | 6 |
| 8 ოდიში (5) | 8 | 9 | 4 | 0 | 5 | 6:12 | -6 | 12 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:6 | -3 | 6 | 5 | 2 | 0 | 3 | 3:6 | -3 | 6 |
| 9 არსენალი (დ) | 11 | 10 | 3 | 3 | 4 | 11:17 | -6 | 12 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:8 | -1 | 5 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:9 | -5 | 7 |
| 10 ვიტ ჯორჯია (10) | 9 | 10 | 3 | 2 | 5 | 10:11 | -1 | 11 | 4 | 1 | 0 | 3 | 6:7 | -1 | 3 | 6 | 2 | 2 | 2 | 4:4 | 0 | 8 |
| 11 მერანი (7) | 10 | 10 | 2 | 5 | 3 | 7:11 | -4 | 11 | 6 | 1 | 4 | 1 | 2:2 | 0 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | -4 | 4 |
| 12 თსუ (8) | 12 | 10 | 2 | 2 | 6 | 10:16 | -6 | 8 | 6 | 1 | 1 | 4 | 8:12 | -4 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 4 |
| 13 სიონი (13) | 16 | 10 | 2 | 2 | 6 | 11:25 | -14 | 8 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | +1 | 8 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:17 | -15 | 0 |
| 14 გორდა (11) | 15 | 9 | 1 | 5 | 3 | 5:6 | -1 | 8 | 5 | 1 | 3 | 1 | 4:3 | +1 | 6 | 4 | 0 | 2 | 2 | 1:3 | -2 | 2 |
| 15 სამგურალი (12) | 14 | 10 | 2 | 1 | 7 | 8:23 | -15 | 7 | 5 | 2 | 0 | 3 | 4:6 | -2 | 6 | 5 | 0 | 1 | 4 | 4:17 | -13 | 1 |
| 16 გურია (14) | 13 | 10 | 2 | 1 | 7 | 9:27 | -18 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 6 | 6 | 0 | 1 | 5 | 4:21 | -17 | 1 |

(?) — ადგილი წინა ჩემპიონატში. # — ადგილი წინა ტურში

საქართველოს ჩემპიონატი 10 ტური

17 ოქტომბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| დილა | 3 |
| ტორპედო | 0 |
| სამგურალი | 1 |
| ლოკომოტივი | 2 |
| გორდა | 0 |
| ბათუმი | 0 |
| სიონი | 1 |
| ოდიში | 0 |
| თსუ | 2 |
| კოლხეთი | 4 |

19 ოქტომბერი, ორშაბათი

| | |
|---|---|
| დინამო | 7 |
| იბერია | 2 |
| არსენალი | 5 |
| გურია | 1 |
| მერანი | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |

XII ტური

31 ოქტომბერი. შაბათი
სამგურალი — გურია
დინამო — ტორპედო
გორდა — იბერია
სიონი — ვიტ ჯორჯია
კოლხეთი — ოდიში

1 ნოემბერი. კვირა
თსუ — ბათუმი

2 ნოემბერი. ორშაბათი
მერანი — ლოკომოტივი

3 ნოემბერი. სამშაბათი
არსენალი — დილა

# მშვიდობიანი გრანდები

Cup Winners' Cup

## თასების თასის მერვედფინალის პირველი მატჩები

ფეხბურთის თამაში მართლაც ყველამ ისწავლა. აბა, სხვანაირად როგორ უნდა გაიგო ის, რომ ევროპის სუპერთასის მფლობელი ლონდონის „ჩელსი" მაჩანჩალა „კოპენჰაგენს" მასპინძლობს და მხოლოდ მცველის მიერ 90-ე წუთზე გატანილით აღწევს ფრეს. დიახ, „ჩელსი", რომელიც უფრო მსოფლიოს ნაკრებს ჰგავს, ვიდრე პრემიერლიგურ კლუბს, მარსელ დესაიმ გადაარჩინა საქვეყნო სირცხვილს და დანიელებს მატჩის ბოლო წამებზე გაუტანა.

— ძნელი შეხვედრა რომ იქნებოდა, თავიდანვე ვიცოდით. ასეც მოხდა. დანიელები ძალიან, ძალიან კარგად იცავდნენ თავს, თუმცა, ვფიქრობ, ჩვენ მაინც გამარჯვების ღირსნი ვიყავით. განმეორებითი მატჩი კოპენჰაგენში გაცილებით რთული იქნება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, „ჩელსი" მეოთხედფინალში გავა — ლონდონელთა თავკაცი ჯანლუკა ვიალი ცოტა დაბნეული ჩანდა, მაგრამ ამავდროულად იმედიანად გამოიყურებოდა.

„სტემფორდ ბრიჯი" 82-ე წუთზე გაინაბა, როდესაც „კოპენჰაგენის" ნახევარმცველმა ბიარნე გოლდბაეკმა თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში უსაქმოდ მყოფი მასპინძელთა ჰოლანდიელი მეკარე ედ დე გუი უშანსოდ დატოვა. არადა, ლონდონური ფანობა გოლს მოპირდაპირე

მლაც თავიდანვე სჯეროდათ ადვილი გამარჯვებისა. მხოლოდ პაველ ნედვედი და უბერებელი რობერტო მანჩინი ბურთაობდნენ ჩვეული შემართებით, ეს უკანასკნელი ორჯერ ძალიან ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ ჯერ მეტოქის კართან მარტო დარჩენილს მეკარემ აჯობა, შემდეგ კი ულამაზესი დარტყმით გოლკიპერს ბურთი თავზე გადაუგდო — „პარტიზანი" ძელმა იხსნა.

თავის მხრივ, არც ახალგაზრდა სტუმრები იყვნენ გულხელდაკრეფილნი. ისინი ძირითადად დაცვაზე კი ფიქრობდნენ, მაგრამ უმწვავეს კონტრშეტევებზეც არ ამბობდნენ უარს და რომ არა „ლაციოს" მეკარე ლუკა მარკეჯანი, უეჭველად გაიხარებდნენ.

მატჩის შემდეგ მასპინძელთა შვედი დამრიგებელი სვენ გორან ერიქსონი ცოფებს ჰყრიდა — ვერ გამიგია, დღეს რა დაგვემართა, სათადარიგოთა სკამიდან ისე ჩანდა, თითქოს ფეხბურთელებს თამაში ეზარებოდათ. ამას არავის ვაპატიებ, გუნდთან ძალიან ცხარე გასაუბრება მომიწევს, ასეთი თამაშით შორს ნამდვილად ვერ წავალთ.

მეტად თვალსასეირო და მხიარული ბურთაობა გაიმართა მოსკოვში, სადაც „ლოკომოტივმა" ქართველთა ერთ-ერთი შემარცხვენელი „ბრაგა" მიიღო და იოლადაც დაამარცხა 3:1. ანგარიში წესით



REUTERS ლონდონიდან

ჩელსი — კოპენჰაგენი. დესაიმ დაცვაშიც იშრომა და გოლიც გაიტანა

კარში ელოდა. ჰქონდა კიდეც ამის მიზეზი — ძოლამ, უაიზმა, ლაუდრუპმა, ისევ ძოლამ, პოიეტმა ასპროცენტიანი შესაძლებლობები ქარს გაატანეს. ერთადერთი სახიფათო მომენტი „ჩელსის" კართან მე-18 წუთზე შეიქმნა — დევიდ ნილსენი ურტყამდა ახლოდან, მაგრამ დე გუიმ იყოჩაღა. ეს იყო და ეს. დესაის გოლამდე, რომელიც ლონდონურ კლუბში მისთვის პირველი გამოდგა, ნორვეგიელ ტორე ანდრე ფლოს შეეძლო ანგარიშის გაქვითვა — მანაც ვერ ივარგა. საბოლოოდ, როგორც უკვე ვთქვით, „ინგლისელების" შავკანიანმა მსოფლიოს ჩემპიონმა აღადგინა წონასწორობა და გადარეულ ფანებს ხასიათი ცოტათი გამოუკეთა.

ვერ მოიგო მეორე „მსოფლიოს ნაკრებმა" რომის „ლაციომ" — ოღონდ იტალიის დედაქალაქში ოდნავ სხვაგვარად იყო საქმე. ჯერ ერთი, დედაქალაქელები საკმაოდ ძლიერ, პერსპექტიულ გუნდ „პარტიზანს" ხვდებოდნენ და მეორე — მათ მარსელო სალასი, ალან ბოქშიჩი, კრისტიან ვიერი და ივან დელა პენია აკლდათ — მართლაც სოლიდური ძალა.

რომში გოლის გატანა ორივე გუნდს შეეძლო, ორ-ორჯერ მაინც, მაგრამ ხან მეკარეები ირჯებოდნენ სასწაულებრივ, ხან ფორვარდები სცოდავდნენ და ხანაც ბურთი ძელს ხვდებოდა. საერთოდ, მატჩი არცთუ კარგი სანახავი გამოდგა, იუგოსლავიელებსაც და რომაელებსაც თითქოს ჯიგარი აკლდათ. ეს უფრო იტალიელებს ეხებათ, რომლებსაც რატო-

უფრო დიდიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ პორტუგალიელთა კარში ბურთი არა და არ გადიოდა.

პირველად სტუმრებს ჩვენებურმა ზაზა ჯანაშიამ „უკბინა", მისი უძლიერესი დარტყმული კარის ზედა ძელმა აისხლიტა. ამას რკინიგზელთა შტურმი და 18 წლის დმიტრი ბულიკინის გალაღება მოჰყვა. მან ჯერ თავით გაიტანა, შემდეგ კი პაულო მორაისს საერთოდ სირცხვილი აჭამა და ბურთი ფეხებს შორის გაუტარა.

— იური სიომინი („ლოკომოტივის" თავკაცი) თავიდან ჩემს სასტარტო შემადგენლობაში დაყენებას არ აპირებდა, ასე მითხრა რუსეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ურალანთან" შენით უკმაყოფილო ვარო, მაგრამ მე არ მოვეშვი და ძალიან ვთხოვე, ძირითადში დავეყენებინე, თანაც შევპირდი, რომ „ბრაგასთან" ბოლომდე დავიხარჯებოდი. როგორც ნახეთ, დანაპირები გადაჭარბებით შევასრულე — მშვენიერ ხასიათზე იმყოფებოდა გამარჯვების შემდეგ ბულიკინი, ვინც თასთა თასის მეთექვსმეტედფინალის განმეორებით მატჩში კიევის ცსკა-საც ორი გოლი გაუტანა.

მეორე ტაიმში გუნდებმა თითოჯერ გაიტანეს. თავიდან ოდაირმა შეამცირა ანგარიშში სხვაობა, ხოლო შემდეგ ბოროდიუკის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი იგორ ჩუგაინოვმა ზუსტად შეასრულა და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა.

**დავით ძოვზირიძე**

### თასების თასი. მერვედფინალი
პირველი მატჩები. 22 ოქტომბერი

Cup Winners' Cup

ლაციო (იტალია) — პარტიზანი (იუგოსლავია) 0:0
ვალერენგა (ნორვეგია) — ბეშიქთაში (თურქეთი) 1:0
ჰერენვენი (ჰოლანდია) — ვარტექსი (ხორვატია) 2:1
გენკი (ბელგია) — მალიორკა (ესპანეთი) 1:1
პანიონიოსი (საბერძნეთი) — აპოლონი (კვიპროსი) 3:2
რიდი (ავსტრია) — მაკაბი (ისრაელი) 2:1
ჩელსი (ინგლისი) — კოპენჰაგენი (დანია) 1:1
ლოკომოტივი (რუსეთი) — ბრაგა (პორტუგალია) 3:1

**საფეხბურთო** უიქენდის მშვენება იქნება. იქნებ თამაში უინტერესო გამოდგეს, მაგრამ ეს ნაკლებშესაძლებელია. ისეთი გუნდები უპირისპირდებიან ერთმანეთს, უდიდესი სანახაობა შედგება. დაძაბულობის არსებობაზე საუბარი უკვე უაზროც ჩანს.

განა გამართლებული იქნება, ახლა შანსებზე ვისაუბროთ? ალბათ, არა. ორი დიადი კლუბის დაპირისპირებისას, ბუნებრივია, შინ თამაშის ფაქტორი გარკვეულწილად მნიშვნელობას კარგავს, სულ თუ არა, ოდნავ მაინც. შეხვედრას „სტადიო დელე ალპი" მასპინძლობს — თანამედროვეობის მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის მშობლიური სარბიელი, რომელიც რაც აიგო, ერთხელაც არ გავსებულა პირთამდე.

„ინტერს" არ აშინებს სტუმრად თამაში, რადგან სჯერა საკუთარი თავის და სწამს, რომ გოლს გაიტანს. ეგებ მილანელთა ერთი გოლი შეხვედრის მოსაგებად არ აღმოჩნდეს საკმარისი, მაგრამ აქ სულ სხვა გოლზეა საუბარი.

...1993 წლის ჩემპიონატი. „ინტერი" „იუვენტუსს" ესტუმრა და ტურინში 2:0 დაამარცხა. მასპინძლები იგორ შალიმოვმა და რუბენ სოსამ დაამწუხრეს.

**იუვენტუსი**

დაარსდა 1897 წელს
იტალიის ჩემპიონი: 1905, 1926, 1931, 1932, 1933, 1934, 1935, 1950, 1952, 1958, 1960, 1961, 1967, 1972, 1973, 1975, 1977, 1978, 1981, 1982, 1984, 1986, 1995, 1997, 1998
იტალიის თასი: 1938, 1942, 1959, 1965, 1979, 1983, 1990, 1995
იტალიის სუპერთასი: 1995, 1997
ჩემპიონთა თასი: 1985, 1996
თასების თასი: 1984
უეფას თასი: 1977, 1990, 1993
ევროპის სუპერთასი: 1985, 1996
საკონტინენტთაშორისო თასი: 1985, 1996
ყველაზე მეტი მატჩი: ჯამპიერო ბონიპერტი — 444
ყველაზე მეტი გოლი: ჯამპიერო ბონიპერტი — 178
შარშანდელი მიღწევა: ჩემპიონი
ბოლო მატჩი: 1:1 სტუმრად „ვიჩენცასთან"
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
სტადიონი: დელე ალპი (69 000)

**[illegible]**

დაარსდა 1908 წელს როგორც „ამბროზიანე". 30-იანი წლების დასაწყისიდან „ინტერად" იწოდება.
იტალიის ჩემპიონი: 1910, 1920, 1930, 1938, 1940, 1953, 1954, 1963, 1965, 1966, 1971, 1980, 1989
იტალიის თასი: 1939, 1978, 1982
ჩემპიონთა თასი: 1964, 1965
უეფას თასი: 1991, 1994, 1998
საკონტინენტთაშორისო თასი: 1964, 1965
ყველაზე მეტი მატჩი: ჯუზეპე ბერგომი — 500
ყველაზე მეტი გოლი: ჯუზეპე მეაცა — 197
შარშანდელი მიღწევა: ვიცეჩემპიონი
ბოლო მატჩი: 3:5 — შინ „ლაციოსთან"
მწვრთნელი: ჯიჯი სიმონი
სტადიონი: სან სირო (85 000)

# JUVENTUS vs INTER

# ტურინში, დელე ალპიზე

მას შემდეგ აგერ უკვე ხუთი წელი მიილია. მილანელებმა კი არათუ მოგება, ერთი ბურთიც ვერ გაუტანეს „იუვენტუსს". ბოლო შეხვედრაც, 26 აპრილს რომ შედგა და მნიშვნელოვანწილად წყვეტდა კიდეც გასრულებული პირველობის ბედს, მილანელთათვის უგოლოდ დასრულდა — მასპინძელთა ლიდერის დელ პიეროს გოლს „ინტერმა" ვერაფრით უპასუხა. 520 წუთი — არც მეტი, არც ნაკლები. ეს დრო შესაძლოა, კიდევ გაგრძელდეს ან გაჩერდეს — ყველაფერი იუვენტუსელთა დაცვის კარგ და მილანელთა თავდასხმის სიყოჩაღეზეა დამოკიდებული.

— ჯერ კიდევ მიჭირს თამაში, მაგრამ არა იმდენად, „იუვენტუსს" ვერ შევებრძოლო. ტურინელებთან დაპირისპირება ჩემი დიდი ხნის ოცნებაა. გასულ სეზონში სწორედ იქ დავკარგეთ ჩემპიონობა, ახლა კი ვეცდებით, გავიმარჯვოთ. სხვათა შორის, გავიგე, რომ ტურინში „ინტერს" რამდენიმე წელია, ბურთი არ გაუტანია. მე ყველაფერს ვილონებ, ნავსი გავტეხო. გული მიგრძნობს, ძალიან, ძალიან კარგი თამაში იქნება — ასეთი მნიშვნელოვანი განცხადების გაკეთების უფლება მისცა თავს „ინტერის" ბრაზილიელმა ლეგიონერმა ლუის ნაზარიო დე ლიმამ, იგივე რონალდომ.

— გაზაფხულზე, როცა „ინტერს" მოვუგეთ და გოლი შევაგდე, დავითარსე კიდეც. მას მერე ბურთი ვერ გამქონდა, ახლა კი ვგრძნობ, ჯადოსგან გავთავისუფლდი. იცით, პირადად მე ძლიერ მეტოქესთან დაპირისპირება ძალიან მსიამოვნებს, ამასთანავე განწყობაც სხვანაირი მაქვს. „ინტერთან" მატჩი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ვეცდები დავამტკიცო, რომ ჩამოსაწერი არ ვარ — ალესანდრო დელ პიერო, რომელმაც ამ ბოლო დროს დაიწყო გოლების გატანა, საბრძოლველად ემზადება.

ფეხბურთი პირობითია, ისე კი, ბრძოლა იქნება. ბრძოლა, ბრძოლა, ბრძოლა... მთელი იტალიის ჩემპიონატი ბრძოლაში გადის. ყოველი ტური დაძაბულია, ყოველ მატჩში უნდა იომო, არ არსებობს იოლი შეხვედრა, კონკრეტულ თამაშზე მუდამ ბოლომდე უნდ იყო კონცენტრირებული. წინააღმდეგ შემთხვევაში არაფერი გამოგივა. ასე იყო მუდამ, ასეა ახლაც. და ასე რომ არ ყოფილიყო, იტალიის ჩემპიონატი ვერ იქნებოდა მსოფლიოს უძლიერესი პირველობა, აპენინური კლუბები ვერ იქნებოდნენ მუდამ ფავორიტები.

ბრძოლა „იუვენტუს" — „ინტერის" დაპირისპირების მუდმივი თანმდევია. მათი შეხვედრები მუდამ დაძაბულობით გამოირჩეოდა, საუკუნის შუა წლებში კი ანერვიულებულ ტიფოზებს ერთი-ორჯერ დროებით ჩაუშლიათ შეხვედრები. ამ გუნდების მატჩებში იოლი გასეირნება არასდროს ყოფილა, თუმცა ისევე, როგორც ყველაფერში, ერთი გამონაკლისი აქაც არის — 1961 წელი.

ჩემპიონობაგანაღდებული „იუვენტუსი" პირველობის ბოლო ტურში სწორედ „ინტერს" მასპინძლობდა. ზემოთ ვთქვით, ამ კლუბების შეხვედრებს მუდამ ბრძოლა გამოარჩევდათო, მაგრამ იმ დღეს სტუმრებს რაღაც ჭირი ეტაკათ — 1:9 წააგეს(!). ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერებელია — „იუვენტუსმა" „ინტერს რვა ბურთის სხვაობით მოუგო! ამ მატჩში ტურინელთა ბრწყინვალე თავდამსხმელმა ომარ სივორიმ ექვსი(!) გოლი გაიტანა. სხვათა შორის, „იუვენტუს" — „ინტერის" ორთაბრძოლების უცილობელი ბომბარდირი სწორედ სივორია. მთლიანობაში წარმოშობით არგენტინელ მეგოლეს 12 ბურთი აქვს გატანილი.

— ახლა უფრო დაძაბული შეხვედრებია ხოლმე. ფეხბურთი განვითარდა, თუმცა სანახაობა და ბრწყინვალე მატჩები არც მაშინ იყო ცოტა. ჩემსდროინდელ ფეხბურთსა და ახლანდელს შორის სხვაობა იმაშია, რომ დღეს მოთამაშის ამპლუა პირობითია. უნივერსალობა აუცილებლობად იქცა. თუ „იუვენტუსის", ანაც „ინტერის" დონის კლუბებში გინდა თამაში, ყველგან ბრძოლა უნდა შეგეძლოს — ენრიკე ომარ სივორი მოხუცდა, თუმცა საყვარელი კლუბის თამაშებს იშვიათად აკლდება. სხვათა შორის, მან მომავალი მატჩის შედეგის გამოცნობაც სცადა — 3:0 „იუვენტუსის" სასარგებლოდ. ეტყობა, ქომაგობამ ობიექტურობა დაჩაგრა.

„გრანდთა ჭიდილი" წერს „კორიერო დელა სერა". სათაურს იმხელა წერილი მოჰყვება, კაცს გული გაუსკდება, მაგრამ ეს ისეთი გუნდების დაპირისპირებაა, სათქმელ-გასახსენებელი და ისტორიაში მოსაძებნი რომ არ დაგელევა ადამიანს. შეიძლება გაიხსენო — ერთი, ხუთი, ათი, ოცი წლის წინანდელი მატჩები და მუდამ კმაყოფილების გრძნობა გეუფლება. მეხსიერებაში წამოტივტივდება რაღაც ტკბილად მოსაგონარი, სასაცილო, ღირსსახსოვარი, შესანიშნავი. დაპირისპირებებს არასდროს ეკარგება ნათელი ფერები — ისინი ისეთივე ლამაზი და საამოდ გასახსენებელნი არიან, როგორც თავის დროზე იყვნენ.

როცა „იუვენტუსი" და „ინტერი" ხვდება ერთმანეთს, ციფრებსა და სტატისტიკურ მონაცემებს აუცილებლად უნდა შეეხო. გადაჭარბებული არაფერი ვარგა და ამ შემთხვევაშიც გადამლაშება არ ივარგებს, მაგრამ მცირედი სტატისტიკა, ვფიქრობთ, კარგი იქნება.

მეტოქეთა პირველი პაექრობა სერია A-ში 1930 წლის 19 მარტს გაიმართა (მანამდე იტალიის პირველობები ტარდებოდა, თუმცა ათასგვარი ფორმულის მიხედვით). ის თამაში სტუმრებმა, ინტერელებმა, 2:1 მოიგეს. ისე, ყველაზე დიდი ანგარიშით, რაც კი „ინტერს" „იუვენტუსი" მისსავე მოედანზე შეურცხვენია, 4:2-ია. შავ-ლურჯებმა შავ-თეთრები ამგვარად 1961 წლის 22 ნოემბერს დაამარცხეს. საერთო ჯამში „იუვენტუსს" „ინტერისთვის" 66-ჯერ უმასპინძლია, აქედან 47-ჯერ „ბებერ ქალბატონს" მოუგია, რვაჯერ კი „ინტერს". დანარჩენი თერთმეტი მატჩი რა შედეგით დასრულდებოდა, ალბათ, ადვილი მისახვედრია. რაც შეეხება ბურთებს, 124:53-ია მასპინძელთა სასარგებლოდ.

სხვათა შორის, რაც იტალიის პირველობებს ოფიციალური სახე მიეცათ, ანუ 1929-30 წლების სეზონიდან მოყოლებული, „იუვენტუსი" და „ინტერი" არასდროს დაქვეითებულან.

ცოტა დრო დარჩა.

— ძალიან მსურს, ვითამაშო და განსაკუთრებით იმიტომ, რომ რეკორდს დავამყარებ. არა, უბრალოდ, ოთხ ათეულ წელს მიახლოებულმა მინდა ტურინელებს დავუმტკიცო, რომ კვლავ ჩინებულ ფორმაში ვარ — თქვა ჯუზეპე ბერგომიმ.

რომელ რეკორდზე საუბრობდა იგი? რა და, თუ მან „იუვენტუსის" წინააღმდეგ იასპარეზა, სერია A-ში 501 თამაშს ჩაატარებს, ეს კი ახალი რეკორდი იქნება. მანამდე მიღწევა ბერგომის თანაქალაქელ, მაგრამ „მილანის" უძლიერეს ფეხბურთელ ჯანი რივერას ეკუთვნოდა, რომელსაც სერია A-ში 500-ჯერ უთამაშია.

**ლაშა გოდუაძე**



ბრძოლა, ბრძოლა და კიდევ ბრძოლა — „იუვენტუსის" და „ინტერის" შეხვედრების მუდმივი თანამდევი

# მშვიდობიანი გრანდები

UEFA Cup Winners' Cup

## თასების თასის მერვედფინალის პირველი მატჩები

ფეხბურთის თამაში მართლაც ყველამ ისწავლა. აბა, სხვანაირად როგორ უნდა გაიგო ის, რომ ევროპის სუპერთასის მფლობელი ლონდონის „ჩელსი" მაჩანჩალა „კოპენჰაგენს" მასპინძლობს და მხოლოდ მცველის მიერ 90-ე წუთზე გატანილით აღწევს ფრეს. დიახ, „ჩელსი", რომელიც უფრო მსოფლიოს ნაკრებს ჰგავს, ვიდრე პრემიერლიგურ კლუბს, მარსელ დესაიმ გადაარჩინა საქვეყნო სირცხვილს და დანიელებს მატჩის ბოლო წამებზე გაუტანა.

— ძნელი შეხვედრა რომ იქნებოდა, თავიდანვე ვიცოდით. ასეც მოხდა. დანიელები ძალიან, ძალიან კარგად იცავდნენ თავს, თუმცა, ვფიქრობ, ჩვენ მაინც გამარჯვების ღირსნი ვიყავით. განმეორებითი მატჩი კოპენჰაგენში გაცილებით რთული იქნება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, „ჩელსი" მეოთხედფინალში გავა — ლონდონელთა თავკაცი ჯანლუკა ვიალი ცოტა დაბნეული ჩანდა, მაგრამ ამავდროულად იმედიანად გამოიყურებოდა.

„სტემფორდ ბრიჯი" 82-ე წუთზე გაინაბა, როდესაც „კოპენჰაგენის" ნახევარმცველმა ბიარნე გოლდბაეკმა თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში უსაქმოდ მყოფი მასპინძელთა ჰოლანდიელი მეკარე ედ დე გუი უშანსოდ დატოვა. არადა, ლონდონური ფანობა გოლს მოპირდაპირე მლაც თავიდანვე სჯეროდათ ადვილი გამარჯვებისა. მხოლოდ პაველ ნედვედი და უბერებელი რობერტო მანჩინი ბურთაობდნენ ჩვეული შემართებით, ეს უკანასკნელი ორჯერ ძალიან ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ ჯერ მეტოქის კართან მარტო დარჩენილს მეკარემ აჯობა, შემდეგ კი ულამაზესი დარტყმით გოლკიპერს ბურთი თავზე გადაუგდო — „პარტიზანი" ძელმა იხსნა.

თავის მხრივ, არც ახალგაზრდა სტუმრები იყვნენ გულხელდაკრეფილნი. ისინი ძირითადად დაცვაზე კი ფიქრობდნენ, მაგრამ უმწვავეს კონტრშეტევებზეც არ ამბობდნენ უარს და რომ არა „ლაციოს" მეკარე ლუკა მარკეჯანი, უეჭველად გაიხარებდნენ.

მატჩის შემდეგ მასპინძელთა შვედი დამრიგებელი სვენ გორან ერიქსონი ცოფებს ჰყრიდა — ვერ გამიგია, დღეს რა დაგვემართა, სათადარიგოთა სკამიდან ისე ჩანდა, თითქოს ფეხბურთელებს თამაში ეზარებოდათ. ამას არავის ვაპატიებ, გუნდთან ძალიან ცხარე გასაუბრება მომიწევს, ასეთი თამაშით შორს ნამდვილად ვერ წავალთ.

მეტად თვალსასეირო და მხიარული ბურთაობა გაიმართა მოსკოვში, სადაც „ლოკომოტივმა" ქართველთა ერთ-ერთი შემარცხვენელი „ბრაგა" მიიღო და იოლადაც დაამარცხა 3:1. ანგარიში წესით



REUTERS ლონდონიდან

ჩელსი — კოპენჰაგენი. დესაიმ დაცვაშიც იშრომა და გოლიც გაიტანა

კარში ელოდა. ჰქონდა კიდეც ამის მიზეზი — ძოლამ, უაიზმა, ლაუდრუპმა, ისევ ძოლამ, პოიეტმა ასპროცენტიანი შესაძლებლობები ქარს გაატანეს. ერთადერთი სახიფათო მომენტი „ჩელსის" კართან მე-18 წუთზე შეიქმნა — დევიდ ნილსენი ურტყამდა ახლოდან, მაგრამ დე გუიმ იყოჩაღა. ეს იყო და ეს. დესაის გოლამდე, რომელიც ლონდონურ კლუბში მისთვის პირველი გამოდგა, ნორვეგიელ ტორე ანდრე ფლოს შეეძლო ანგარიშის გაქვითვა — მანაც ვერ ივარგა. საბოლოოდ, როგორც უკვე ვთქვით, „ინგლისელების" შავკანიანმა მსოფლიოს ჩემპიონმა აღადგინა წონასწორობა და გადარეულ ფანებს ხასიათი ცოტათი გამოუკეთა.

ვერ მოიგო მეორე „მსოფლიოს ნაკრებმა" რომის „ლაციომ" — ოღონდ იტალიის დედაქალაქში ოდნავ სხვაგვარად იყო საქმე. ჯერ ერთი, დედაქალაქელები საკმაოდ ძლიერ, პერსპექტიულ გუნდ „პარტიზანს" ხვდებოდნენ და მეორე — მათ მარსელო სალასი, ალან ბოქშიჩი, კრისტიან ვიერი და ივან დელა პენია აკლდათ — მართლაც სოლიდური ძალა.

რომში გოლის გატანა ორივე გუნდს შეეძლო, ორ-ორჯერ მაინც, მაგრამ ხან მეკარეები ირჯებოდნენ სასწაულებრივ, ხან ფორვარდები სცოდავდნენ და ხანაც ბურთი ძელს ხვდებოდა. საერთოდ, მატჩი არცთუ კარგი სანახავი გამოდგა, იუგოსლავიელებსაც და რომაელებსაც თითქოს ჯიგარი აკლდათ. ეს უფრო იტალიელებს ეხებათ, რომლებსაც რატოუფრო დიდიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ პორტუგალიელთა კარში ბურთი არა და არ გადიოდა.

პირველად სტუმრებს ჩვენებურმა ზაზა ჯანაშიამ „უკბინა", მისი უძლიერესი დარტყმული კარის ზედა ძელმა აისხლიტა. ამას რკინიგზელთა შტურმი და 18 წლის დმიტრი ბულიკინის გალაღება მოჰყვა. მან ჯერ თავით გაიტანა, შემდეგ კი პაულო მორაისს საერთოდ სირცხვილი აჭამა და ბურთი ფეხებს შორის გაუტარა.

— იური სიომინი („ლოკომოტივის" თავკაცი) თავიდან ჩემს სასტარტო შემადგენლობაში დაყენებას არ აპირებდა, ასე მითხრა რუსეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ურალანთან" შენით უკმაყოფილო ვარო, მაგრამ მე არ მოვეშვი და ძალიან ვთხოვე, ძირითადში დავეყენებინე, თანაც შევპირდი, რომ „ბრაგასთან" ბოლომდე დავიხარჯებოდი. როგორც ნახეთ, დანაპირები გადაჭარბებით შევასრულე — მშვენიერ ხასიათზე იმყოფებოდა გამარჯვების შემდეგ ბულიკინი, ვინც თასთა თასის მეთექვსმეტედფინალის განმეორებით მატჩში კიევის ცსკა-საც ორი გოლი გაუტანა.

მეორე ტაიმში გუნდებმა თითოჯერ გაიტანეს. თავიდან ოდაირმა შეამცირა ანგარიშში სხვაობა, ხოლო შემდეგ ბოროდიუკის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი იგორ ჩუგაინოვმა ზუსტად შეასრულა და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა.

**დავით ძოწენიძე**

### თასების თასი. მერვედფინალი

პირველი მატჩები. 22 ოქტომბერი

Cup Winners' Cup

ლაციო (იტალია) — პარტიზანი (იუგოსლავია) 0:0
ვალერენგა (ნორვეგია) — ბეშიქთაში (თურქეთი) 1:0
ჰერენვენი (ჰოლანდია) — ვარტექსი (ხორვატია) 2:1
გენკი (ბელგია) — მალიორკა (ესპანეთი) 1:1
პანიონიოსი (საბერძნეთი) — აპოლონი (კვიპროსი) 3:2
რიდი (ავსტრია) — მაკაბი (ისრაელი) 2:1
ჩელსი (ინგლისი) — კოპენჰაგენი (დანია) 1:1
ლოკომოტივი (რუსეთი) — ბრაგა (პორტუგალია) 3:1

**იუვენტუსი**

დაარსდა 1897 წელს
იტალიის ჩემპიონი: 1905, 1926, 1931, 1932, 1933, 1934, 1935, 1950, 1952, 1958, 1960, 1961, 1967, 1972, 1973, 1975, 1977, 1978, 1981, 1982, 1984, 1986, 1995, 1997, 1998
იტალიის თასი: 1938, 1942, 1959, 1965, 1979, 1983, 1990, 1995
იტალიის სუპერთასი: 1995, 1997
ჩემპიონთა თასი: 1985, 1996
თასების თასი: 1984
უეფას თასი: 1977, 1990, 1993
ევროპის სუპერთასი: 1985, 1996
საკონტინენტთაშორისო თასი: 1985, 1996
ყველაზე მეტი მატჩი: ჯამპიერო ბონიპერტი — 444
ყველაზე მეტი გოლი: ჯამპიერო ბონიპერტი — 178
შარშანდელი მიღწევა: ჩემპიონი
ბოლო მატჩი: 1:1 სტუმრად „ვიჩენცასთან"
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
სტადიონი: დელე ალპი (69 000)

**ინტერი**

დაარსდა 1908 წელს როგორც „ამბროზიანე". 30-იანი წლების დასაწყისიდან „ინტერად" იწოდება.
იტალიის ჩემპიონი: 1910, 1920, 1930, 1938, 1940, 1953, 1954, 1963, 1965, 1966, 1971, 1980, 1989
იტალიის თასი: 1939, 1978, 1982
ჩემპიონთა თასი: 1964, 1965
უეფას თასი: 1991, 1994, 1998
საკონტინენტთაშორისო თასი: 1964, 1965
ყველაზე მეტი მატჩი: ჯუზეპე ბერგომი — 500
ყველაზე მეტი გოლი: ჯუზეპე მეაცა — 197
შარშანდელი მიღწევა: ვიცეჩემპიონი
ბოლო მატჩი: 3:5 — შინ „ლაციოსთან"
მწვრთნელი: ჯიჯი სიმონი
სტადიონი: სან სირო (85 000)

# JUVENTUS vs INTER

# ტურინში, დელე ალპიზე

საფეხბურთო უიქენდის მშვენება იქნება. იქნებ თამაში უინტერესო გამოდგეს, მაგრამ ეს ნაკლებშესაძლებელია. ისეთი გუნდები უპირისპირდებიან ერთმანეთს, უდიდესი სანახაობა შედგება. დაძაბულობის არსებობაზე საუბარი უკვე უაზროც ჩანს.

განა გამართლებული იქნება, ახლა შანსებზე ვისაუბროთ? ალბათ, არა. ორი დიადი კლუბის დაპირისპირებისას, ბუნებრივია, შინ თამაშის ფაქტორი გარკვეულწილად მნიშვნელობას კარგავს, სულ თუ არა, ოდნავ მაინც. შეხვედრას „სტადიო დელე ალპი" მასპინძლობს — თანამედროვეობის მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის მშობლიური სარბიელი, რომელიც რაც აიგო, ერთხელაც არ გავსებულა პირთამდე.

„ინტერს" არ აშინებს სტუმრად თამაში, რადგან სჯერა საკუთარი თავის და სწამს, რომ გოლს გაიტანს. ეგებ მილანელთა ერთი გოლი შეხვედრის მოსაგებად არ აღმოჩნდეს საკმარისი, მაგრამ აქ სულ სხვა გოლზეა საუბარი.

...1993 წლის ჩემპიონატი. „ინტერი" „იუვენტუსს" ესტუმრა და ტურინში 2:0 დაამარცხა. მასპინძლები იგორ შალიმოვმა და რუბენ სოსამ დაამწუხრეს. მას შემდეგ აგერ უკვე ხუთი წელი მიილია. მილანელებმა კი არათუ მოგება, ერთი ბურთიც ვერ გაუტანეს „იუვენტუსს". ბოლო შეხვედრაც, 26 აპრილს რომ შედგა და მნიშვნელოვანწილად წყვეტდა კიდეც გასრულებული პირველობის ბედს, მილანელთათვის უგოლოდ დასრულდა — მასპინძელთა ლიდერის დელ პიეროს გოლს „ინტერმა" ვერაფრით უპასუხა. 520 წუთი — არც მეტი, არც ნაკლები. ეს დრო შესაძლოა, კიდევ გაგრძელდეს ან გაჩერდეს — ყველაფერი იუნვეტუსელთა დაცვის კარგ და მილანელთა თავდასხმის სიყოჩაღეზეა დამოკიდებული.

— ჯერ კიდევ მიჭირს თამაში, მაგრამ არა იმდენად, „იუვენტუსს" ვერ შევებრძოლო. ტურინელებთან დაპირისპირება ჩემი დიდი ხნის ოცნებაა. გასულ სეზონში სწორედ იქ დავკარგეთ ჩემპიონობა, ახლა კი ვეცდებით, გავიმარჯვოთ. სხვათა შორის, გავიგე, რომ ტურინში „ინტერს" რამდენიმე წელია, ბურთი არ გაუტანია. მე ყველაფერს ვილონებ, ნავსი გავტეხო. გული მიგრძნობს, ძალიან, ძალიან კარგი თამაში იქნება — ასეთი მნიშვნელოვანი განცხადების გაკეთების უფლება მისცა თავს „ინტერის" ბრაზილიელმა ლეგიონერმა ლუის ნაზარიო დე ლიმამ, იგივე რონალდომ.

— გაზაფხულზე, როცა „ინტერს" მოვუგეთ და გოლი შევაგდე, დავითარსე კიდეც. მას მერე ბურთი ვერ გამქონდა, ახლა კი ვგრძნობ, ჯადოსგან გავთავისუფლდი. იცით, პირადად მე ძლიერ მეტოქესთან დაპირისპირება ძალიან მსიამოვნებს, ამასთანავე განწყობაც სხვანაირი მაქვს. „ინტერთან" მატჩი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ვეცდები დავამტკიცო, რომ ჩამოსაწერი არ ვარ — ალესანდრო დელ პიერო, რომელმაც ამ ბოლო დროს დაიწყო გოლების გატანა, საბრძოლველად ემზადება.

ფეხბურთი პირობითია, ისე კი, ბრძოლა იქნება. ბრძოლა, ბრძოლა, ბრძოლა... მთელი იტალიის ჩემპიონატი ბრძოლაში გადის. ყოველი ტური დაძაბულია, ყოველ მატჩში უნდა იომო, არ არსებობს იოლი შეხვედრა, კონკრეტულ თამაშზე მუდამ ბოლომდე უნდ იყო კონცენტრირებული. წინააღმდეგ შემთხვევაში არაფერი გამოგივა. ასე იყო მუდამ, ასეა ახლაც. და ასე რომ არ ყოფილიყო, იტალიის ჩემპიონატი ვერ იქნებოდა მსოფლიოს უძლიერესი პირველობა, აპენინური კლუბები ვერ იქნებოდნენ მუდამ ფავორიტები.

ბრძოლა „იუვენტუს" — „ინტერის" დაპირისპირების მუდმივი თანმდევია. მათი შეხვედრები მუდამ დაძაბულობით გამოირჩოდა, საუკუნის შუა წლებში კი ანერვიულებულ ტიფოზებს ერთი-ორჯერ დროებით ჩაუშლიათ შეხვედრები. ამ გუნდების მატჩებში იოლი გასეირნება არასდროს ყოფილა, თუმცა ისევე, როგორც ყველაფერში, ერთი გამონაკლისი აქაც არის — 1961 წელი.

ჩემპიონობაგანალდებული „იუვენტუსი" პირველობის ბოლო ტურში სწორედ „ინტერს" მასპინძლობდა. ზემოთ ვთქვით, ამ კლუბების შეხვედრებს მუდამ ბრძოლა გამოარჩევდათო, მაგრამ იმ დღეს სტუმრებს რალაც ჭირი ეტაკათ — 1:9 წააგეს(!). ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერებელია — „იუვენტუსმა" „ინტერს რვა ბურთის სხვაობით მოუგო! ამ მატჩში ტურინელთა ბრწყინვალე თავდამსხმელმა ომარ სივორიმ ექვსი(!) გოლი გაიტანა. სხვათა შორის, „იუვენტუს" — „ინტერის" ორთაბრძოლების უცილობელი ბომბარდირი სწორედ სივორია. მთლიანობაში წარმოშობით არგენტინელ მეგოლეს 12 ბურთი აქვს გატანილი.

— ახლა უფრო დაძაბული შეხვედრებია ხოლმე. ფეხბურთი განვითარდა, თუმცა სანახაობა და ბრწყინვალე მატჩები არც მაშინ იყო ცოტა. ჩემსდროინდელ ფეხბურთსა და ახლანდელს შორის სხვაობა იმაშია, რომ დღეს მოთამაშის ამპლუა პირობითია. უნივერსალობა აუცილებლობად იქცა. თუ „იუვენტუსის", ანაც „ინტერის" დონის კლუბებში გინდა თამაში, ყველგან ბრძოლა უნდა შეგეძლოს — ენრიკე ომარ სივორი მოხუცდა, თუმცა საყვარელი კლუბის თამაშებს იშვიათად აკლდება. სხვათა შორის, მან მომავალი მატჩის შედეგის გამოცნობაც სცადა — 3:0 „იუვენტუსის" სასარგებლოდ. ეტყობა, ქომაგობამ ობიექტურობა დაჩაგრა.

„გრანდთა ჭიდილი" წერს „კორიერო დელა სერა". სათაურს იმხელა წერილი მოჰყვება, კაცს გული გაუსკდება, მაგრამ ეს ისეთი გუნდების დაპირისპირებაა, სათქმელ-გასახსენებელი და ისტორიაში მოსაძებნი რომ არ დაგელევა ადამიანს. შეიძლება გაიხსენო — ერთი, ხუთი, ათი, ოცი წლის წინანდელი მატჩები და მუდამ კმაყოფილების გრძნობა გეუფლება. მეხსიერებაში წამოტივტივდება რაღაც ტკბილად მოსაგონარი, სასაცილო, ღირსსახსოვარი, შესანიშნავი. დაპირისპირებებს არასდროს ეკარგება ნათელი ფერები — ისინი ისეთივე ლამაზი და საამოდ გასახსენებელნი არიან, როგორც თავის დროზე იყვნენ.

როცა „იუვენტუსი" და „ინტერი" ხვდება ერთმანეთს, ციფრებსა და სტატისტიკურ მონაცემებს აუცილებლად უნდა შეეხო. გადაჭარბებული არაფერი ვარგა და ამ შემთხვევაშიც გადამლაშება არ ივარგებს, მაგრამ მცირედი სტატისტიკა, ვფიქრობთ, კარგი იქნება.

მეტოქეთა პირველი პაექრობა სერია A-ში 1930 წლის 19 მარტს გაიმართ[ა] (მანამდე იტალიის პირველობები ტარ[დ]ებოდა, თუმცა ათასგვარი ფორმულ[ის] მიხედვით). ის თამაში სტუმრებმა, ინტერელებმა, 2:1 მოიგეს. ისე, ყველაზე დიდი ანგარიშით, რაც კი „ინტერს" „იუვენტუსი" მისსავე მოედანზე შეურცხვენია, 4:2-ია. შავ-ლურჯებმა შავ-თეთრები ამგვარად 1961 წლის 22 ნოემბერს დაამარცხეს. საერთო ჯამში „იუვენტუსს" „ინტერისთვის" 66-ჯერ უმასპინძლია, აქედან 47-ჯერ „ბებერ ქალბატონს" მოუგია, რვაჯერ კი „ინტერს". დანარჩენი თერთმეტი მატჩი რა შედეგით დასრულდებოდა, ალბათ, ადვილი მისახვედრია. რაც შეეხება ბურთებს 124:53-ია მასპინძელთა სასარგებლოდ.

სხვათა შორის, რაც იტალიის პირველობებს ოფიციალური სახე მიეცათ, ანუ 1929-30 წლების სეზონიდან მოყოლებული, „იუვენტუსი" და „ინტერი" არასდროს დაქვეითებულან.

ცოტა დრო დარჩა.

— ძალიან მსურს, ვითამაშო და გან[საკუთრებით] იმიტომ, რომ რეკორდს დავამყარებ. არა[და] უბრალოდ, ოთხ ათეულ წელს მიახ[ლოებულმა] ლოებულმა მინდა ტურინელებს დავუმტკიცო, რომ კვლავ ჩინებულ ფორმაში ვარ — თქვა ჯუზეპე ბერგომიმ.

რომელ რეკორდზე საუბრობდა იგი[?] რა და, თუ მან „იუვენტუსის" წინააღმდეგ იასპარეზა, სერია A-ში 501 თამაშს ჩაატარებს, ეს კი ახალი რეკორდი იქნება. მანამდე მიღწევა ბერგომის თანაქალაქელ, მაგრამ „მილანის" უძლიერეს ფეხბურთელ ჯანი რივერას ეკუთვნოდა, რომელსაც სერია A-ში 500-ჯერ უთამაშია.

**ლაშა გოდუაძე**



ბრძოლა, ბრძოლა და კიდევ ბრძოლა — „იუვენტუსის" და „ინტერის" შეხვედრების მუდმივი თანამდევი

# კენგურუს ბედი სამშობლოში



ვიქტორ სანეევის ნახტომს ყოველთვის მოუთმენლად ელოდნენ

დასაწყისი პირველ გვერდზე

**— ვიქტორ, უკვე ნახევარ საუკუნეს გადააბიჯეთ, მერამდენე ცხოვრებით ცხოვრობთ?**

ჩაფიქრდა, სასტუმროს ცნობარი ერთი ხელიდან მეორეში გადაიტანა, უაზროდ გადაფურცლა.

— ამაზე ხშირად მიფიქრია. ახლა მეოთხე ცხოვრებით ვცხოვრობ. ჯერ იყო ცხოვრება დიდ სპორტამდე, შემდეგ ოც წელზე მეტი პროფესიულ სპორტში ვიყავი, მოსკოვის ოლიმპიადის მერე ეგრეთ წოდებული საბჭოური ცხოვრება მქონდა, ახლა კი — ავსტრალიური.

**— ამათგან რომელი იყო ან არის ყველაზე რთული, რომელმა მოითხოვა სულიერ და ფიზიკურ ძალთა დიდი მსხვერპლი?**

— რა თქმა უნდა, ავსტრალიურმა და იცით, რატომ? იმიტომ, რომ უძლური ხარ! შენზე, ფაქტობრივად, არაფერია დამოკიდებული. სხვის იმედზე ხარ. იცი, რომ შეგიძლია, მეტი მისცე სხვას, შენი ცოდნა, გამოცდილება გაუზიარო, დაუახლოვო დიდ სპორტს. არ გამოდის. თავს ზევით ძალა არ არის. ვერა და ვერ მოვახდინე ჩემი შესაძლებლობების რეალიზაცია სახტომ ბილიკის მიღმა. რამდენადაც დაუოკებელი ვიყავი დიდ სპორტში, ისეთივე უძლური აღმოვჩნდი რეალურ ცხოვრებაში.

**— როგორ ფიქრობთ, რა არის მიზეზი?**

— მოდით, მწვრთნელობის კვალიფიკაციას ნუ დამიწუნებთ. მე განათლებითაც მწვრთნელი ვარ და მოწოდებითაც.

ჩემი ცხოვრების მიზანი, ოცნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, იყო და არის, აღვზარდო ოლიმპიური თამაშების პრიზიორი მაინც. ჯერჯერობით არაფერი გამომდის. ძალიან იმედგაცრუებული ვარ და პესიმისტი გავხდი. მეკითხებით, რა არის მიზეზიო.

ჩემი აზრით, ავსტრალიაში სპორტის ისეთ ურთულეს სახეობაში, როგორიც სამხტომია, დიდი სპორტსმენის გაზრდა ძალიან ძნელია. აქაურები განებივრებულნი არიან, კარგად ცხოვრობენ, პრობლემა არ აქვთ, მხოლოდ თავიანთი სიამოვნებისთვის ვარჯიშობენ, მსხვერპლის გაღება არ უნდათ. სპორტში ვერ ხედავენ თავიანთი პროფესიული შესაძლებლობების რეალიზაციის საშუალებას. ავსტრალიელებს ყველაფერი უნდათ, ოღონდ პატარა დოზით, ცხოვრება რომ გაიმრავალფეროვნონ. ვერა და ვერ შევაგნებინე აქაურებს — კი, ბატონო, სამხტომი ურთულესი რამაა, მაგრამ მძლეოსნობა ხომ ყველა სპორტში წარმატების მიღწევის საფუძველია. გულმოდგინედ მაინც ივარჯიშეთ, დიდ სპორტში თუ არა, ცხოვრებაში მაინც გამოგადგებათ. არა და არა! ვერ შევასმინე არაფერმა გაჭრა. არც პირადი მაგალითის ძალამ. არ უნდათ და მოკალი, თუ გინდა! კი, ჩემი მოსწავლეები გახდნენ კოლეჯის, სიდნეის, ავსტრალიის ჩემპიონებიც, მაგრამ ოფლის დაუღვრელად. დიდ სპორტში კი დღეს საქმისადმი ასეთი დამოკიდებულებით ფონს ვერ გახვალ. აბა, დააკვირდით, ვინ ჰყავთ ავსტრალიელებს მძლეოსნობაში მსოფლიოს ან ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები!

დაახლოებით იგივე სიტუაციაა საქართველოში. ქვეყანაში, სადაც გაიზარდნენ დუმბაძე და გოკიელი, სანაძე, შავლაყაძე და სანეევი, დღეს, ფაქტობრივად, მაღალი დონის მძლეოსანი არ გვყავს. ჩვენთან ეს ნაწილობრივ სხვა მიზეზით აიხსნება. მაგრამ ამის განმაპირობელი მაინც სახეობის სირთულეა, ის ითხოვს ჯოჯოხეთურ შრომას და მზად უნდა იყო იმისთვის, რომ დიდი სპორტის შემდეგ ხეიბრდები. დიახ, დიახ, ეს ასეა. ჩვენ გვახსოვს საბჭოური პროპაგანდა — სპორტი ჯანმრთელობის საწინდარიაო. შეიძლება ეს ითქვას „მუნმულით" რბენაზე, ან რამდენიმე ასეული მეტრის გაცურვაზე.

მონოლოგივით გამომდის, მაგრამ უნდა ვთქვა — არც ერთი ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ჯანმრთელი და სტარტებისთვის ფიზიკურად სრულფასოვანი არ ვყოფილვარ. დღეს ინვალიდი ვარ. ეს ფაქტია, კი არ ვწუწუნებ, ეს რეალობაა. ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, რომლისთვისაც ესპანეთის სტარტი მხოლოდ მეორე ოლიმპიადა იყო, ფაქტობრივად, სულ გამოიცვალა მუხლები! მე რამდენიმე ოპერაცია მჭირდება, რომ რაღაც დონეზე მაინც „გამარემონტონ". ასეთი ოპერაციის გაკეთების ღირებულება კი, მოგეხსენებათ, როგორია.

და მიუხედავად ყველაფრისა, მე უბედნიერესი კაცი ვარ — შევძელი სპორტში ჩემი თავის რეალიზაცია. ასეთი რამ, პრინციპში, მხოლოდ სპორტის ინდივიდუალურ სახეობებში შეიძლება. თუმცა, ვფიქრობ, ფეხბურთში მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე საფრანგეთის ეროვნულმა ნაკრებმა — მთელმა გუნდმა — ეს შეძლო. მაგრამ ეს იშვიათია.

**— განვლილი სპორტული გზა სინანულს ხომ არ იწვევს?**

— არა და არა. იგივე გზას გავივლიდი დაუფიქრებლად. ამბობენ, რომ სპორტში „გაუმაძღარი" ვიყავი. ასეც იყო. მე არ ვოცნებობდი არც მანქანაზე, არც ბინაზე და სხვა რამეებზე, გულის სიღრმეში კი მწყინდა, რომ ზოგჯერ უგულებელმყოფდნენ, მაგრამ ჩემი ცხოვრების მიზანი იყო სპორტული შედეგი, მხოლოდ მეტრები და სანტიმეტრები!

**— მოდით, გავიხსენოთ თქვენი ბოლო, „ვერცხლის" ოლიმპიადა 1980 წელს მოსკოვში.**

— გასახსენებელი არაფერია. ჩემი არავის სჯეროდა, არც მწვრთნელს, არც კოლეგებს, არც სპორტის ხელმძღვანელობას მოსკოვსა თუ თბილისში. დარჩი მარტო მე, მაგრამ ჩემთან იყო ღმერთი. ისე, არც გაემტყუნებათ, 35 წლისას მეოთხე ოლიმპიურ თამაშებზე რომ გქონდეს პრეტენზია, თანაც, ფაქტობრივად, ავადმყოფ კაცს, ამის წარმოდგენაც კი ძნელია, თანაც სამხტომში.

ეს ავადმყოფურ აკვიატებას უფრო ჰგავდა.

**— და მაინც, თქვენი გაიტანეთ. როგორი იყო მწვრთნელის პოზიცია?**

— მაშინ საბჭოთა კავშირის ნაკრებს კრეერი ედგა სათავეში. ის ნორმალური მწვრთნელი იყო, მაგრამ ერთობ ცუდი პედაგოგი აღმოჩნდა. ჩვენ ერთმანეთს დავცილდით. ჩემთვის უდიდესი ტრავმა იყო ის, რომ მას, ვისთანაც წლები მემუშავა, ჩემი არ სჯეროდა და ამას ხმამაღლა აცხადებდა! ისიც კი დამაყვედრეს, ოლიმპიადაზე დაგიშვითო! გახსოვთ, ალბათ, საოლიმპიადოდ შესარჩევ ჩემპიონატზე მეოთხე ადგილი დავიკავე — ერთი სანტიმეტრით წავაგე მესამე პრიზიორთან. არ ვტრაბახობ, მათი დამარცხება არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ლიცენზია მქონდა, ერ-თი სანტიმეტრის არსებობაც კი არ ვიცოდი. მაშინ ჩემთვის უმთავრესი იყო, ფეხები ზედმეტად არ დამეტვირთვა, გამეკეთებინა მხოლოდ აუცილებელი მინიმუმი — მიმეღო ლიცენზია. და კინაღამ შემთხვევითობის მსხვერპლი გავხდი. აქაც, ამ ელემენტარულ საკითხშიც, დამეტყო მწვრთნელის ხელი, უფრო სწორად, უხელობა.

**— ოლიმპიურ თამაშებზე მაინც დაგიშვეს...**

— კი. ალბათ იფიქრეს, შედეგს ვერ მიაღწევს, მაგრამ მეოთხე ოლიმპიადად მაინც ჩაეთვლებაო. მოკლედ, შემიცოდეს. ვფიქრობ, ოლიმპიურ თამაშებზე ჩემი მონაწილეობა დიდად განაპირობა იმანაც, რომ საქართველოს წარმოვადგენდი. ჩვენი რესპუბლიკის ყველა დონის ხელმძღვანელი დაინტერესებული იყო ოლიმპიურ თამაშებში ჩემი მონაწილეობით.

საბოლოოდ ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი ოლიმპიურ თამაშებში ჩემი მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხი და ერთ-ერთ შეხვედრაზე სკკპ ცკ-ში სპორტის მაშინდელი კურატორი, შემდეგში მინისტრი პაველ გრომოვი მეუბნება, თითქოს მოწყალება გაიღო, გადავწყვიტეთ, ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზო. რას იტყვი ამის შესახებო.

ბუნებრივია, ის, ალბათ, ელოდა ასეთი შემთხვევისთვის მიღებულ სამადლობელ სიტყვებს, მე კი მოკლედ მოვუჭერი, წიწილები შემოდგომაზე დავითვალოთ. ჩვენ კიდევ გვექნება შესაძლებლობა ამ თემაზე თამაშების შემდეგ ვისაუბროთ-მეთქი.

**— თქვენს ამ სიტყვებში საჩემპიონო მუქარა ხომ არ იყო?**

— რის მუქარა? მე არავითარი პრობლემა არ უნდა მქონოდა მოსკოვში. ბავშვი ხომ არ ვიყავი, ლიცენზიისთვის მებრძოლა და ორიენტაცია ოქროზე არ ამეღო. მე სხვა სინჯის მედალს არ ვცნობდი, მაგრამ მოსკოვში ყველაფერი უკუღმა აეწყო — ჯერ იყო და, თვით შეჯიბრების მსვლელობის დროს ფეხის ტრავმა, შემდეგ კი ეს ქარი. ეჰ, მოკლედ ნუ გამახსენებთ.

**— კი, ბატონო, მაგრამ არაფერი გითქვამთ იმ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტზე, უუდმიაეს რომ რამდენიმე სანტიმეტრი წაუმატეს.**

— მერე რა! შინაგანად ველოდი მოვლენების ასეთ განვითარებას, მაგრამ მაინც უნდა მომეგო და მოვიგებდი კიდეც, რომ არა ეს ავადსახსენებელი ტრავმა და ქარი.

**— როგორ, იაკ უუდმიაეს მიმართ წყენის გრძნობა არ გაგაჩნიათ?**

— როგორ გეკადრებათ! არა და არა. მე ის ძალიან მიყვარს და ძალიან ვაფასებ. მისი რა ბრალია, რომ ვიღაც უსინდისო მოხელეებმა ნახტომის გაზომვის დროს მას რამდენიმე სანტიმეტრი აჩუქეს. კიდევ ვიმეორებ, მოსკოვში ყოველგვარი წამატება-წამომატების მიუხედავად, ჩემპიონი მე უნდა ვყოფილიყავი. ესტონელი დიდ ტალანტს არ წარმოადგენდა და ჩემთვის მისი დამარცხება არავითარი პრობლემა არ უნდა ყოფილიყო. კიდევ ვიმეორებ, იაკი არაფერ შუაშია, ის ძალიან კარგი ბიჭია. ამჟამად ესტონეთის მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია. ამას წინათ ათენში შევხვდით ერთმანეთს. ძალიან გულთბილად ვისაუბრეთ. თუნდაც იმიტომაც ვცემ პატივს, რომ სამი ვაჟიშვილისა და ორი გოგონას მამაა.

**— დიდ სპორტში დიდი შედეგების მისაღწევად რა თვისებებია საჭირო?**

— ფაქტი ერთია, მხოლოდ ნიჭის ამარა ვერაფერს გახდები. მხოლოდ უმძიმესი, აუტანელი, ინტენსიური შრომით ყალიბდება კარგი სპორტსმენი! არ უნდა გეზარებოდეს ვარჯიში. იგი თვითდაჯერებისა და თვითგანვრთნის საუკეთესო საშუალებაა. და კიდევ ერთი — დიდმა სპორტსმენმა უნდა გამოიმუშაოს თავისი თავისადმი ჭეშმარიტად პროფესიული დამოკიდებულება — ყველგან და ყველაფერში. მას უნდა ჰქონდეს ცხოვრების ასკეტური წესი. ტალანტს უნდა შეეძლოს მოსმენა, სხვისი აზრის გათვალისწინება; უნდა ჰქონდეს ანალიზის უნარი, შეცდომების ანალიზის სურვილი, არ უნდა გაუჩნდეს წაგების კომპლექსი. მოკლედ, მშიშარა არ უნდა იყოს. ყველაზე დამღუპველი შენი წაგების სხვაზე გადაბრალებაა. ბუნებრივია, ნერვული სისტემა სრულ წესრიგში უნდა გქონდეს. ამ მხრივ ბედნიერი კაცი ვიყავი. ნებისმიერი რანგის შეჯიბრების დაწყებამდე არავითარი ნერვულობა, მკვდარივით მეძინა ხოლმე. აი, შეჯიბრების შემდეგ კი, შედეგის მიუხედავად, 2-3 დღე თვალს ვერ ვხუჭავდი, ვბორგავდი და უაზროდ დავბორიალობდი.

მე ვიცი ატლანტაში დათო ხახალეიშვილის „აწონვის" ისტორია. მიმაჩნია, რომ პასუხისმგებლობა უნდა გაიზიაროს არა მარტო მისმა პირადმა მწვრთნელმა, ფედერაციის წარმომადგენლებმა, თარჯიმანმა, არამედ თავად დათომაც. ხახალეიშვილის რანგის სპორტსმენი თავად უნდა იყოს ყველაფრის საბოლოო მაკონტროლებელი.

სხვათა შორის, ამის შესახებ ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ სექტემბერში საბერძნეთში ოლიმპიურ ჩემპიონთა შეკრებაზე.

რაც მე ინფორმაცია გამაჩნია, იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩემი აზრით, ყველაზე პროფესიონალი სპორტსმენი თავისი მენტალიტეტითა და ცხოვრების წესით დღეს სამპრასია.

**— ვიქტორ, მოდით, კიდევ ერთ საკითხს შევეხოთ. საქართველოში ჭადრაკის ბუმი ნონა გაფრინდაშვილის სახელს უკავშირდება, კრივში ახალგაზრდების გატაცება განაპირობა დავით კვაჭაძისა და გიორგი კანდელაკის, ველოსპორტში — ომარ ფხაკაძის, ჩოგბურთში — ალექსანდრე მეტრეველის და ლეილა მესხის სახელებმა. აღარაფერს ვამბობ მოჭიდავეებსა და ძიუდოისტებზე. მაგრამ ვიქტორ სანეევის თითქმის ორ ათეულ წლოვანმა მუდმივმა ტრიუმფმა რატომ არ გამოიწვია მძლავრი ბიძგი მძლეოსნობაში? ან კიდევ, რატომ არ გამოჰყვა სპორტსმენის გენი თქვენს ვაჟიშვილს?**

— სანდროთი დავიწყოთ. გული მწყდება, რომ მან სპორტში თავისი სიტყვა არ თქვა. მიზეზი ერთია — ნებისყოფა და ამბიცია. მას სპორტისთვის საჭირო დოზით არც ერთი აქვს და არც მეორე. თავიდანვე ვიცოდი, რომ ის არათუ ვერ მაჯობებდა, ახლოსაც კი ვერ მოვიდოდა და ეს ბუნებრივიცაა. ჯერ ერთი, ყველა შესაძლებლობა, სპორტული მაქვს მხედველობაში, ალბათ, ჩემით ამოიწურა ამ ორ თაობაში, და მეორეც, აბა, მითხარით, რამდენი მამა-შვილია ოლიმპიური ჩემპიონი?

რაც შეეხება მიმდევრებს, უკვე ჩვენი საუბრის დასაწყისში ვთქვი, სამხტომი ერთ-ერთი ურთულესი სახეობაა-მეთქი. ერთეულთა ხვედრია, თავი გადადონ სპორტისთვის. უხეშად რომ გამოთვალო, საერთო ფიზმომზადების მიზნით ჩემი სპორტული კარიერის განმავლობაში ასი ათასი ტონა ლითონი ამიწევია. მხოლოდ ახლახან, თითქმის 18 წლის შემდეგ გამიქრა კისერსა და მხრებზე შტანგის ნაკვალევი. ცხოვრებაში მილიონზე მეტი ნახტომი მაინც შემისრულებია, თანაც ასფალტზე. მეორე არეკნის დროს კი ფეხი თითქმის ერთი ტონის სიმძიმის დატვირთვას განიცდის. ავტომანქანა დაახლოებით 4-5 წელიწადს თუ უძლებს ასეთ „ექსპლოატაციას". დღეს ასეთ მსხვერპლზე აღარ მიდიან. კიდევ ერთი — ვინც სპორტთან ახლოსაა, ის კარგად მიხვდება — ჩემი პირველი სერიოზული ნახტომის სიგრძე იყო 14,90 , საუკეთესო — 17,44 მე[...]

და გამოიცანით, როგორია საშუალო [...] სიგრძე ჩემი ნახტომებისა შეჯიბრებებსა [...] ვარჯიშებზე? — 16,95 მეტრი. დიდოს[...] ტური შედეგია!

წარმოიდგინეთ, როგორ ჯოჯოხეთურ[...] ვშრომობდი თითქმის 20 წლის გან[...] ლობაში. ჩემი მწვრთნელის უპირველ[...] ამოცანა ჩემი სტადიონზე სავარჯიშო[...] ყვანა კი არ იყო, არამედ სტადიონი[...] ვარჯიშიდან გაგდება! ძლივს ჩემი მაზოხი[...] მეძახდა ხოლმე.

ასე რომ, აქ სანეევის ფენომენი არა[...] შუაშია. დღევანდელ ახალგაზრდობას [...] ლისდაუღვრელად უნდა მიზნის მიღწ[...] ცხოვრებაში ასე არ ხდება. ამიტომაც [...] გამომიჩნდა მიმდევრები საქართველოში.

**— არ მინდა დოპინგი გახსე[...] მაგრამ იღებდით თუ არა რაი[...] სტიმულატორს, გეუბნებოდნენ [...] არა, უნდა მიიღოო?**

— შემიძლია ხატზე დავიფიცო, არა[...] თარ წამალს არ ვიღებდი. ეს ჩემი პრ[...] ციპი იყო. ახლა ზოგიერთი გაიფიქრ[...] აბა, ხომ არ იტყვის ვიღებდიო. მე [...] უარვყოფ, რომ ასეთი რჩევები და რე[...] მენდაციები შეიძლება ყოფილიყო, იმა[...] ვერ დავიჩემებ, რომ საბჭოთა კავშირ[...] ნაკრებიდან რომელიმე ჩემი კოლეგა [...] ბოლიკებით არ იჭყიპებოდა. დღეს [...] მხრივ სრული განუკითხაობაა. ისე [...] უნდა ვთქვა, რომ ჩემი სპორტული კა[...] ერის დამთავრების შემდეგ ბევრი მეუ[...] ბოდა — შენი საუკეთესო შედეგი 17[...] კი არაა, არამედ 18 მეტრს გადაცილე[...] ლიო. მათ მხედველობაში ჰქონდათ, [...] ჩემი შედეგის მკვეთრი გაუმჯობესება [...] ულებრივ ადამიანურ შესაძლებლობ[...] აღემატებოდა და მხოლოდ ანაბოლიკ[...] საშუალებით თუ მიიღწეოდა.

**— სჭირდება თუ არა მწვრ[...] ნელი დიდ, გამოცდილ სპორტსმე[...] და კიდევ, იყენებდით თუ ა[...] ფსიქოლოგის ან ექსტრასენსის მ[...] მსახურებას?**

— მწვრთნელი ყველა დონის სპორ[...] მენისთვის აუცილებელია. ეს აქსიომ[...] სპორტის ნებისმიერ სახეობაში ვინც [...] გაყოყოჩდა და მწვრთნელზე უარი თქ[...] ყველამ კისერი წაიტეხა. აი, ავსტრალ[...] ში კი მწვრთნელი მართლაც არავის ს[...] რდება.

პირადად მე არც ექსტრასენსთან მ[...] ნია საქმე და არც ფსიქოლოგთან. მე [...] ჩემი მწვრთნელი ამ პრობლემებს თა[...] ვაგვარებდით.

**— რომელი ოლიმპიადა და[...] მახსოვრდათ ყველაზე მეტად?**

— განუმეორებელი იყო მეხიკო. [...] ხტომ ბილიკზე ყველაზე დიდი ბრძ[...] იქ გადავიტანე. ეს იყო ნამდვილი ფე[...] ვერკი. ხუთჯერ დამყარდა მსოფლიო [...] კორდი, თავად თამაშები კი ზეიმად ი[...] მიუნხენში და მოსკოვში ეს განწყობი[...] ბა დაიკარგა, იმძლავრა კომერციამ, მ[...] რავლდნენ პოლიციელები, გაჩნდა ბო[...] ბი, მოეწყო ტერორისტული აქტები...

სხვა თამაშებზე ვერაფერს ვიტყვი, [...] ულსა და ბარსელონაში საბჭოთა ს[...] რტის მესვეურთ ჩემი წაყვანა არც უ[...] რიათ, თუმცა სეულის წინ ოლიმპი[...] ჩირაღდნით ერთი მონაკვეთი მარბენ[...]

აქ სანეევმა ოდნავ იყუჩა, სავარძ[...] ბოლომდე მიეყრდნო და დაბალი ხმ[...] დაუმატა, არც ატლანტაში გახლდით, [...] კი, მაინტერესებდა ჩვენების დებიუტი[...]

**— ვიქტორ, მესმის თქვენი გ[...] ლისტკივილი. ატლანტაში თქ[...] ნი არყოფნა ჩვენი ეოკ-ის წ[...] დაუხედაობაა, მაგრამ წინ კიდ[...] ბევრი ოლიმპიური თამაშია. ახლა ეს გვითხარით, ოჯახი [...] დიდი სპორტი რამდენად ჰარმ[...] ნიულად ერწყმის ერთმანეთს? თ[...] ლისის „დინამოს" ბევრი ფეხბ[...] რთელი იხსენებს, რომ როცა გუ[...] რევაზ ძოძუაშვილი წვრთნიდა, [...] მოთამაშეთა დაოჯახების წინა[...] ღმდეგი იყოო.**

— რეზოს კარგად ვიცნობ. სოხუმ[...] ფეხბურთიც კი გვითამაშია ერთად. ც[...] სახად მისი გამტყუნება არ შეიძლება [...] ფანატიკოსია და მისი მესმის. ჩვენ [...] მბობთ, დიდი სპორტი დიდ მსხვერპ[...] მოითხოვსო. ერთ-ერთი მათგანია ად[...] ულ ქორწინებაზე უარის თქმა. მე 27 წლ[...] მოვიყვანე ცოლი. ჩემი მდგომარეობის [...] ცვლას სპორტულ შედეგებზე დიდი გ[...] ლენა არ მოუხდენია, მეუღლისთვის კ[...] ტრაგედია იყო. ელეთ-მელეთი მოსდ[...] და. აბა, ვის უნდა ისეთი ქმარი, წელი[...]



„სარბიელის“ მკითხველებს სიდნეიში ჩვენი ოლიმპიელების წარმატებებით გახარებას ვუსურვებ“ — სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ბარათიდან

...ში 300 დღე რომ შინ არ იქნება?!

ისე, ავსტრალიაში სპორტსმენის ოჯახის შექმნას რაიმე ფორმით წინ რომ აღუდგე, შეიძლება სასამართლოშიც გიჩივლონ, სამსახურს კი ნამდვილად დაგატოვებინებენ, მოქალაქის პირად ცხოვრებაში ჩარევად ჩაგითვლიან. ეს კი კანონით ისჯება.

**— რა მოგცათ დიდმა სპორტმა?**

— საზოგადოებრივი თვითდამკვიდრება. მოხდა ჩემი, როგორც პიროვნების შესაძლებლობის, ფიზიკურის და ინტელექტუალურის, რეალიზაცია. ჩემი სახელი სამუდამოდ შევიდა სპორტის ისტორიაში. განა ეს ცოტაა? მაგრამ დიდმა სპორტმა მომიტანა ურთულესი ტრავმები, აუტანელი ტკივილები, ავადმყოფობა... სპორტმა დამაინვალიდა კიდეც. ესეც რეალობაა.

**— დღეს დიდ სპორტში ფული და მატერიალური სტიმულია წინა პლანზე. რა ადგილი ეკავა თქვენს სპორტულ ცხოვრებაში პატრიოტიზმს?**

— ჩვენი მენტალიტეტი სხვა იყო. ჩემსა და ნონას თაობას, ადრინდელსაც ცხადია, სხვანაირად, გვზრდიდნენ. მიუხედავად დღევანდელი პრაქტიკისა, დარწმუნებული ვარ, ნამდვილი პატრიოტიზმის, ქრონული თვითშეგნების გარეშე, იმის გათვალისწინების გარეშე, რომ შენი გამარჯვება და დამარცხება შენი ხალხის, შენი ქვეყნის სიხარული და სატკივარია, ძნელია, დიდი შედეგების მიღწევა. თუ მაინც მიაღწევ მედლებამდე, მაშინ სიხარული არ იქნება სრულფასოვანი, მასშტაბი შეგეკვეცება, ჩარჩოებში მოექცევა.

ვიცი, რომ საკუთარი ქვეყნის სიყვარული ქართველ სპორტსმენს არასდროს აკლდა და სწორედ პატრიოტიზმი, სხვა ფაქტორებთან ერთად, მძლავრ სტიმულად იქცეოდა ხოლმე მაღალი შედეგების მოპოვების გზაზე. სხვანაირად არც შეიძლება — აბა, სპორტსმენის გამარჯვების გარდა სხვა რომელ შემთხვევაში აღიმართება ქვეყნის დროშა და აჟღერდება სახელმწიფო ჰიმნი?

**— ჟურნალისტებთან როგორი დამოკიდებულება გქონდათ?**

— ნორმალური, მაგრამ მათ ყოველთვის ვუფრთხოდი. გაზეთებიდან და ჟურნალებიდან ამონაჭრებით ორი ჩემოდანი მაქვს სავსე. საწყალი დედაჩემი აგროვებდა. არა, არც ცოლი და არც შვილი ამას არ აკეთებდნენ. ავსტრალიაში ჟურნალისტებთან ურთიერთობა კი, როგორც წესი, შოუს ფორმას იღებს — სპორტის გარდა ყველაფერი აინტერესებთ.

**— სპორტისა და სპორტსმენისთვის რამდენად ხელშემწყობი იყო სოციალისტური სისტემა? უცხოეთში საგანგებო სამსახურების მხრიდან მუდმივი მეთვალყურეობა არ გთრგუნავდათ?**

— სპორტსმენის მზადების სოციალისტური სისტემა ჩვენთანაც, აღმოსავლეთ გერმანიაშიც, კუბაშიც, ჩინეთშიც, ნაწილობრივ რუმინეთში და სხვაგან უნიკალური იყო. მისი ხელაღებით უარყოფა, ალბათ, არ შეიძლება. ისევ ავსტრალიას დავუბრუნდები — აქ ყველაფერი აქვთ: სასმელ-საჭმელიც, სპორტული ინვენტარიც, დარბაზებიც, სამედიცინო უზრუნველყოფაც- აი, სისტემა კი სწორედ რომ მოიკოჭლებს.

მეორე მხრივ, იგივე სისტემამ ჩვენთან ბევრი სპორტსმენის ნიჭი შეიწირა. მე არ შემხვედრია უფრო დიდი ტალანტი, ვიდრე სიმაღლეზე მხტომელი ვლადიმერ იაშჩენკო იყო. უაზრო ექსპლოატაციით დაღუპეს დიდი სპორტსმენი. ტრავმირებული, ავადმყოფი გამოჰყავდათ საასპარეზოდ. მხოლოდ შედეგი აინტერესებდათ. თავიდან ჩემს მიმართაც იგივე მეთოდით მუშაობდნენ. ამას მეც და ჩემი მწვრთნელიც ვუძალიანდებოდით. სახტომ ბილიკს ამიტომაც შემოვრჩი დიდხანს.

რაც შეეხება „მეთვალყურეებს“, მე მათ ყურადღებას არ ვაქცევდი. ისინი თავიანთ საქმეს აკეთებდნენ, მე — ჩემსას. ისე კი, ცხადია, ნაკლებად სასიამოვნოა ვიღაცამ შენი ყოველი ნაბიჯი აკონტროლოს. ბოლოს და ბოლოს მივეჩვიე და ყურადღებას აღარ ვაქცევდი.

**— სპორტის რომელ სახეობებს გულშემატკივრობდით? ფეხბურთს, კალათბურთს, ჭიდაობას, ჭადრაკს თუ...**

— ჭადრაკი სპორტი არაა — იგი ინტელექტუალური თამაშია. ვთამაშობდი ფეხბურთს, კალათბურთს.

სხვათა შორის, სოხუმში ერთ გუნდში ვთამაშობდით მე და სერგეი ბაგაფში, აფხაზეთის ახლანდელი პრემიერ-მინისტრი. ისე, თუ თბილისში ვიყავი, „დინამოს“ მატჩი არ გამიცდენია.

**— მეგობრობის ფენომენი და დიდი სპორტი?**

— დიდ სპორტში მეგობრობა ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული გაგებით, ალბათ, მიუღებელია. ისე, კარგი დამოკიდებულება მქონდა იგორ ტერ-ოვანესიანთან, საშა ავილოვთან, იური სედიხთან, რობერტ შავლაყაძესთან, ვოვა გუცაევთან და სხვებთან.

**— მოდით, ახლა ავსტრალიაში ცხოვრებაზე ვისაუბროთ, როგორ ცხოვრობთ, როგორ შეეგუეთ აქაურობას?**

— აქ კონტრაქტით წამოვედი. მუშაობა ერთობ პრესტიჟულ და ელიტარულ კერძო კოლეჯ „სენ ჟოზეფში“ დავიწყე. ეს არაა სპორტული კოლეჯი, მაგრამ სპორტში მეცადინეობისთვის იდეალური პირობებია, ფანტაზიაა! საცოდაობაა, იქ რომ მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები არ იზრდებიან. მაგრამ მოკალი თუ გინდა — ვარჯიში არ უნდათ, ოფლის მოღვრა არ სურთ. ცოტაოდენით კმაყოფილდებიან... კოლეჯმა ბინაც მომცა, სანდრომაც სწავლა დაიწყო და თითქოს საქმე აეწყო.

სხვათა შორის, 2000 წელს ეს კოლეჯი უმასპინძლებს ოლიმპიური თამაშების ახალგაზრდული ბანაკის 800-ზე მეტ წარმომადგენელს. ალბათ, საქართველოდანაც იქნებიან.

ამ ორი წლის წინათ კონტრაქტის ვადა გამივიდა და ჩემი მომთაბარეობაც დაიწყო. დიდ სპორტში დიდი შურიანობა დაგაუტანლობაა. ჩემი შეფი კოლეჯში ოლიმპიური ჩემპიონი იყო. მან ცოლად ითხოვა ავსტრალიაში ძალიან ცნობილი მორაგბის და. ბუნებრივია, კარგი სამსახურიც გააჩერხა. არა და არ გამიგრძელა კონტრაქტი, დღეს-ხვალ, ცოტა მოითმინე, ცოტა მოიცადეო, სულ მატყუებდა. სჭირდებოდა მას კოლეჯში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი? რა თქმა უნდა, არა. თუმცა მე არავითარი პრეტენზია არ გამაჩნია გარდა იმისა, რომ მწვრთნელად ვიმუშაო და მოცალეობის ჟამს ვითევზაო. ბოლოს ისე გააკეთა, ჩემი გაცილებაც კი არ მოუწყვიათ.

ვიქტორი წამოდგა, ოთახში კოჭლობით გაიარ-გამოიარა, მტკივანი მუხლები მოისრისა და ღიმილით მითხრა:

— ისე, გაცილებაში ბედი ნამდვილად არ მაქვს. დიდი სპორტიდან არც საქართველოში გავუცილებივართ, არც მოსკოვში, აქ კი მწვრთნელობიდანაც არ გამაცილეს. გავიგე, ლევან თედიაშვილის იუბილე მასშტაბურად და კარგად გადაგიხდიათ. ასეც უნდა იყოს.

**— ახლა რას საქმიანობთ?**

— დიდხანს უმუშევარი ვიყავი. თავი მოსაკლავად მქონდა. იქამდეც კი მივედი, გაზეთში განცხადება გამოვაქვეყნე, მე ესა და ეს პიროვნება, ჩემს ოლიმპიური თამაშების ოქროსა და ვერცხლის მედლებს ვყიდი-მეთქი. გამომეხმაურნენ, მაგრამ მუქთად უნდოდათ, ყველაზე მაღალი ფასი, რომელსაც მთავაზობდნენ, 5 000 დოლარი იყო. ეს აქ ერთი-ორი თვე გეყოფა. ოჯახის წევრებმაც და აქაურმა ნაცნობებმაც გაყიდვა გადამაფიქრებინეს.

ახლა კი სახლებში მანქანით პიცას ვარიგებ. დიახ, დიახ, პიცას ვარიგებ. ვთქვათ, ვიღაც ლაწირაკს ან ბებრუხუნას ნასადილევს ან ძილის წინ პიცა მოუნდა, დარეკავს ფირმაში, შეუკვეთავს და მე, ვიქტორ სანეევი, მივალ, სადაც პიცას აცხობენ და შინ მივართმევ ამ იტალიური კერძის მოყვარულს. წარმომიდგენია, ამას რომ საქართველოში წაიკითხავენ, რას არ გაიფიქრებენ და იტყვიან. რა გაუჭირდა ასეთი, აქ ჩამოვიდესო. ვისთან ჩავიდე, რა ვაკეთო? სანდრო, რომელიც უკვე 24 წლისაა, ასევე კაფეში დამხმარედ მუშაობს. შედარებით უკეთ იანა მოეწყო. ის სპეციალობით ექიმია, მაგრამ აქ ექიმად ვინ ამუშავებს, თუმცა თავის სპეციალობასთან მაინც ახლოსაა. მე არანაირი სამუშაო არ მეუხერხულება — ვმუშაობ, ხომ არ ვიპარავ. დღეს სხვა გზა არა მაქვს. თქვენ მაინც ხომ ნახეთ, როგორი მილიონერი ვარ.

**— თქვენი მდგომარეობა რომ გავიგეთ, შარშან ჩვენმა ეოკ-მა თქვენს დასაქმებაში დასახმარებლად თხოვნით მიმართა სიდნეის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტსა და ავსტრალიის ოლიმპიურ კომიტეტს. რაიმე გამოხმაურება თუ იყო?**

— არა და არც იქნებოდა. ამათთვის ეს ყველაფერი წყლის ნაყვაა. არავის შენი ბედი არ აინტერესებს, მხოლოდ შენ თუ მიხედავ საკუთარ თავს.

ის კი არა, რამდენი წერილი მივწერე ხუან ანტონიო სამარანჩს. შარშან ათენში, მძლეოსნობაში მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში, პირადად ვესაუბრე მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ პრიმო ნებიოლოს. რომ მომისმინა, იცით მერე რა მითხრა ნებიოლომ? სიტყვასიტყვით გადმოგცემთ: „ბოლოს და ბოლოს, საქართველოში ხომ არის სპორტის სამინისტრო, ხომ არის ოლიმპიური კომიტეტი? ისინი ვალდებულნი არიან, შენ და შენნაირ სპორტსმენებს მიხედონ. ბევრი ჰყავთ შენნაირი სპორტსმენი? თუ არ უნდათ ან არ შეუძლიათ იკისრონ ამგვარი მისია, მაშინ მიმართე თქვენი ქვეყნის პრეზიდენტს. ის მაინც გაგებით მოეკიდება შენს მდგომარეობას. ჩემი მოვალეობა ის კი არაა, მძლეოსნობის ვეტერანებს მივხედო, ამაზე თქვენმა ქვეყანამ იზრუნოს. მე ვალდებული ვარ, მათ მიმართ გამოვიჩინო მაქსიმალური ყურადღება, ვინც დღესაა სპორტში“.

აი, ასეთი რჩევა-დარიგება მომცა პრიმო ნებიოლომ.

**— ნორმალური წინადადების მიღების შემთხვევაში დაბრუნდებოდით საქართველოში? ან რუსეთში არ იცხოვრებდით? სპეციალობით მუშაობას ვგულისხმობ.**

თვალებში შუქი ჩაუდგა და უმალ მიპასუხა:

— მაშინვე, არც დავფიქრდებოდი. 1995 წელს მოსკოვში ვიყავი. მითხრეს,იური ლუჟკოვს მიმართე, ახლა ირინა როდნინას უშენებენ მისი სახელობის ცენტრს, შენც აგიშენებენ, ამხელა სპორტსმენი ხარ და როგორ დაგაყვედრებენო. ამაზე მე ხომ ვერ „ვიჩალიჩებ“? მე მაგის კაცი არა ვარ. ვიღაცამ უნდა დააყენოს ეს საკითხი და ბოლომდე მიიყვანოს. მაგრამ ახლა, ალბათ, ეს აღარ გამოვა. ასეთი პროექტის განხორციელებას, ალბათ, ვერც საქართველოში მოვესწრები და ვერც რუსეთში.

**— რა მაგის პასუხია და, აპირებთ თუ არა საქართველოში დაბრუნებას?**

— რა მნიშვნელობა აქვს, სად მოვკვდები. დღეს საქართველოში — გინდ თბილისში, გინდ სოხუმში ვის ვჭირდები? გარდა ამისა, მე ხომ დიდი ხნის სიცოცხლე არ დამრჩენია, რამდენიმე წელიც და წავიღებ წერილს. ისე, დასაფლავება ჩემს მშობლიურ მიწაზე მირჩევნია, რა თქმა უნდა.

**— საიდან ასეთი პესიმიზმი. სიკვდილზე ფიქრი ჯერ ძალიან ადრეა და საამისოც არაფერი გეტყობათ.**

— რეალისტები უნდა ვიყოთ. ჩემი ჯანმრთელობით, ფაქტობრივად, ნახევარი კაციც აღარ ვარ. ისინი, ვისაც 30-35 წლამდე ჩემსავით თავი გადადებული აქვთ, დიდხანს ვერ ცოცხლობენ. გმირებიც კვდებიან. ეს ასეა. ჩემთვის ეს ამერიკის აღმოჩენა არაა.

**— მოდით, სიკვდილზე საუბარს თავი დავანებოთ, არავინ იცის, მიქელ-გაბრიელი ვის და როდის გვიხმობს თავისთან. დავიჯერო, თბილისში არავისთან მიგესვლებათ? ამ ორი თუ სამი წლის წინათ მოსკოვში იყავით, სულ ახლახან — ათენში, რომ იტყვიან, თბილისთან ყურისძირში, თქვენ კი...**

— მისვლით როგორ არ მიმესვლება. ერთ და ორ ღამეს ვინ დამამდლის, მაგრამ დღეს სტუმრობა მეგობართან და ნათესავთანაც, ალბათ, ძნელია, მოსარიდებელია. 1995 წელს მოსკოვიდან თბილისში ვერ ჩამოვიდოდი, სამსახურში დაბრუნება აუცილებელი იყო. ათენში ძალიან დამწყდა გული, ცრემლებსაც ვერ ვიკავებდი-ხოლმე.

ისე, მე ნოსტალგიური განწყობის კაცი ვარ — შინ ვზივარ, ვკითხულობ, ვფიქრობ. ასეთი მონოტონურია ჩემი ცხოვრება. ძალიან ბევრს ვფიქრობ, ხშირად მოგონებებში ვიძირები. ამდენი ფიქრისა თავად მეშინია.

აი, ასე ვარ ჩემს სამშობლოში. ჰო, ჩემს სამშობლოში — ავსტრალიაში. ჩემი ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე თითქმის ყველა პუბლიკაციაში მიწოდებდნენ ან „კენგურუს აფხაზეთიდან“ ან „კენგურუს საქართველოდან“. კენგურუს სამშობლოც ხომ ავსტრალიაა. ჰოდა, აი, მეც ჩემს სამშობლოში ვარ.

**— მოსკოვზე გამახსენდა. ჟურნალ „როსიას“ 1998 წლის იანვრის ნომერში ერთ რუს ჟურნალისტთან თქვენი საუბარია გამოქვეყნებული. ამ პუბლიკაციის ორ მომენტზე შევჩერდები. პირველი — რა სასაზღვრო პრობლემები შეგექმნათ მოსკოვში შესვლასთან დაკავშირებით და ვინ დაგეხმარათ?**

**ჟურნალში ასეა ნათქვამი, ბოლოს და ბოლოს, აღმოჩნდნენ კეთილი ადამიანებიო...**

**მეორე საკითხი შედარებით დელიკატურია და საქართველოდან თქვენი წასვლის მოტივაციას ეხება...**

არ დამამთავრებინა, მისთვის უჩვეულოდ სწრაფად, ჟესტიკულაციის მეშვეობით გამაწყვეტინა:

— ვიცი მაგ პუბლიკაციის შესახებ. ის ინტერვიუდან რატომღაც ორი წლის შემდეგ დაიბეჭდა. პასპორტთან დაკავშირებით არაფერი ისეთი არ ყოფილა. მე, ცხადია, ახალი ქართული პასპორტი არ მქონდა, ძველი საბჭოური კი ძალაში აღარ იყო. საკითხი ოპერატიულად მოგვარდა მოსკოვში საქართველოს მაშინდელი ელჩის ვაჟა ლორთქიფანიძის ჩარევით.

რაც შეეხება მეორე საკითხს, ეს ჩვეულებრივი ჟურნალისტური უსინდისობაა. რას მოიგონებენ და რა აქცენტებს გააკეთებენ, ღმერთმა უწყის. ჩემს ავსტრალიაში წასვლასთან არც ჩემი რუსობა და არც ჩემი მეუღლის აფხაზობა არაფერ შუაშია. ამაზე უკვე ვილაპარაკეთ. და საერთოდ, მე თქვენი გამკვირვებია — ეს ერთი პატარა, უმნიშვნელო ფაქტია. არ იცით, ამდაგვარ დიდსა და პატარა საქმეებში ვისი ხელი ურევია? ხომ იცით, რომ ყველაფერი ეს ერთი დიდი სტრატეგიული გეგმის შემადგენელი ნაწილია?

**— მეჩვენება, თითქოს გეუხერხულებათ იმ თემაზე საუბარი, რომელიც ყველაზე მტკივნეულია და აფხაზებისა და ქართველების საერთო ტრაგედიაა.**

— ის ყველაფერი, რაც მოხდა, კომუნისტების ნახელავია — გახლიჩეს საქართველო, მგონი, ახლაც აპირებენ, გახლიჩონ, შემდეგ კი მისი შეკვრა ძალიან ძნელია. მე დიდად განვიცდი ამ მდგომარეობას.

**— ვიქტორ, ელოდით, რომ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე სეოკ-ის ატაშეობას შემოგთავაზებდნენ?**

— არა. რატომღაც მეგონა, რომ ატაშე უეჭველად მდიდარი კაცი უნდა ყოფილიყო, ისეთი, რომელიც ჩვენნაირი ქვეყნის სპორტს დაეხმარება. აბა, მე რა დახმარება შემიძლია? ისე კი ძალიან მესიამოვნა თქვენი წინადადება. თუ რაიმე შემიძლია, ძალ-ღონეს არ დავიშურებ... საქართველო არის და რჩება ჩემს სამშობლოდ. სოხუმი და თბილისი არც მოსკოვზე და არც სხვა ქალაქზე არ გამიცვლია. თუმცა, ძალიან ხშირად ერთ ჯიბეში დიდი და პრესტიჟული ბინის გასაღებს მჩრიდნენ, მეორეში კი გაზიმზიმებული ავტომანქანისას.

**— სანეევის, როგორც სპორტსმენისა და ატაშეს პროგნოზი — რას უნდა ველოდოთ ზაფხულის XXVII თამაშებისგან? ამ შეკითხვას ნაწილობრივ იმით ვამართლებ, რომ კარგად ფლობთ ინფორმაციას ქართული სპორტის დღევანდელი სიტუაციის შესახებ.**

— არც ისე კარგად. თანაც ოლიმპიურ თამაშებამდე ჯერ კიდევ ორი წელია. მე უბრალოდ ვიცი, თუ რა შეუძლია ქართველ სპორტსმენს, თუ მას მიეცემა მომზადებისა და მრავალ ტურნირში მონაწილეობის საშუალება. ვიმეორებ, თუ ქვეყანამ და ხალხმა ხელი შეგვიწყოთ, მაშინ სიდნეიში უკეთესი შედეგი უნდა იყოს, ვიდრე ატლანტაში. ყოველ შემთხვევაში, სამივე ხარისხის თითო მედალი მაინც უნდა მოიპოვოთ. მინდა ვთხოვო სპორტსმენებს, რომ სიდნეიში სტატისტებად არ მოგვევლინონ. უმჯობესია, ასეთები შინ დარჩნენ, მედლისთვის ბრძოლაა საჭირო, ნამდვილი ბრძოლა.

**— მაგრამ რა ვუყოთ დევიზად ქცეულ ფრაზას, თითქოს ოლიმპიურ თამაშებში მთავარი მონაწილეობაა და არა გამარჯვება?**

— არ გეკამათებით, ლიცენზიის მოპოვებაც, ალბათ, ერთგვარი პატარა გმირობაა. ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრა უდავოდ საპატიოა. მაგრამ ამ პროგრამა-მინიმუმს რომ შეასრულებ, მერე უნდა იბრძოლო, რათა შენი ღირსება და შესაძლებლობა გამოაჩინო. ამაყად, წელში გამართულმა და თავაწეულმა უნდა წარადგინო შენი სახეც და შენი ხალხის ღირსება-პოტენციაც.

რადგანაც ქართულ სპორტში მეც მიკეთებია საქმე, ალბათ, მაქვს უფლება, ვთხოვო ქვეყნის ხელისუფლებას, პრეზიდენტსა თუ პარლამენტს, ხალხს, რომ საქართველოს მდგომარეობის მიუხედავად, მაქსიმალურად შეუწყონ ხელი სპორტსმენებსა და მწვრთნელებს. მერწმუნეთ, ჩაუცმელ-დაუხურავი, უჭმელ-უსმელი, ფიზიკურად არაჯანსაღი, უშეჯიბრო და ყოველგვარ სტიმულს მოკლებული ათლეტის იმედი არ გქონდეთ არც სიდნეიში და არც მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატებზე. გთხოვთ, შეინარჩუნოთ სპორტი ჯანსაღ მდგომარეობაში. დივიდენდებს ხალხიც და ქვეყანაც აუცილებლად მიიღებს.

დღეს თუ საქართველოს რაიმე აქვს სატრაბახო და თავმოსაწონი, მათგან სპორტი ერთ-ერთი გამორჩეულია. გავუფრთხილდეთ და მოვუაროთ მას.

მითხრა ეს, მერე წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და მომიბრუნდა — ლექციასავით ხომ არ გამომივიდა?

**— ვიქტორ, ბოლოს კიდევ ერთ საკითხზეც გვითხარით — თბილისში, საქართველოს სხვა ქალაქებშიც, ისეთი აზრი არსებობს, რომ ავსტრალიაში უამრავი თავისუფალი სამუშაო ადგილია და თითქოს სხვა ქვეყნების მოქალაქეებს ეხვეწებიან, ოღონდ ჩამოდით და აქ ყველაფერი კარგად იქნებაო.**

— მტკნარი სიცრუეა, თავხედური დეზინფორმაციაა. მე ვიცი, ასე წარბშეუხრელად რომ ატყუებენ ისედაც გაუბედურებულ ადამიანებს და უკანასკნელ დანაზოგს და ნასესხებ ფულსაც რომ ქარს ატანენ. არ დაუჯეროთ. ავსტრალიაში ვიზის მიღებაც ძალიან ძნელია, სამუშაოს შოვნა კი, ფაქტობრივად, შეუძლებელი. რამდენი ქართველი ვნახე, რომლებიც მათხოვრობენ, რათა საქართველოში დასაბრუნებელი ფული დააგროვონ და პოლიციას ემალებიან. რა, ჩემი მაგალითი საკმარისი არაა?

-ვიქტორთან და მისი ოჯახის წევრებთან კიდევ იყო შეხვედრები, საუბრები საქართველოსა და ავსტრალიაზე, სპორტზე, საერთო ნაცნობებზე, მტერ-მოყვარეზე. უთქმელი და მორიდებული ვიქტორი საოცრად ენაწყლიანი იყო. მე მესმის მისი — ამდენი წლის შემდეგ საშუალება მიეცა, თავისი გულისნადები ბოლომდე ეთქვა, დაცლილიყო. მომეჩვენა, რომ ავსტრალიაში იგი ეულად და მარტოდ გრძნობს თავს. რა თქმა უნდა, ოჯახური გარემოცვა საკმაოდ ავსებს მის ცხოვრებას, მაგრამ ვაკუუმი მაინც არის. როგორც ჩანს, მამლუქური ცხოვრების წესი მისთვის მიუღებელი და შეუთავსებელია.

და კიდევ ერთ ნიუანსზე გავამახვილე ყურადღება — მთელი ამ შეხვედრებისას ხშირად წამოსცდებოდა ხოლმე — „თქვენი სპორტი“, „თქვენთან რომ ცხოვრებაა“, „თქვენთან რაც ხდება“, „თქვენი სპორტსმენები“ და სხვა. მაგრამ უმალ მისივე ინიციატივით გაჩნდებოდა სიტყვა „ჩვენი“. და ასე მორიგეობით — ხან „თქვენით“ იწყებდა საუბრს და „ჩვენით“ ამთავრებდა, ან პირიქით.

და მაინც, „ჩვენი“ გაცილებით მეტი იყო. ვიქტორ სანეევი იყო და რჩება ჩვენს სპორტსმენად. ამდენად, მასზე ზრუნვა და მისადმი ყურადღებაც ხომ ჩვენი, უკვე აქაურების მოვალეობაცაა.

**ემზარ ზენაიშვილი**

**სიდნეი — თბილისი**

# ბაბიაშვილი: 44!

23 ოქტომბერი
თბილისი
ვერის ბაღი
5 ტური

**დინამო 83:101 აზოტი**

I ტაიმი 52:48

დინამო: ჭყონია, ხეცურიანი (6), შანიძე (22), მეჭურჭლიშვილი (2), ყველაშვილი (3); მაისურაძე (13), ნიკოლაძე (22), წიკლაური (9), მანველიშვილი (6)

აზოტი: ჟღენტი (20), გაბისონია (9), გოგობერიშვილი (10), ბაბიაშვილი (44), ჯაფარიძე (18); გოგოლაძე, ჩაჩუა, ჯიმშელეიშვილი

მსაჯები: ლაშა თოიძე, დავით ბერეკაშვილი

დელაგატი: მურმან ქურიძე

წინასამატჩო ინტრიგა არცთუ უმნიშვნელო გახლდათ. გათამაშების ცხრილში მეზობლად მყოფი ამ გუნდებიდან გამარჯვებული პოზიციებს ერთი ორად გაიმყარებდა. თუ წარმატებას „აზოტი“ მიაღწევდა, დაუმარცხებელ სერიას ოთხამდე გაზრდიდა და სტუ-სთან ერთად 100-პროცენტიანი მაჩვენებლით გააგრძელებდა ბრძოლას წლევანდელ პირველობაში. ხოლო დინამოელთა წარმატების შემთხვევაში ეს უკანასკნელნი მესამე საფეხურზე მოკალათდებოდნენ და თვით მრისხანე ვიცე-ჩემპიონს უკან მოიტოვებდნენ.

ამიტომაც იყო, რომ დაძაბულ და საინტერესო ორთაბრძოლას ველოდით. თუ რუსთაველთა სიძლიერეში ეჭვი არავის ეპარებოდა და მათი ქომაგნიც მხოლოდ ერთს, გამარჯვებას ითხოვდნენ, განვლილი ტურები სრულიად საკმარისად უნდა მივიჩნიოთ, რათა დინამოელთა ძალებშიც დავრწმუნებულიყავით. შორს აღარ წავალთ — მათი უკანასკნელი შეხვედრა გავიხსენოთ, როდესაც მოსეშვილის ახალგაზრდული გუნდი ექვსგზის ჩემპიონ „ვითას“ ტოლ-სწორად ეთამაშა და რომ არა გამოუცდელობით გამოწვეული მღელვარება, დაუმარცხებელთა რანგში წარუდგებოდა მეტოქეს.

ვარაუდი ერთია, თუმცა სპორტში რომ ბევრს არაფერს ნიშნავს, ამაში არაერთხელ დავრწმუნებულვართ. ძნელია, „დინამოს“ მონდომება და შემართება არ დაუფასო, მაგრამ კლასი მაინც კლასია. ალბათ, სწორედ ამ კომპონენტით დაიჩაგრა „დინამო“, რამეთუ ყოველთვის სტაბილურად მოთამაშე „აზოტის“ შემადგენლობა გაცილებით გამოწრთობილია და საკალათბურთო ინტელექტითაც უფრო მეტად იწონებს თავს.

ორი სრულიად განსხვავებული ტაიმი ვიხილეთ. ღირსეულმა ბრძოლამ მხოლოდ შეხვედრის პირველ ნახევარს გასტანა, შემდეგ სადღაც გაქრა და რუსთაველთა ძლევამოსილების ფონზე დინამოელთა უსუსურობა ერთობ მოსაწყენი საცქერი გახდა.

არადა, მატჩი ისე დაიწყო, კაცი უკეთესს ვერაფერს ინატრებდა. პირველი შეტევა „დინამომ“ წამოიწყო და ხეცურიანმა თავისიანები დააწინაურა. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მოსეშვილმა წამყვანი კალათბურთელები (ნიკოლაძე, წიკლაური, მაისურაძე) თავდაპირველად სათადარიგოთა შორის გაამწესა და „აზოტის“ ოპტიმალურ სასტარტოს ექსპერიმენტული ხუთეული დაუპირისპირა. ეს, ალბათ, მწვრთნელის, ერთ-ერთ ხრიკად უნდა ჩაითვალოს, რადგან როცა მოსეშვილი ამით ვერას გამორჩა, მოედანზე უფრო ნაცადების შეშვება დაიწყო. იქამდე კი, მართალია, „დინამო“ ერთხანს უძალიანდებოდა მოწინააღმდეგეს, მაგრამ 6:6-ის შემდეგ რუსთაველები ჩინებულად ამოქმედდნენ და 3-წუთიანი მონაკვეთი 12:2 მოიგეს. ეს ნაწილობრივ დინამოელთა დაცვაში შეუთანხმებელი მოქმედების ბრალიც იყო, რის შედეგადაც ბაბიაშვილი ქულას ქულაზე აგროვებდა. „აზოტის“ პირველი 14 ქულიდან 10 სწორედ ზვიადის ანგარიშზეა, რაშიც მას თანაგუნდელებმაც შეუწყვეს ხელი — წინა ცენტრზე ამოსული ჯაფარიძე პასს გოგობერიშვილისგან იღებდა და პოზიციურად ზუსტად მოთამაშე ბაბაიშვილიც სწორედ ირაკლისგან ღებულობდა „შენიღბულ გადაცემას“ სასურველ ადგილზე.

მოედანზე ნიკოლაძის გამოჩენას დინამოელთა გამოცოცხლებაც მოჰყვა, ხოლო როცა გიორგის ექსაზოტელი წიკლაურიც შეუწყვილდა, უპირატესობამ მთლიანად მათ მხარეს გადმოინაცვლა. თითქოს ამას ელოდაო, შანიძე რამდენიმე ეპიზოდში ბრწყინვალედ გაისარჯა. ამან ვიცე-ჩემპიონთა რიგებში ქაოსი გამოიწვია და როცა მეტოქის სამეულის კარგი თამაშით ფრთაშესხმული „დინამო“ ერთ ეპიზოდში 11:2 „გაიქცა“ და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა ხმელიძემ საფრთხე იგუმანა და წუთშესვენება ითხოვა.

ამის შემდეგ თამაში ქულა ქულაზე გაჩაღდა. კვლავ შეუჩერებელი იყო ზვიად ბაბიაშვილი, რომელმაც მთელი მატჩი ერთნაირი სიძლიერით ჩაატარა და მეტოქეთათვის მისი ნეიტრალიზება გადაუჭრელ ამოცანად იქცა. თუმცა დაცვაში რუსთაველები არცთუ საიმედოდ თამაშობდნენ და „დინამოც“ ადვილად აგროვებდა ქულებს. კარგად ჩაერთო მაისურაძე, რომელმაც მოკლე ხანში ორი 3-იანი ჩააგდო და თავისიანები წინ გაიყვანა, მაგრამ სრულფასოვანი შემცვლელის არყოლაში (ბერუაშვილი დისკვალიფიცირებულია) იძულებით დასვენებული აზოტელები რიგრიგობით უბრუნდებოდნენ მოედანს და ყოველივე ეს ანგარიშზეც აისახა. ტაიმი კი „დინამომ“ უკეთესად ჩაატარა. მეჭურჭლიშვილისა და ნიკოლაძის წყალობით ისინი 6 ქულით დააწინაურდნენ, რასაც ჯაფარიძემ 2-ით უპასუხა და გუნდებიც შესვენებაზე წავიდნენ.

ეს იყო და ეს. აქ დამთავრდა თამაში, რომლის პირველი ნახევრის შემხედვარე მაყურებელი საინტერესო გაგრძელების იმედით აღვსებულიყო, მაგრამ...

მეორე ნახევრის საწყის წუთებზე ჯაფარიძემ ეფექტურად „ჩატენა“ და ამით საფუძველი დაუდო „დინამოელთა“ რბევას. რუსთაველების შეჩერებას მეტოქე ვერაფრით ახერხებდა და ისინიც ნელ-ნელა ზრდიდნენ უპირატესობას. „აზოტს“ ყველაფერი გამოსდიოდა და მის ლიდერებთან დინამოელი კალათბურთელები უმწეოდ გამოიყურებოდნენ.

აქ დავასრულოთ მატჩზე საუბარი, რომელშიც ერთი გუნდი აშკარად სჯობდა მეტოქეს.

...და ბოლოს: კლასი მაინც კლასია!

**გიორგი გიგაშვილი**

# ამჯერად ახალგაზრდა ვაჟამ იმარჯვა

23 ოქტომბერი
თბილისი
ვერის ბაღი
5 ტური

**მაკაბი 100:102 კოლხა**

I ტაიმი 52:48

მაკაბი: დ. ბერიშვილი (30), ანდღულაძე (26), პაპასკირი (4), ტალაბაძე (11), ფერიაშვილი (22); ფიცხელაური, ნაცვლიშვილი (7), რიჟინაშვილი

კოლხა: ბერიშვილი (4), ბერია (28), ქვილითაია (10), კეიდია (13), უგრეხელიძე (12); არველაძე (3), თოდუა, კვაჭაძე (16), აბულაძე (11), ძიძიუგრი (5), ვაშაკიძე

მსაჯება: გია მოლოდინაშვილი, ზურაბ აბაშიძე

დელეგატი: როლანდ ხომერიკი

აკი მატჩისწინა ანონსშიც ვთქვით, სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზე მყოფთა „მეზობლური სიამტკბილობა“ ურთიერთპაექრობისას დაირღვეოდა. ასეც მოხდა. „მაკაბი“ და „კოლხა“ სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეიბნენ (ამაში მხოლოდ სპორტულ პაექრობას ვგულისხმობთ).

საათისა და 40 წუთის განმავლობაში ბრძოლის ჟინით აღტყინებულმა მეტოქეებმა თავდადებით იბრძოლეს. ამ საინტერესო, დაძაბული შეხვედრის საცქერლად დარჩენილ მაყურებელს (კალათბურთის ქომაგთა უმეტესობა წინა შეხვედრის შემდეგ გაიკრიფა) არაფერი წაუგია.

„მაკაბი“ — „კოლხას“ ჭიდილი რომ ვნებათაღელვით აღსავსე იქნებოდა, ეჭვს არ იწვევდა. სპორტული პაექრობის აყალმაყალში გადაზრდის შიში ნაკლებად გვქონდა, რადგან გუნდები „მოჩხუბართა ამქარს“ არ მიეკუთვნებიან. ამიტომ, შეხვედრის მშვიდად წარმართვის ბედი, როგორც ყოველთვის, მსაჯთა სწორ განსჯაზე იყო დამოკიდებული. ამ უკანასკნელთა გადაწყვეტილებებს კი ხშირად (არცთუ უსაფუძვლოდ) კალათბურთელებიც და მწვრთნელებიც წონასწორობიდან გამოჰყავდა. მაგრამ გუნდები ერთმანეთს არ დარევიან, მათი რისხვა თუ „ლოცვა-კურთხევა“ მხოლოდ მსაჯებისადმი იყო მიმართული.

არადა, მსაჯთა გვემა წინა ჩემპიონატებს არ დაჰკლებია და ამის საფრთხე ახალდაწყებულ მერვე ეროვნულშიც არსებობს. მართლაც რომ ხშირად სცოდავდნენ არბიტრები. არ მინდა, მათ არაპროფესიონალიზმი დავწამო, მაგრამ მსაჯთა გადაწყვეტილებები არცთუ იშვიათად საეჭვო გახლდათ.

სიტყვა გამიგრძელდა. სჯობს, მატჩს მივუბრუნდე (რომელშიც მსაჯები ბეწვზე გადარჩნენ) და მეტოქეთა ლაზათიანი ბურთაობა აღვწერო. „მაკაბიში“ კიდევ ერთი ახალწვეული გამოჩნდა. კარგი გამთამაშებლის არყოლით შეწუხებულ გუნდს სტუ-დან ტყუპი ბერიშვილები შეემატნენ. თუმცა კოლხებთან საპაექროდ მხოლოდ ერთი ძმა — დათო გამოჩნდა. ირაკლის მცირედი ტრავმა ჰქონია და მოედანზეც ამიტომ ვერ ვიხილეთ. რადგან ტრავმები ვახსენებთ, უნდა ითქვას, რომ ამან „კოლხაც“ მეტად აზარალა: აბულაძემ „დინამოსთან“ შეხვედრის დროს ფეხი იღრძო, ხოლო ბერიას მუხლში ნერვის ანთება აღმოაჩნდა. თუ ამათ ჯერაც ტრავმამოუშუშებელ კვაჭაძეს დავამატებთ, ნათელი გახდება — სოხუმელები „მაკაბის“ ერთობ შეჭირვებული დაუპირისპირდნენ. ამის მიუხედავად, მოედანზე სამივე კოლხელი ვიხილეთ და სამივე შეძლებისდაგვარად ირჯებოდა.

პირველი ტაიმიც მათი გუნდის უპირატესობით დაიწყო. სამი წუთის შემდეგ „კოლხა“ 8:0 იგებდა. მაკაბელების უღიმღამო ბურთაობას ნაცადი ტალაბაძის დაბნეულობაც დაერთო. მან ამ სამ წუთში 4 პერსონალური ჯარიმა მიიღო (!) და მხეიძემაც შეცვალა. მატჩის დასაწყისი კოლხელებს ცუდს არას უქადდა და მათაც გაილაღეს, ორივე ფარზე ბატონობდნენ და ქულას ქულაზე აგროვებდნენ. კოლხი კვაჭაძის ეფექტური ჩატენვის შემდეგ „მაკაბი“ გამოცოცხლდა, რაც შედეგიანობასაც დაეტყო. თუმცა „კოლხა“ მაინც მძლავრობდა. საჯარიმო სროლებითა და შეტევებით მეტად ხეირობდა. მოთამაშეები გახურდნენ და ტემპმაც იმატა. როგორც დაძაბულ მატჩს შეეფერება, მეტოქეები ემოციებს ვერ იოკებდნენ და ცდებოდნენ. მსაჯთა სასტვენიც ხშირად აჩერებდა შეხვედრას, ამ დროისათვის ორივე გუნდის კალათბურთელთა უმეტესობას 2-3 საჯარიმო დაუგროვდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მსაჯთა გადაწყვეტილებებზე მაკაბელები უფრო მეტად რეაგირებდნენ და აღელვებისას თამაშიც არ გამოსდიოდათ. თუმცა მაკაბელებმა მალე შეძლეს ნერვების მოთოკვა და ტაიმის დამთავრებამდე ბოლო 4 წუთი პრესინგს მიმართეს. ამ ტაქტიკამ გაამართლა, „კოლხა“ აირია და თბილისელები ბერიშვილის სამიანის მერე ქულით დაწინაურდნენ.

კვარაცხელიამ მდგომარეობის გამოსასწორებლად მოედანზე უგრეხელიძე დააბრუნა. ახალდაბრუნებულმა კი ფერიაშვილთან ორთაბრძოლაში მეოთხე პერსონალურიც აიკიდა. მას კვაჭაძე გამოესარჩლა, რომელმაც მსაჯებს ორი ტექნიკური დასტყუა და მატჩსაც გამოეთიშა (ალბათ, შემდეგ შეხვედრასაც გამოტოვებს). ფერიაშვილმა კი უნაკლოდ შეასრულა 6 საჯარიმო სროლა. ბურთის შემოტანაც მაკაბელებს დაეკისრათ, მაგრამ კოლხებმა ივაჟკაცეს და პირველი ნახევრის ბოლოს ანგარიშში სხვაობა ოთხ ქულამდე დაიყვანეს.

მეტოქეების თავგამოდება მეორე ტაიმშიც გაგრძელდა. თამაშის ეშხში შესულთ ოდენ ზედმეტი ნერვიულობა უშლიდათ ხელს, რის გამოც ხშირად სცოდევდნენ. თუმცა შეტევების გაცუდებით „მაკაბიმ“ უფრო მეტად იზარალა და სოხუმელებიც წამოეწივნენ.

ტყუილად არ გვეგონა, რომ „მაკაბი“ — „კოლხას“ შეხვედრა სეხნია მწვრთნელთა დუელში გადაიზრდებოდა. მხეიძემაც და კვარაცხელიამაც შეძლეს გუნდების სათამაშოდ განწყობა. საოცარია ის შეუდრეკლობა, რაც ორივე კლუბის მოთამაშეებმა გამოავლინეს. მეტოქეების არაფერს იშურებდნენ ნანატრი გამარჯვების მოსაპოვებლად.

მწვრთნელთა დუელში ვინმესთვის გამარჯვების მიკუთვნება კი ჭირს, მაგრამ კვარაცხელიას ლვაწლი მეტად დაფასდა. პირტიტველა კოლხთა შეთხელებულმა შემადგენლობამ შეუძლებელი შეძლო და გამოცდილ „მაკაბის“ ლამის მოგებული თამაში გამოსტაცა ხელიდან.

...რჩება 22 წამი, ანგარიში „მაკაბის“ ერთი ქულით მიჰყავს — 99:98. ორივე მხარე გამიზნული დაჯარიმებების ხარჯზე ცდილობს ერთმანეთის შეტევების ჩაშლას. დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია, საჯარიმოთა ზუსტი სროლა სპორტსმენთაგან სიმშვიდეს მოითხოვს. ამ მხრივ კოლხელი ბერიაა გამოსარჩევი — მისი წყალობით „კოლხა“ წინ გადის 100:99. ახლა მაკაბელი ბერიშვილია საჯარიმოს ხაზზე, იგი ორიდან ერთს ათავსებს. ანგარიში თანაბარია 100:100. „მაკაბი“ მეტოქის შეტევას ჯარიმით შლის, მაგრამ ამან არ გაუმართლა. წერტილს კოლხელი არველაძე სვამს, რომელიც ორ საჯარიმოს იყენებს. მაკაბელებს შეტევისთვის დრო კი დარჩათ, მაგრამ ფრთაშესხმულმა „კოლხამ“ ჩაჭრა და ბურთი ბოლომდე შეინარჩუნა.

**მამუკა ტუღუში**

## ევროლიგა. I ჯგუფური ეტაპი. V ტური. 21-22 ოქტომბერი

### A ჯგუფი

**ფენერბაჰჩე 94:75 ვარეზე**

ფენერბაჰჩე: აბდულ რაუფი (21), აბი, აფაიდინი, ქუთლუაი (34), მაკრეი (12), მილიჩი (18), ტაბაკი (9)

ვარეზე: დე პოლი (11), გალანდა (5), ჯადინი, მენეგინი (7), მრშიჩი (12), პოცეკო (12), სანტიაგო (14), ვესკოვი (10), ზანუს-ფორტი (4)

**ჟალგირისი 70:67 პო ორტეზი**

ჟალგირისი: ადომაიტისი (8), ბოუი (9), ედნი (8), მასიულისი (13), მასკოლიუნასი, შტომბერგასი (13), ზიდეკი (6), ე. ჟუკაუსკასი (9), მ. ჟუკაუსკასი (4)

პო ორტეზი: აიშა, ფატუ, ფუარე (22), დ. გადუ (2), ტ. გადუ (13), გრანტი (13), ლორთრიჯი (5), სხოლტენი (2), სმიტი (10)

**ავტოდორი 64:81 ტაუგრესი**

ავტოდორი: ეინიკისი (12), ფეტისოვი (4), ხიჟნიაკი, ხრიაპა (16), მილოსერდოვი, ნვოსუ (6), ზ. პაშუტინი (12), შეპელევი (2), შტელმახერსი (6), ჩიკალკინი (6)

ტაუგრესი: ანგულო (6), ბენეტი (18), ბერიჩი (23), ესპილი (26), გარბახოსა (4), გერკე (4), მახოვსკი, მილერა

### B ჯგუფი

**პანათინაიკოსი 77:63 ეფესი**

პანათინაიკოსი: ალვერტისი (15), ბოდიროგა (22), ბუდურისი (3), ბურკი, ეკონომუ (7), ჯენტილე, კოხი (6), პატავუკასი, რაჯა (26)

ეფესი: აიდინი (4), ბესოქი (14), დალი (1), დრობნიაკი (16), ევლიაოღლუ (5), ნაუმოსკი (16), ონანი, სარიქა (3), თურქოღლუ (4)

**მაკაბი 76:57 ციბონა**

მაკაბი: ალექსანდერი (18), გუდესი (2), ჰენფელდი, კატაში (20), ლონჩარი (2), პოპა (10), შეფერი (16), შელეფი (8)

ციბონა: ატკინსი (6), ბაგარიჩი (2), გირიჩეკი (17), გრეი (11), კრსტიჩი, მარცელიჩი (14), ნიჩევიჩი (2), პრკაჩინი (5), სარლია, ვრანკოვიჩი

**ტდკ 74:59 ცრვენა ზვეზდა**

ტდკ: კაპდევილა (12), კრეუსი (10), გონსალესი (1), ლავინია (2), მილი (15), მონტანესი (10), მოტი (11), მოია (2), სინგლა (8), ვასკესი (3)

ცრვენა ზვეზდა: ბოლიჩი (5), იესტრატიევიჩი (4), პავიჩევიჩი (3), პეკოვიჩი (7), პოპოვიჩი (4), რადმანოვიჩი (3), სტანოევიჩი (15), ტოპიჩი (16), ვიდაჩიჩი (2)

### C ჯგუფი

**კინდერი 66:49 ულქერი**

კინდერი: აბიო (19), ბინელი (3), კრიპა, დანილოვიჩი (25), ფრო... სინი (3), მაკრისი (7), ოსალივა... ნი (2), პანიჩი, პასპალი (7)

ულქერი: ალიჰოჯიჩი (2), ანდერ... სონი (11), ერდენაი (11), ფირინ... ჯიოღლუ (4), კოტუროვიჩი (10)... რენკინი (11), თექინალფი

**ალბა 78:85 ზადარი**

ალბა: ალექსისი (18), ბოგოევიჩ... (9), ფემერლინგი (4), გარისი (2)... ჰამინკი (19), ლუტკე, ნაკიჩი (2)... პეშიჩი (22), როდლი (2)

ზადარი: ერიავეცი (5), კოვაჩიჩ... (13), ლუისი (6), მალოჩა, მუია... ჯიჩი (10), ნაგლიჩი (21), ი. რუ... ჟიჩი (26), მ. რუჟიჩი (4)

**ცსკა 75:81 ოლიმპიაკოსი**

ცსკა: დაინეკო (7), დომანი (4), გუ... ტოროვი (2), კარასიოვი (14), კო... სურინი (12), კუდელინი (13), ნო... სოვი (8), პანოვი (2), ვეტრა (13)... ვაითი

ოლიმპიაკოსი: ადე მანსა (1), ფა... სულასი (1), გოლდვაიერი (15), კო... მაზეცი (22), ობერტო, პაპანიკო... ლაუ (17), როჯერსი (10), ტარლა... კი (14), ცალიკისი (1)

### D ჯგუფი

**ოლიმპია 64:54 ვილერბანი**

ოლიმპია: დანეუ (2), დუშჩაკი (7)... იურკოვიჩი (16), კოტნიკი (1), კრა... ლევიჩი (4), მაკდონალდი (15), პრა... ისი (2), სტეფანია (3), ტეილორ... (3), ზდოვცი (11)

ვილერბანი: ადამსი (2), ბილბა (5)... ბლომი (7), დიგბო (8), პერსევ... (8), პლუვი (7), რადი (9), სონკ... (8)

**პაოკ 85:66 სამარა**

პაოკ: ბალოიანისი (2), ბერი (25)... კოლდებელა (7), დესპოსი (4), ია... ნულისი (4), კინგი (12), მასლა... რინოსი (7), მორალესი (11), ნი... კოლაიდისი (9), პერალი (4)

სამარა: დოლოპჩი (4), ევანსი (7)... გრაჩოვი (10), ჰიუსტონი (19), ია... ილო (2), კისელიოვი, მალცევი (13)... მელეშჩენკო (3), პეტენევი (8)

**ტიმსისტემი 66:73 რეალი**

ტიმსისტემი: ჩაკიგი (13), დილგლა... (2), ფუჩკა (6), გაი, კარნიშოვას... (19), ლაცისი (2), მულაომეროვი... ჩი (3), მაიერსი (21)

რეალი: ანგულო (16), ბერდი (16)... ერეროსი (15), ლასა (3), ლიუკ... მარტინი (4), სანტოსი (4), სტ... რიულენსი (15)

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფენერბაჰჩე | | 99:84 | 19.11 | 96:75 | 80:76 | 94:75 | 4 | 1 | 417:383 | 9 |
| 2 | ჟალგირისი | 5.11 | | 70:67 | 10.12 | 19.11 | 97:81 | 3 | 2 | 430:425 | 8 |
| 3 | პო ორტეზი | 73:48 | 17.12 | | 5.11 | 74:71 | 10.12 | 2 | 3 | 375:366 | 7 |
| 4 | ტაუგრესი | 12.11 | 91:97 | 88:84 | | 17.12 | 19.11 | 2 | 3 | 413:427 | 7 |
| 5 | ავტოდორი | 10.12 | 87:82 | 12.11 | 64:81 | | 73:70 | 2 | 3 | 371:387 | 7 |
| 6 | ვარეზე | 17.12 | 12.11 | 89:77 | 86:78 | 5.11 | | 2 | 3 | 401:419 | 7 |

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი | | 77:63 | 74:58 | 18.11 | 5.11 | 77:71 | 5 | 0 | 381:315 | 10 |
| 2 | ეფესი | 16.12 | | 5.11 | 80:57 | 12.11 | 73:60 | 4 | 1 | 352:327 | 9 |
| 3 | ტდკ | 10.12 | 67:68 | | 12.11 | 72:65 | 74:59 | 3 | 2 | 332:320 | 8 |
| 4 | ციბონა | 61:69 | 9.12 | 54:61 | | 17.12 | 5.11 | 1 | 4 | 298:352 | 6 |
| 5 | მაკაბი | 62:84 | 66:68 | 19.11 | 76:57 | | 10.12 | 1 | 3 | 269:281 | 5 |
| 6 | ცრვენა ზვეზდა | 11.11 | 19.11 | 17.12 | 66:69 | 29.10 | | 0 | 4 | 256:293 | 4 |

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კინდერი | | 67:72 | 66:49 | 9.12 | 12.11 | 78:52 | 4 | 1 | 346:290 | 9 |
| 2 | ოლიმპიაკოსი | 5.11 | | 58:72 | 17.12 | 71:55 | 12.11 | 4 | 1 | 367:352 | 9 |
| 3 | ულქერი | 17.12 | 19.11 | | 12.11 | 62:55 | 76:65 | 3 | 2 | 355:326 | 8 |
| 4 | ცსკა | 62:70 | 75:81 | 82:76 | | 19.11 | 5.11 | 2 | 3 | 368:372 | 7 |
| 5 | ზადარი | 55:65 | 10.12 | 4.11 | 82:79 | | 16.12 | 2 | 3 | 332:355 | 7 |
| 6 | ალბა | 18.11 | 83:85 | 10.12 | 63:70 | 78:85 | | 0 | 5 | 341:394 | 5 |

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | | 12.11 | 71:70 | 5.11 | 17.12 | 101:72 | 4 | 1 | 404:371 | 9 |
| 2 | ოლიმპია | 76:84 | | 64:54 | 19.11 | 57:45 | 10.12 | 3 | 2 | 332:319 | 8 |
| 3 | ვილერბანი | 9.12 | 17.12 | | 80:66 | 71:66 | 4.11 | 3 | 2 | 353:341 | 8 |
| 4 | პაოკ | 87:75 | 76:68 | 11.11 | | 9.12 | 85:66 | 3 | 2 | 375:365 | 8 |
| 5 | ტიმსისტემი | 66:73 | 5.11 | 18.11 | 76:61 | | 77:58 | 2 | 3 | 330:320 | 7 |
| 6 | სამარა | 19.11 | 60:67 | 74:78 | 17.12 | 11.11 | | 0 | 5 | 330:408 | 5 |

ევროლიგა. ოლიმპია — ვილერბანი

# ვლადიმერ სტეფანია: მე ჯერ ჯანზე ვერა ვარ, ბოისა კი კარგად არის

ლიუბლიანის „ოლიმპიამ“ ევროლიგის მეხუთე ტურში ფრანგულ „ვილერბანს“ .:54 მოუგო და შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსი ერთი-ორად გაიუმჯობესა. გუშინ ...ენებურ ოლიმპიელ ვლადიმერ სტეფანიას შევეხმიანეთ.

**— ვოვა, უპირველესად შენი ჯანმრთელობის ამბავი გვაინტერე...ებს.**

— ჯერ კიდევ ვმკურნალობ და ამიტომაც სრული დატვირთვით ვერ ვთამაშობ, ...უმცა, ამას წინათაც გითხარი, კლუბის თავკაცებთან არცთუ კარგი ურთიერთობა ...ქვს და მთავარი მწვრთნელი, როცა გუნდს ძალიან გაუჭირდება, მაშინღა თუ ...შვებს მოედანზე.

**— ფრანგებს ათი ქულით მოუგეთ, შენ კი მხოლოდ სამ ქულას ...ასჯერებულხარ.**

— აკი გითხარი, ჩვეულ ფორმაში არ ვარ და მოედანზეც 17 წუთი დავყავი. ადრე ...ლიმპია“ შეტევებზე თამაშს ჩემზე აგებდა, ახლა კი მსროლელების იმედზეა და ...ლათა უმრავლესობასაც სწორედ ისინი აგროვებენ. „ვილერბანი“ კი მართლაც ...ლად დავჩაგრეთ.

**— ბოისა როგორ მოეწყო, სლოვენიის ჩემპიონატში თუ ითამაშა?**

— ბოისა პირობებითა და კლუბით კმაყოფილია. ჩემს მეზობლად ოროთახიანი ...ნა მისცეს და ვარჯიშისა და თამაშის მეტი არაფერი დარჩენია. ჩემპიონატშიც ...სინჯა ძალები, სლოვენიელებს თავიც მოაწონა, თუმცა ერთ-ერთ მატჩში მეტოქე ...უნდის მოთამაშესთან წაკინკლავდა და ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

**— ვოვა, საქართველოს ნაკრებს ნოემბერ-დეკემბერში ევროპის ...ემპიონატის შესარჩევი მატჩები ელის, ნაკრების თავკაცები არ ...ეგხმიანებიან?**

— ჯერჯერობით თბილისიდან არავის დაურეკავს, თუკი მომიწვევენ და ექიმებიც ...მას დამრთავენ, სრული დატვირთვით ვივარჯიშო, არც დავფიქრდები და უმალ ...ბილისისკენ გამოვეშურები.

**სოსო კოტორეიშვილი**

# ...ოკოლადის მატჩი, ბალკანური ...უეტების დუელები, რუსთა შავი ...უთშაბათი და სხვა ამბები...

...უგოსლავიის ხალხებს ისეთი ურ...ერთგაგება რომ ჰქონდეთ, როგორც ...ანათინაიკოსის“ ხორვატ დინო რა... და სერბ დეიან ბოდიროგას, ჩა...ლეთ, რომ ბალკანეთის ნახევარ...ძულზე სამუდამო მშვიდობა და ...ე აყვავება დაისადგურებს. ამ შე...იშნავმა წყვილმა ხუთშაბათს, აგრე ...ვე მერამდენედ, მოაგებინა „პანა...ნაიკოსს“ და ევროლიგის პირვ...ი წრის უპირობო გამარჯვებუ...დაც აქცია. ათენში, 16 ათასი მა...ებლის თვალწინ „პანათინაიკო...(უფრო სწორად რაჯა-ბოდირო...და ცოტაც ალვერტისი) თავიდა... შეუდგა თურქული „ეფესის“ აკ...ას, პირველი ტაიმი 38:28 მოუ... და თურქთა ბალკანური დუეტის ...მოსკი — დრობნიაკის ოფლი...ერის მიუხედავად, დამაჯერებლად ...მარჯვა.

...ოდიროგამ თამაშიდან 7 ბური ჩა...ო, იმდენი, რამდენიც რაჯამ. თი...ეულმა 3-3 საჯარიმო გააცუდა, ...ონდ ხორვატმა ათი ჩააგდო, სე...ა — რვა. ამათ ალვერტისი ექვსი ...ით შეეშველა. „ეფესმა“ ფარი მო... (28:20). ამ მხრივ ჰუსეინ ბესო... გამოირჩა 13 მოხსნით, მაგრამ ბე...ნთა უპირატესობა იმდენად დიდი ..., რომ ამ ფაქტორმა არ გაჭრა.

C ჯგუფის ლიდერის საქმე უნდა ...რკვია „შოკოლადის მატჩს“ — ...ლონიაში „კინდერი“ სტამბოლის ...ლქერს“ ხვდებოდა. დიდი ბრძო...აქაც არ შედგა: „ულქერი“ მე... გემრიელი აღმოჩნდა და „კი...ერს“ მადიანად შემოეჭამა. მთავა... მჭამელი პრედრაგ დანილოვიჩი ... მართალია, ექვსიდან ხუთი სა...ლიანი გააფუჭა, მაგრამ დანარ...ში შეუდარებელი იყო და შოკო...დის ყველაზე დიდი ლუკმაც მი... აღმოჩნდა. თურქთაგან ...ურქებული ამერიკელი ფირინ...ოლუ (ყოფილი ვინსლოუ) აქ...ურობდა, მან 12 ბურთი მოხსნა ... ერთგვარად დააკნინა მაკრისის ...ტეროვიჩი) 9 მოხსნა.

...მ ტურში თურქები მთლად არ ...ედურებულან და ერი სირცხვი...სგან „ფენერბაჰჩეს“ იბრაჰიმ ქუ...უაიმ იხსნა. ზაზა ენდენს (ენდე...ძე) ამ საქმეში მონაწილეობა არ ...ღია.

...ერა და ვერ გამოკეთდა ჩვენი და ...ლიმპიის“ ვლადიმერ სტეფანია. 17 ...თში 3 ქულა და 2 მოხსნა თი...ის არაფერია მისი გაქანების მო...აშისთვის. თავად „ოლიმპია“ კი ...გო სულაც არ გახლდათ, განსა...კუთრებით უკანახაზელები. ამათ სწრაფმა და გონივრულმა თამაშმა განაპირობა თანაბრად დაკომპლექტებულ-დაბალანსებული ფრანგული „ვილერბანის“ დამარცხება. ფრანგთა თანაბრობა კი ამჯერად იმაში გამოიხატა, რომ მოედანზე გასული რვა კალათბურთელიდან ვერც ერთმა 10 ქულის დაგროვებაც კი ვერ მოახერხა.

გახსოვთ ოდედ კატაში? გაიხსენეთ საქართველო-ისრაელის სამი წლის წინანდელი მატჩი თბილისის სპორტის სასახლეში. ებრაელთა გამთამაშებელი, რომელიც ინვალიდს უფრო ჰგავდა და რომელმაც საშინელი დღე გვაყარა. შარშან იგი „მაკაბიში“ იყო, ზაფხულში NBA-ში წავიდა და „ნიუ იორკ ნიქსში“ სათამაშოდ ემზადებოდა, პირველი ისრაელელიც იქნებოდა, ვინც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში იასპარეზებდა, მაგრამ ლოკაუტის გამო მშობლიურ კლუბს დაუბრუნდა. დაბრუნებაც ამგვარი უნდა! კატაშმა ყველაზე მეტი ქულა გააკეთა, 5 პასი, 3 მოხსნა და ერთი დაფარებაც დააყოლა და „მაკაბის“ პირველად მოაგებინა ევროლიგაში. კატაშს უნარიანად აუბა მხარი კიდევ ერთმა ამერიკამოვლილმა, ოღონდ იქაური სტუდენტური ლიგის ვარსკვლავყოფილმა დორონ შეფერმა.

მეხუთე ტური ესპანელთა ტრიუმფით და რუსების დაქცევით აღინიშნა. ესპანელებმა სამიდან ორი მატჩი გასვლაზე მოიგეს, ხოლო რუსები სამიდან ორჯერ შინ დამარცხდნენ. ნაქებმა ცსკა-მ მოსკოვში წააგო „ოლიმპიაკოსთან“. სალდათების ერთადერთი გამონათება ლატვიელი გუნდარს ვეტრა გახლდათ, რომელსაც ასპროცენტიანი შედეგი აღმოაჩნდა — ყველა ნასროლი ბურთი ჩააგდო!

რუსებისთვის „შავი ხუთშაბათი“ ტრადიციული, ბარაქიანი მარცხით დააგვირგვინა „სამარამ“. პაოკ-მა სვენებ-სვენებით მოუგო, ჰოდა, სამარელებს გულს ისღა თუ გაუკეთებს, რომ მისებრ დღეში კიდევ ერთი გუნდია — ბერლინის „ალბა“. გერმანელები რუსებზე ღირსეულად კი მარცხდებიან, მაგრამ საბოლოო შედეგისთვის ეს ვერაფერი ნუგეშია. ჯერ არ მოუგია „ცრვენა ზვეზდას“, მაგრამ ერთი თამაში მარაგში აქვს და 29 ოქტომბერს შინ, ახლა უკვე კატაშიანი „მაკაბის“ ძლევას შეეცდება.

**ზეზვა მიგრიაული**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია “CROCO”

**გერმანიის ჩემპიონატი.** ბუნდესლიგა. მე-9 ტური

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოხუმი — მიონხენგლადბახი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ნიურნბერგი — შტუტგარტი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ვოლფსბურგი — აინტრახტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ბაიერნი — კაიზერსლაუტერნი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |
| ჰანზა — შალკე | 2,0 | 2,9 | 3,4 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლევერკუზენი — მიუნხენ 1860 | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| დუისბურგი — ჰერტა | 2,2 | 2,9 | 3,0 |

**გერმანიის ჩემპიონატი.** II ბუნდესლიგა. მე-11 ტური

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბერლინი — კარლსრუე | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| გიუტერსლო — ზანქტ პაული | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ფიურტი — ვატენშაიდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ურდინგენი — კიოლნი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| დიუსელდორფი — უნტერჰახინგი | 2,6 | 2,8 | 2,5 |

26 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფორტუნა — ჰანოვერი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

**ინგლისის ჩემპიონატი.** პრემიერლიგა. მე-10 ტური

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — ლესტერი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ჩარლტონი — ვესტ ჰემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| დერბი — მანჩესტერი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| ლივერპული — ნოტინგემი | 1,25 | 4,2 | 9,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| შეფილდ უენსდეი — ევერტონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| საუთჰემპტონი — ქოვენთრი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ტოტენჰემი — ნიუკასლი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| უიმბლდონი — მიდლსბრო | 2,0 | 2,9 | 3,4 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბლექბერნი — არსენალი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ლიდსი — ჩელსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**ინგლისის ჩემპიონატი.** I დივიზიონი. მე-16 ტური

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარნსლი — პორტსმუთი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბრედფორდი — კრისტალ პალასი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ქრიუ — ტრანმერი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ნორვიჩი — ჰადერსფილდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ოქსფორდი — შეფილდ იუნაიტედი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| სტოკპორტი — იფსვიჩი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| სანდერლენდი — ბერი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |
| სვინდონი — ვესტ ბრომვიჩი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| უოტფორდი — პორტ ვეილი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ვულვერჰემპტონი — გრიმსბი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქუინზ პარკი — ბირმინგემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**საფრანგეთის ჩემპიონატი.** მე-10 ტური

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლე ავრი — ტულუზი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| რენი — ლორიანი | 1,5 | 2,9 | 8,0 |
| მარსელი — სოშო | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| ბასტია — სტრასბური | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ნანტი — პარი სენ ჟერმენი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ოსერი — ლიონი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| მეცი — მონაკო | 2,5 | 2,9 | 2,5 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მონპელიე — ლანსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ბორდო — ნანსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**იტალიის ჩემპიონატი.** სერია A. მე-6 ტური

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლონია — პიაჩენცა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| კალიარი — ბარი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ფიორენტინა — სალერნიტანა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| იუვენტუსი — ინტერი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ლაციო — ვიჩენცა | 1,25 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| მილანი — რომა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| პერუჯა — პარმა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| სამპდორია — ემპოლი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| უდინეზე — ვენეცია | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| 0:1 | 2,1 | 2,8 | 2,3 |

**ესპანეთის ჩემპიონატი.** მე-7 ტური

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტა — სარაგოსა | 1,9 | 2,8 | 3,8 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მალიორკა — ატლეტიკო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ტენერიფე — დეპორტივო | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ოვიედო — ვილიარეალი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| სოსიედადი — ვალიადოლიდი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ესპანიოლი — ბარსელონა | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| სალამანკა — ბილბაო | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ვალენსია — ბეტისი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| რეალი — რასინგი | 1,25 | 4,2 | 9,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| ალავესი — ესტრემადურა | 1,5 | 3,4 | 5,6 |

**ესპანეთის ჩემპიონატი.** II დივიზიონი. მე-9 ტური

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეგანესი — ბადახოსი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| მერიდა — ოსასუნა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| რეკრეატივო — ერკულესი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| სევილია — ალბასეტე | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |
| კომპოსტელა — ოვიედო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ნუმანსია — ეიბარი | 1,25 | 4,2 | 9,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| ლეიდა — სპორტინგი | 1,25 | 4,2 | 9,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| ლოგრონიესი — ლას პალმასი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| რაიო ვალეკანო — მალიორკა B | 1,9 | 2,9 | 3,6 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ორენსე — ბარსელონა B | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| მალაგა — ატლეტიკო B | 1,5 | 3,2 | 6,5 |

**პორტუგალიის ჩემპიონატი.** მე-8 ტური

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფარენსე — სპორტინგი | 4,4 | 3,1 | 1,7 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| რიუ ავე — კამპომაიორენსე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბეირა მარი — ამადორა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| მარიტიმუ — აკადემიკა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბოავიშტა — ბენფიკა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| გიმარაეში — შავეში | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ალვერკა — სეტუბალი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

26 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სალგეირუში — ბრაგა | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ლეირია — პორტუ | 3,0 | 2,9 | 2,2 |

**რუსეთის ჩემპიონატი.** 29-ე ტური

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ცსკა — როტორი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| სპარტაკი — შინიკი | 1,3 | 3,0 | 10,0 |
| ტიუმენი — ჩერნომორეცი | 8,0 | 4,0 | 1,2 |
| ბალტიკა — ზენიტი | 1,8 | 2,9 | 2,9 |
| კრილია სოვეტოვი — ლოკომოტივი | 2,3 | 2,8 | 2,4 |
| ურალანი — დინამო | 1,8 | 2,8 | 3,8 |
| ალანია — ჟემჩუჟინა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| ტორპედო — როსტსელმაში | 1,6 | 3,1 | 4,2 |

**ჰოლანდიის ჩემპიონატი.** მე-10 ტური

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მაასტრიხტი — ვალვაიკი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ტვენტე — გრააფსხაპი | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ბრედა — ვიტესი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აიაქსი — კამბური | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,3 | 5,0 | 4,0 |
| ტილბურგი — ეინდჰოვენი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| უტრეხტი — ფეიენოორდი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| სპარტა — ჰერენვენი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

**ბელგიის ჩემპიონატი.** მე-11 ტური

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ოსტენდე — სენტ ტრუიდენი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| სტანდარდი — ეკერენი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| გენტი — ბრიუგე | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| გენკი — ვესტერლო | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| შარლერუა — ბევერენი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ლიერსი — ლომელი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კორტრაიკი — მუსკრონი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| აალსტი — ჰარელბეკი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

**პოლონეთის ჩემპიონატი.** მე-13 ტური

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლკს — ვისლა | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| გურნიკი — ბელხატოვი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,0 | 3,1 |
| ოდრა — კატოვიცე | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| სტომილი — ლეხი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| პოლონია — ამიცა | 2,1 | 2,9 | 3,2 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| პოგონი — ლეგია | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ზაგლებიე — რაძიონკოვი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

**თურქეთის ჩემპიონატი.** მე-9 ტური

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ანთალია — ისთანბული | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| გალათასარაი — სამსუნი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,45 | 3,8 | 3,5 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| საქარია — გენჩლერბირლიგი | 4,0 | 3,3 | 1,7 |
| ალთაი — ბურსა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ანკარაგიუჯუ — ერზურუმი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| გაზიანთეფი — ქოჯაელი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| დარდანელი — ქარაბუქი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბეშიქთაში — ფენერბაჰჩე | 2,4 | 2,9 | 2,6 |

**შოტლანდიის ჩემპიონატი.** მე-11 ტური

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — აბერდინი | 1,25 | 4,2 | 9,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| დანდი — დანფერმლაინი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ჰარტსი — დანდი იუნაიტედი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| კილმარნოკი — სენტ ჯონსტონი | 1,7 | 2,9 | 5,0 |

**ავსტრიის ჩემპიონატი.** მე-13 ტური

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლუშტენაუ — შტურმი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| რაპიდი — შტაირი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| რიდი — აუსტრია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ზალცბურგი — ტიროლი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

**შვეიცარია.** მე-15 ტური

24 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქსამაქსი — ციურიხი | 1,9 | 2,9 | 3,8 |
| ბაზელი — სერვეტი | 3,2 | 2,9 | 2,1 |

25 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| იანგ ბოიზი — ლუცერნი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ლოზანა — ლუგანო | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| გრასჰოპერი — სიონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| სენტ გალენი — არაუ | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

⛹ ჩოგბურთი ⛹

# რუსებმა ნადეჟდა დაკარგეს

**მოსკოვი. რუსეთი. კრემლის თასი. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო 1 მილიონი $**

ლინდსი დევენპორტისა და იანა ნოვოტნას არყოფნაში კრემლის თასზე ყურადღების ცენტრში მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი მონიკა სელეში მოექცა, რომელიც რუსეთს პირველად ეწვია და გაკვირვებულმაც განაცხადა, ამ ქვეყანას კრიზისისა არაფერი ეტყობა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები რაებს გაიძახიანო.

პირველ წრეში თამაშისგან გათავისუფლებულმა ექსიუგოსლაველმა მერვედფინალში საკმაოდ იოლად, 6:3, 6:4 დაამარცხა ავსტრიელი ბარბარა შეტი და შეხვედრის შემდეგ ინტერვიუს დახარბებულ რუს ჟურნალისტებს კარგა ხანს ესაუბრა.

„კლასიფიკაციაში თუ ქალთა ჩოგბურთის ისტორიაში ჩემს ადგილზე უკვე აღარც კი ვფიქრობ. ჩემთვის მთავარი ის არის, რომ ჩოგბურთის თამაში მიყვარს, იმის მიუხედავად, ფორმაში ვარ თუ სირბილიც კი არ შემიძლია. თუ ხვალ გამეღვიძება და აღმოვაჩენ, რომ სპორტზე მეტად სხვა რამ მაინტერესებს, დაუფიქრებლად შევიცვლი პროფესიას — ალბათ, ცოტათი მაინც გადაამეტა მონიკამ, რომელსაც მოგვიანებით გაზაფხულზე გარდაცვლილ მამასა და მწვრთნელ კაროლზეც მოუხდა კითხვების მოსმენა — მან დიდი სიცარიელე დამიტოვა გულში. მამის დაკარგვა ხომ თავისთავად ძნელია, მაგრამ ჩემს თამაშს მისი, როგორც მწვრთნელის, არყოფნაც დაეტყო. ეს წელი ისე მძიმე აღმოჩნდა... იმედია, გაისად მაინც მოვახერხებ თამაშზე სრული კონცენტრაციის მოხდენას."

ვგრძნობდი თავსაო (წინა დღეს ტოდ მარტინთან პიტმა მეორე სეტი დათმო), მერე კი, როგორც ამ ბოლო ხანებში ტრადიციად იქცა, სეზონის ბოლოს კლასიფიკაციაში პირველობისთვის ბრძოლასაც გადაწვდა: „ზედიზედ ხუთი კვირის განმავლობაში, შინ დაუბრუნებლად ევროპაში თამაში მართლაც მეტისმეტია, მაგრამ პირველი ადგილის შესანარჩუნებლად და კონორსის რეკორდის მოსახსნელად ამაზეც თანახმა ვარ. სტიმული ძალიან დიდია და მეც მზად ვარ რიოსთან და რაფტერთან საბრძოლველად. შანსი ორივე მათგანს აქვს და დარწმუნებული ვარ, ბოლომდე არ დანებდებიან."

მეოთხედფინალში პიტი წესით გერმანელ ტომი ჰაასს უნდა გაჯიბრებოდა, რომელმაც მეორე წრეში შარშანდელ ფინალში მარცხისთვის ფრანგ ფაბრის სანტოროზე (8) იძია შური 2:6, 6:3, 7:5, მაგრამ მოვლენები მოულოდნელად და მსოფლიოს პირველი ჩოგნისთვის მეტად სავალალოდ განვითარდა: გუშინ დილით სამპრასმა ზურგის ტკივილი მოიმიზეზა და თამაშზე უარი განაცხადა.

„ტკივილი ჯერ კიდევ მარტინთან შეხვედრის დროს ვიგრძენი, მან არც მერვედფინალის შემდეგ გაიარა და ამ დილით მივხვდი, რომ თამაში, უბრალოდ, აღარ შემეძლო — ყოველ მოწოდებაზე ზურგში თითქოს ვიღაცა მჩხვლეტდა. ვფიქრობ, ტრავმა საკმაოდ სერიოზულია და მკურნალობა მჭირდება, მაგრამ იმედია, სეზონი ჩემთვის არ დამთავრებულა" — განაცხადა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, რომელიც სამკურნალოდ და დასასვენებლად გუშინვე გერმანიაში გაემგზავრა — წინ

REUTERS ოსტრავიდან



ანდრე აგასის ოსტრავის ტურნირის თილისმა გადაეხვია

მოსკოვში ასპარეზობს თავის დასთან ერთად (რომელიც მხოლოდ წყვილებში თამაშობს) ვინუს უილიამსიც, რომელიც რუსეთს უკვე მეორედ ეწვია. შავკანიანი ამერიკელი კარიერაში პირველად ტურნირზე პირველადაა განთესილი, ამჯერად შარშანდელივით ადრეულ ეტაპზე გავარდნას აღარ აპირებს და თუ მას ვერწმუნებით, ფინალში აუცილებლად სელეშს შეხვდება.

მერვედფინალში უილიამსმა რუს ელენა ლიხოვცევას მოუგო 6:3, 6:1, რის შემდეგაც მასპინძლები ნადეჟდა პეტროვას იმედზეღა დარჩნენ. 1997 წლის თბილისის ღია პირველობისა და იუნიორთა წლევანდელი როლან გაროსის გამარჯვებულმა პირველ წრეში ივა მაიოლი დაამარცხა, მაგრამ კონჩიტა მარტინესთან სათამაშოდ მაღალ ტემპერატურით გამოცხადდა, 0:6, 0:6 წააგო და სანუგეშოდ ისღა დარჩა, რომ თავისი სახელი გაამართლა და თანამემამულეთაგან მართლაც უკანასკნელად გავარდა.

**მერვედფინალი: მაუი სერნა (ესპანეთი) — პატი შნიდერი (4, შვეიცარია) 7:6 (7:3), 6:4; მარი პირსი (5, საფრანგეთი) — საბინე აპელმანსი (ბელგია) 6:2, 6:2; სანდრინ ტესტიუ (7, საფრანგეთი) — ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) 6:4, 6:3; კატარჟინა სტუდენიკოვა (სლოვაკეთი) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:3, 7:5.**

**ლიონი. საფრანგეთი. ჩოგბურთის გრან პრი. ტარდება დარბაზში ხალიჩაზე. საპრიზო 700 ათასი $**

პიტ სამპრასი ლიონის ტურნირის მერვედფინალში მასავით ბლანჟეან და უიმბლდონის ხუთგზის ჩემპიონს (ოღონდ წყვილებში) ტოდ ვუდბრიჯს გადაეყარა. „ვუდების" სახელგანთქმული დუეტის უმცროს წევრს მსოფლიოს პირველი ჩოგნისთვის 1989 წლიდან მოყოლებული არ მოუგია და სასწაული ვერც ამჯერად მოახდინა, თუმცა მეორე სეტში ამერიკელი კარგა ბლომად არბენინა და ერთხელ ბურთის გამოდევნებული კორტზეც გაავორა.

საბოლოოდ სამპრასმა 6:2, 6:4 მოიგო და საკუთარი თამაშით კმაყოფილება გამოთქვა, გუშინდელზე გაცილებით უკეთ

ხომ წლის ბოლო ორი და უმნიშვნელოვანესი მერსედეს სუპერ ცხრის ტურნირებია შტუტგარტსა და პარიზში, რომელთაგან პირველი უკვე ორშაბათს იწყება.

მეორე წრეში იმარჯვა ტურნირზე მეოთხედ განთესილმა ალექს კორეტხამაც. მან კლასიფიკაციით 73-ე რუმინელ ანდრეი პაველს სამ სეტში, 6:4, 2:6, 6:3 აჯობა და ერთი მნიშვნელოვანი პირადი მაჩვენებელი გაიუმჯობესა: „პირველად მოხდა, რომ გადახურულ კორტებზე ზედიზედ ორი მატჩი მოვიგე, რითაც უზომოდ გავიხარე."

**მერვედფინალი: პატრიკ რაფტერი (2, ავსტრალია) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:3, 6:3; უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) — სედრიკ პიოლინი (7, საფრანგეთი) 7:6 (7:3), 6:2. მარსელო რიოსი (3, ჩილე) — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 6:2, 6:3; არნო დი პასკუალე (საფრანგეთი) — რიჩი რენებერგი (აშშ) 7:5, 6:4.**

**ოსტრავა. ჩეხეთის დარბაზის ღია პირველობა. ტარდება ხალიჩაზე. საპრიზო 1 მილიონი $**

ჩეხეთში ფავორიტთა შავი დღეები გაგრძელდა. პირველ წრეში გავარდნილ პეტერ კორდას (1), გორან ივანიშევიჩსა (5) და მარკ ფილიპუსისს (6) მეორეში უკან კაროლ კუჩერა (3) და ევგენი კაფელნიკოვი (4) მიჰყვნენ. წაგებით კი ორივემ სამ სეტში წააგო — კუჩერას ამ ბოლო ხანებში თვალსაწიერიდან გამქრალმა უკრაინელმა ანდრეი მედვედევმა აჯობა 6:4, 6:7 (4:7), 6:4, კაფელნიკოვს — მასპინძელმა მარტინ დამმა 3:6, 6:3, 6:2.

ადგილობრივები კარგი თამაშით მხოლოდ ანდრე აგასიმ გაახარა — ხოტორა ამერიკელს შვედ მაგნუს ნორმანთან მეორე სეტში ცოტა კი გაუჭირდა, მაგრამ ბოლოსწინა გეიმში მეტოქეს მოწოდება მაინც აართვა და 6:2, 7:5 მოიგო.

**მერვედფინალი: ტომას ენკვისტი (7, შვედეთი) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:7 (4:7), 6:2, 6:4; ტომას იოჰანსონი (8, შვედეთი) — ირჟი ნოვაკი (სლოვაკეთი) 6:4, 7:5; ნიკლას კულტი (შვედეთი) — მარატ საფინი (რუსეთი) 7:6 (7:4), 7:6 (7:1).**

**ავთანდილ სვანიძე**

ჰოკეი

მას შემდეგ, რაც ფილადელფია თავის შეურიგებელ მტერ ნიუ ჯერსისთან დამარცხდა, ჩემპიონატში მხოლოდ ერთი გუნდი დარჩა, რომელსაც პირველი ორი კვირის განმავლობაში არც ერთი მატჩი არ წაუგია. ეს ფლორიდა გახლავთ. რაც შეეხება მოუგებელ კლუბებს, ესენი ჯერჯერობით სან ხოსე და კოლორადო (რაც ერთობ მოულოდნელია) არიან

# ნუ აფასებთ ნიუ ჯერსის

22 ოქტომბერი

**ფილადელფია — ნიუ ჯერსი 2:3**

**1:0 0:2 1:1**

**1:0 დეჟარდენი 17'47 (1); 1:1 მორისონი 26'44 (1); 1:2 როლსტონი 38'41 (1); 1:3 მაკეი 40'29 (1); 2:3 ლინდროსი 53'06 (6)**

ნიუ ჯერსიმ სეზონის წინ რამდენიმე წამყვანი ჰოკეისტი დაკარგა, ცნობილი მწვრთნელი ჟაკ ლემერიც გამოემშვიდობა გუნდს, მაგრამ „ეშმაკებმა" უხეირო სტარტის შემდეგ 90-იანი წლების ერთ-ერთ გრანდთან და პრინციპულ მეტოქესთან პაექრობაში დაამტკიცეს, რომ ჩამწერლ ჰოკეიში ბადალი არ ჰყავთ. სტუმართა „ჩეკერებმა" ისე შებოჭეს მასპინძელთა ლიდერები, რომ „მფრინავებმა" 60 წუთში მხოლოდ 22-ჯერ დაარტყეს, რამდენიმე სახიფათო მომენტის გამოყენებაში კი მათ ნიუჯერსელთა ჩინებულმა მეკარემ მარტინ ბროდომ შეუშალა ხელი. თუმცა, თუ ფილადელფიელთა სნაიპერს ჯონ ლეკლერს ვერწმუნებით, წაგებაში თავად არიან დამნაშავენი, რადგან ასეთი შანსები ხელიდან არ უნდა გაეშვათ. მასპინძელთა ლიდერს მორიგი შაიბა მხოლოდ პირადი მონაგარისთვის წაადგა. რაც შეეხებათ „ეშმაკებს", მათ გოლის გატანის ყველა შესაძლებლობით ისარგებლეს და ბრაიან როლსტონისა (1+1) და ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელებული რენდი მაკეის ძალისხმევით მატჩის ბედი თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვიტეს. ასე რომ, ხმები, ნიუ ჯერსი საბოლოოდ დაჩანაკდაო, სრულიად უსაფუძვლოა.



სენტლუისელი კელი ჩეიზისთვის ყველა გოლი მოვლენაა

**ჩიკაგო — სან ხოსე 2:2**

**1:2 0:0 1:0 0:0**

**0:1 ნოლანი 0'19 (1); 0:2 მერფი 0'49 (2); 1:2 ამონტე 6'20 (4); 2:2 დაზე 43'53 (3)**

სან ხოსემ, აქამდე ერთი მატჩიც რომ არ მოუგია, პირველსავე წუთზე გატანილი ორი უსწრაფესი გოლით განაცვიფრა მეტოქე, მაგრამ ბოლოს ბეწვზე გადარჩა, რადგან გამუდმებით მოიერიშე ჩიკაგოელებს ოვერტაიმში ერთი შაიბა არ ჩაუთვალეს — ჩედ კილგერმა იგი ფეხით გაგზავნა კარში.

**რეინჯერსი — აილენდერსი 3:2**

**1:1 1:1 1:0**

**1:0 ნაბლი 10'13 (1); 1:1 ლინდენი 11'21 (4); 1:2 რაიხელი 22'13 (1); 2:2 მაკლინი 36'24 (1); 3:2 სტივენსი 54'52 (1)**

ნიუიორკელთა პრინციპულ დერბიში ფრე უნდა დაფიქსირებულიყო, მაგრამ 56-ე წუთზე სტუმართა ფორვარდმა კლოდ ლაპოინტმა უნიკალური შანსი გაუშვა ხელიდან — ამ მეტოქეთა შეხვედრების მთელი ისტორიის მანძილზე რეინჯერსის კარში პირველად დანიშნული ბულიტი ვერ გამოიყენა. „რეინჯერმა" ლიჩმა 2 პასი მიითვალა, ხოლო გრეცკი ამჯერად ხელცარიელი დარჩა.

**ოტავა — სენტ ლუისი 3:5**

**1:3 0:1 2:1**

**1:0 ბონკი 11'35 (2); 1:1 ჩეიზი 13'09 (1); 1:2 ტარჯონი 13'43 (1); 1:3 პიკარი 17'58 (1); 1:4 პიკარი 28'39 (2); 2:4 იუჰანსონი 57'37 (2); 2:5 ისტვუდი 59'02 (1); 3:5 კრავჩუკი 59'57 (1)**

მატჩის ბედი პირველი პერიოდის სულ რაღაც ხუთ წუთში გადაწყდა, როცა სტუმრებმა სამი შაიბა შეაგდეს. მათ რიგებში ძალისმიერი ფორვარდები გამოირჩეოდნენ. თანაც მიშელ პიკარმა და პავოლ დემიტრამ (2 პასი) თავიანთ ყოფილ კლუბს აწყენინეს.

**დალასი — ფინიქსი 2:1**

**0:1 1:0 1:0**

**0:1 ადამსი 4'09 (1); 1:1 ზუბოვი 32'27 (1); 2:1 ნუინდაიკი 44'52 (1)**

დალასი კიდევ უფრო გაძლიერდა. ექვსი თვის მკურნალობისა და მუხლის ოპერაციის შემდეგ გუნდს დაუბრუნდა მისი ერთ-ერთი ლიდერი ჯო ნუინდაიკი, რომელმაც პირველივე მატჩში ჩინებულად ითამაშა. ფორვარდმა, ისევე როგორც მცველმა სერგეი ზუბოვმა 2 (1+1) ქულა შემატა და კიდევ უფრო გააუმჯობესა გუნდის რიცხვმრავლობის ბრიგადების მუშაობა — კლუბის მიერ 17 გატანილი შაიბიდან უმრავლესობაშია შეგდებული.

## სატურნირო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ტორონტო | 5 | 3 | 1 | 1 | 15:12 | 7 |
| მონრეალი | 6 | 3 | 1 | 2 | 17:17 | 7 |
| ბოსტონი | 7 | 3 | 1 | 3 | 14:11 | 7 |
| ოტავა | 5 | 3 | 0 | 2 | 16:13 | 6 |
| ბუფალო | 4 | 2 | 1 | 1 | 10:9 | 5 |
| **ატლანტა** | | | | | | |
| ფილადელფია | 6 | 4 | 1 | 1 | 16:8 | 9 |
| პიტსბურგი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:12 | 5 |
| რეინჯერსი | 7 | 2 | 1 | 4 | 13:21 | 5 |
| ნიუ ჯერსი | 5 | 2 | 0 | 3 | 9:12 | 4 |
| აილენდერსი | 6 | 2 | 0 | 4 | 10:14 | 4 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ფლორიდა | 4 | 2 | 2 | 0 | 8:4 | 6 |
| ვაშინგტონი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:8 | 5 |
| კაროლინა | 5 | 1 | 3 | 1 | 12:11 | 5 |
| ტამპა | 6 | 1 | 1 | 4 | 13:19 | 3 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| დალასი | 6 | 4 | 1 | 1 | 17:10 | 9 |
| ლოს ანჯელესი | 5 | 2 | 2 | 1 | 12:12 | 6 |
| ფინიქსი | 4 | 2 | 0 | 2 | 10:9 | 4 |
| ანაჰაიმი | 5 | 2 | 0 | 3 | 9:9 | 4 |
| სან ხოსე | 5 | 0 | 2 | 3 | 9:16 | 2 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 5 | 4 | 0 | 1 | 15:7 | 8 |
| ჩიკაგო | 6 | 3 | 1 | 2 | 14:17 | 7 |
| სენტ ლუისი | 5 | 2 | 1 | 2 | 15:13 | 5 |
| ნეშვილი | 5 | 1 | 1 | 3 | 8:13 | 3 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| ვანკუვერი | 5 | 3 | 0 | 2 | 12:11 | 6 |
| ედმონტონი | 6 | 3 | 0 | 3 | 17:13 | 6 |
| კალგარი | 5 | 1 | 1 | 3 | 12:18 | 3 |
| კოლორადო | 5 | 0 | 1 | 4 | 10:20 | 1 |

ბომბარდირები: საიდორი (დალასი) 10 (4+6); ლინდროსი 9 (6+3); ლეკლერი (ორივე ფილადელფია) 9 (4+5); რექი (მონრეალი) 9 (0+9); შენაჰანი (დეტროიტი) 7 (6+1); საკიკი (კოლორადო) და დამფუსი (მონრეალი) 7 (4+3); მაკარტი (დეტროიტი) 7 (3+4); ბრინდამორი (ფილადელფია) 7 (2+5); ჰალი (დალასი) და იაგრი (პიტსბურგი) 7 (1+6); აიზერმანი (დეტროიტი) 7 (0+7)

კრივი

# ჰოლიფილდი — ლუისი ნიუ იორკში

ლენოქს ლუისისა და ევანდერ ჰოლიფილდის მატჩს, რომელსაც მთელი მსოფლიოს კრივის მოყვარულები ასე მოუთმენლად ელიან, გუშინ ჩატარების თარიღი და ადგილი დაუდგინდა.

სატელევიზიო შოუში ლუისმა განაცხადა, ბრძოლა 13 მარტს, ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში" გაიმართებაო. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს კრივის საბჭოს (WBC) ჩემპიონი ინგლისელი და მსოფლიოს კრივის ასოციაციისა (WBA) და საერთაშორისო კრივის ფედერაციის (IBF) ჩემპიონი ამერიკელი ამ მატჩით მძიმე წონაში ტიტულების გამაერთიანებელს გამოავლენენ.

„მედისონ სკვერ გარდენს" მსგავსი პატივი 6 მილიონი დოლარი დასჯდომია, რაც სამხრეთ აფრიკის თუ სხვა პრეტენდენტების შეთავაზებულზე გაცილებით მეტი აღმოჩნდა. რაც შეეხება თავად მოკრივეებს, ჰოლიფილდს გასამრჯელოდ 20 მილიონი ერგება, ლუისს კი ამაზე ორჯერ ნაკლები.

**ბაჩა არჯევანიძე**


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე:
ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:
ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე:
ავთანდილ გურასაშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე:
სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია.
ქართული ფეხბურთის განყოფილება:
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
კალათბურთის განყოფილება:
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
ინფორმაციის განყოფილება:
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დუვაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29